

ვუძღვნი საქართველოში თანამედროვე მეტალურგიული
მეცნიერების ერთ-ერთ ფუძემდებელს, ქართული ტექნიკური
აზროვნების განვითარების ისტორიის ქომავსა და მოამაგეს,
ჩვენი მდიდარი ისტორიული წარსულის წარმომჩენს –
ბატონ ვერდინანდ თავაძეს.

TAMAR BADZOSHVILI

თამარ ბაძოშვილი

MINING-METALLURGY
INDUSTRY IN
THE XVIII CENTURY
EASTERN GEORGIA



Publishing House "Meridiani"
Tbilisi 2012

სამთო-გეტალურგიული
მარმარება XVIII საუკუნის
აღმოსავლეთ
საქართველოში



გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2012

ნაშრომში განხილულია XVIII საუკუნის საქართველოში მიმდინარე ისტორიულ-ეკონომიკური განვითარების მოვლენები. ეძღვნება ქართლ-კახეთის სამეფოში ერეკლე II-ის მიერ გატარებულ რეფორმებს, რომელსაც სამთო-მეტალურგიული წარმოების აღორძინება მოჰყვა და ფიზიკური დამცრობისაგან იხსნა ერთ.

პირველწყაროების, ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მასალის კომპლექსური ანალიზის საფუძველზე შესწავლილია ამ დროს ფუნქციონირებადი სამთო და მეტალურგიული საწარმოების ტექნოლოგიური მახასიათებლები. ტექნიკის ისტორიის პოზიციებიდან გამოკვლეულია სპილენძ-ბრინჯაოს, რკინა-ფოლადის, ვერცხლისა და ოქროს წარმოების ქარხნების სამუშაო-ორგანიზაციული მაჩვენებლები, წარმოების მასშტაბი და მრავალპროფილიანი მზა პროდუქციის ხარისხი, ექსპორტის საშუალებანი.

ნაშრომი გათვალისწინებულია შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიულ-პოლიტიკური და ისტორიულ-ეკონომიკური საკითხების სფეროში მომუშავე სპეციალისტებისათვის, აგრეთვე მკითხველთა ფართო საზოგადოებისათვის.

შინაარსი

| | |
|--|-----|
| შინათქმა..... | 6 |
| შესავალი..... | 7 |
| 1. საკითხის ისტორია..... | 10 |
| 2. ერეკლე II და ქართული ეკონომიკის აღორძინების საკითხი. 29 | |
| 3. სპილენძის და რკინის მეტალურგია | 51 |
| 4. XVIII საუკუნის ლითონის ნაკეთობათა ქიმიურ-ტექნოლოგიური გამოკვლევა | 95 |
| 5. ტყვიის, ვერცხლის და ოქროს წარმოება | 107 |
| 6. სპილენძის და ოქრო-ვერცხლის ნაკეთობათა დამამზადებელი საწარმოები თბილისში | 133 |
| Mining-metallurgy Industry in the XVIII Century Eastern Georgia (Abstract) | 150 |
| ლიტერატურა | 156 |

რედაქტორი: ისტ. მ. დ., სრული პროფესორი გიორგი ინანიშვილი

რეცენზენტი: მ. დ., სრული პროფესორი იური კვირიგაძე

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2012

© თ. ბაძოშვილი

ISBN 978-9941-10-

შინათქმა

როდესაც ქართველთა წინაპრებზე და გამოჩენილ მამულიშვილებზე ფიქრით შეჯერებული ფრთიანი აზრი გიჩნდება, მათ იღუმალ ცხოვრებას ეხები, განიცდი აღფრთოვნებას, აწმყოს აღქმა გიადვილდება და მომავალზე ოცნების მუზა უფრო ძარღვიანი და მრავლისმომცველია.

გახუშტი ბატონიშვილი თავის ისტორიოგრაფიული ნაშრომის მცირე ნაწილში, რომელიც დიდი ივ. ჯავახიშვილის „შეფასებით, „მუდამ უკვდავების შარავანდედით იქნება მოსილი“, XIV საუკუნიდან მოყოლებული, გიორგი ბრწყინვალეს შემდეგ, ორიგინალურად აღწერს და გადმოგვცემს მოპოვებული ისტორიული ფაქტების შეჯერებით გაანალიზებულ საქართველოს ახალ ისტორიას (საქართველოს გაყოფილს სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ).

გახუშტის მიხედვით: „ძე მეფის თეიმურაზისა ერეკლე დაჯდა კახეთს“ („ცხოვრება მეფეთა კახეთისათა“). თავისთავად ტექსტი და ვითარებაც მოითხოვს გაგრძელებას, სადაც საჭიროა სათანადო დონეზე იქნეს განხილული მიმდინარე ისტორიულ-პოლიტიკური თუ სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები, რომლებიც უშუალოდ ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის მოღვაწეობას უკავშირდება.

მიგვაჩნია, რომ ქიმიისა და მეტალურგიის სპეციალისტების ეროვნული პათოსით გაუდენთილი უპირველესი მოვალეობაა ტექნიკის ისტორიის პოზიციებიდან მიზანდასახულად ღრმად ჩავწევდეთ ქართული სამთო-მეტალურგიული დარგის განვითარების პრობლემას. წინამდებარე ჩვენი ნააზრევიც ამ სურვილის მოკრძალებული გამოხატულება უნდა იყოს.

შესავალი

ტექნიკის ისტორიის სფეროში განსაკუთრებული მნიშვნელობისაა შუასაუკუნეების ეკონომიკის ისტორიულ-ტექნოლოგიური მხარის კვლევა-ძიების თემატიკა. მეცნიერული ინტერესის სფეროში შემოდის უძველესი და ძველი სამთო-მეტალურგიული წარმოების ანალიზი, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სპილენძისა და რკინის პირდაპირი აღდგენითი დნობის ტექნიკა-ტექნოლოგიისა და ძვირფასი ლითონების მოპოვება-დამუშავების სქემის დაზუსტებას. ამ მიმართებით ყურადღებას იმსახურებს XVIII საუკუნის სამთო საქმისა და ლითონწარმოების კომპლექსური გამოკვლევის პრობლემატიკა.

საქართველოში XVIII საუკუნეში მიმდინარე ისტორიულ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მოვლენები არაერთგზის აისახა ამ პერიოდის ისტორიკოს-მკვლევართა თუ ტექნიკის ისტორიის სპეციალისტთა მონოგრაფიებსა და ცალკეულ სტატიებში, სადაც ცალმხრივად არის გაშუქებული ქვეყნის ეკონომიკის წამყვანი დარგების, სამთო და მეტალურგიული წარმოების ობიექტების, მუშაობის ორგანიზაციული და ტექნოლოგიური მხარე (ალ. კოჭლავაშვილი, ვ. მელქონიანი, ვ. ჭანიშვილი, ი. მემარიაშვილი, კ. ჩოლოევაშვილი).

გამოქვეყნებული ინფორმაციული მასალა ძველი წარმოების ლოგიკური ანალიზის სფეროს განკუთვნება: არასაკმარისად არის ახსნილი ქართლ-კახეთის სამეფოში სახელმწიფო ხელისუფლების მიერ ეკონომიკის განვითარებისათვის ჩატარებული სიღრმისეული მოვლენები; არასრულად არის გამოყენებული XVIII საუკუნის ძირითად საწარმოო საშუალებათა შესწავლისა და ტექნიკის ისტორიისადმი მიძღვნილი ქართული, რუსული და ევროპული წყაროთმცოდნეობითი ანალიზის შედეგები; მცირე ადგილი ეთმობა ამ მნიშვნელოვანი ისტორიული პერიოდის ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური კვლევის მონაცემებს. დაგროვილი დიდალი ინფორმაცია და პრაქტიკულ-თეორიული ხასიათის მასალები

პრობლემისადმი ახლებურ მიღვომას და გადაწყვეტას მოითხოვს. საქართველოს ტერიტორიაზე ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი აღორძინების ეკონომიკური სურათის წარმოდგენისათვის ნაშრომში განხილულია:

ქართულ ლექსიკოგრაფიულ თხზულებებში დაცული სამთო და ქიმიურ-მეტალურგიულ პროცესებთან დაკავშირებული ცნობები;

მოგვავს პირველწყაროების სახით არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული და შესწავლილი სამთო-მეტალურგიული ძეგლების ისტორიულ-ტექნოლოგიური ანალიზის შედეგები;

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით განვიხილავთ XVII-XVIII საუკუნების საქართველოში ფუნქციონირებადი სამთო და მეტალურგიული საწარმოების მუშაობის ორგანიზაციულ და ტექნოლოგიურ-ეკონომიკურ მახასიათებლებს;

შეძლება ითქვას, რომ ნაშრომის ძირითად მიზანს შეადგენს XVIII საუკუნის სინამდვილეში გამოყენებული მეტალურგიული წარმოების ტექნოლოგიური პროცესის მეცნიერული ანალიზის შედეგების წარმოდგენა.

შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს XVIII საუკუნის საქართველოს სამთო და მეტალურგიული წარმოების აღდგენა-განვითარების ისტორიული პროცესის მონოგრაფიული გამოკვლევის ცდას. ამ პერიოდის ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების ანალიზი სრულად წარმოაჩენს მეცე ერეკლე II-ის ღვაწლს ქართული სახელმწიფოსა და ერის წინაშე, მნიშვნელოვან ადგილს მიუჩენს მას საქართველოს ისტორიაში.

XVIII ს. 60-70-იან წლები საქართველოში აღინიშნა უნიკალური მოვლენით, რომელსაც პრეცენდენტი არ ჰქონია არა მარტო საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში, არამედ სხვა ქვეწების სამთო-მეტალურგიულ პრაქტიკაში. ქართლ-კახეთის მეფემ, ერეკლე II-მ, აღნიშნულ პერიოდში შეძლო საფუძველი ჩაეყარა ქართული სამთო-მეტალურგიული წარმოებისთვის და ამით კვლავ აღედგინა ის ტრადიციები, რომლითაც მრავალი საუკუნის წინ გამოირჩეოდა ჩვენი ქვეყანა. დავით აღმაშენებელმა მეომარი ყივ-

ჩაღების გადმოსახლებით შეძლო ძლიერი ჯარის ჩამოყალიბება და მისი საშუალებით მტრების შემოსევების შეჩერება. ფაქტობრივად მსგავსი ამოცანა გადაწყვიტა ერეკლემაც მეტალურგი ბერძნების ჩამოსახლებით, მხოლოდ ამ შემთხვევაში მათმა მეტალურგიულ-მა ნაწარმმა შეასრულა იგივე როლი, რაც ყივჩაღების საომარმა შემართებამ. ქვეწის ეკონომიკის მკვეთრ გაუმჯობესებასთან ერთად, ერეკლემ მეტალურგიული საწარმოების საშუალებით შეძლო ისეთი საარტილერიო პარკის დაარსება, რომელმაც საგრძნობლად გაზარდა ქვეწის თავდაცვისუნარიანობა და მთელ რიგ შემთხვევებში ფიზიკური განადგურებისგანაც კი იხსნა ქართველი ერი.

ერეკლე II-ის მიერ განხორციელებულმა ღონისძიებებმა სათანადო ასახვა ვერ ჰპოვა ქართულ ისტორიოგრაფიაში და რაც უფრო საკვირველია, ისინი საერთოდ არ ყოფილა განხილული მეცნიერების და ტექნიკის ისტორიის პოზიციებიდან. ასეთი დამოკიდებულება ჩვენი წარსულის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენის მიმართ სრულიად გაუმართლებელია, მითუმეტეს რომ საქართველოს ისტორიულ არქივებში უამრავი მასალა არის დაცული აღნიშნული სამთო-მეტალურგიული წარმოების შესახებ. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა ერეკლესული მეტალურგიული ქარხნებისა და სამთო სარეწების მიზანდასახული შესწავლის აუცილებლობა.

1. საპითხოს ისტორია

ლიტერატურული ფფაროვანი

საკითხის ისტორიასთან დაკავშირებული ლიტერატურული წყაროები მრავალრიცხოვნებასთან ერთად მრავალფეროვნებითაც გამოირჩევა. ეს განპირობებულია იმ გარემოებით, რომ თვით საკვლევი თემა მოითხოვს მრავალშრივ მიღვოძას როგორც ისტორიული, ისე სამეცნიერო-ისტორიული, ქიმიურ-ტექნოლოგიური და მეტალურგიული პოზიციებიდან.

პირველ რიგში განვიხილავთ იმ მასალებს, რომლებიც პირველ-წყაროებს წარმოადგენს და საკვლევი პერიოდის თანადროულ ცნობებს შეიცავს ერეკლესეული მეტალურგიული საწარმოების შესახებ. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი შეადგენს XIX საუკუნის სიგელ-გუჯრებს, რომლებმიც მოხსენიებულია სამთო-მეტალურგიულ წარმოებასთან დაკავშირებული მთელი რიგი სამეურნეო-ორგანიზაციული და ტექნოლოგიური ხასიათის საკითხები. ასეთი პირველ-წყაროების დიდი რაოდენობა თავმოყრილია შ. ჩხეტიას მიერ გამოცემულ კრებულში [109]. მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს ნ. ბერძენიშვილის მიერ შედგენილი დოკუმენტების სამი ტომი „მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის“ [24-26]. უფრო ზოგადი სახის, მაგრამ სამთო-მეტალურგიულ წარმოებასთან დაკავშირებული მასალები გვხვდება ი. დოლიძის მიერ გამოცემულ „ქართული სამართლის ძეგლებში“ [48-50].

სამწუხაროდ ძველ ქართულ ლიტერატურაში ფაქტობრივად არ არის შემორჩენილი სამეცნიერო-ტექნიკური მიმართულების, კერძოდ კი სამთო და ქიმიურ-მეტალურგიული შინაარსის თხზულებები, რომლებშიც განხილული იქნებოდა მინერალური რესურსების (მაღალების) მოპოვებისა და გადამუშავების საკითხები. ამ დანაკლის ერთგვარად ავსებს ვახტანგ VI-ს (1675-1737 წწ.) და დავით ბატონიშვილის (1767-1819 წწ.) ქიმიური შინაარსის ნაშრომები. ვახტანგის ცნობილ თხზულებაში „წიგნი ზეთების შეზავებისა და

ქიმიის ქმნის“ განხილულია ჩვენთვის საინტერესო ზოგიერთი ისეთი საკითხი, როგორიც არის ოქროს გამოღნობა და გაწმენდა, სხვადასხვა სახის სპილენძის შენაღნობების მიღება და ა.შ. [15]. ქართულ ლიტერატურულ წყაროებში ლითონების კლასიფიკაციის ყველაზე ადრეული ნიმუში მოცემულია დავით ბატონიშვილის თხზულებაში „შემოკლებითი ფისიკა საქმითი“. აქვე გვხვდება ცნობა აღდგენის მეთოდით ოქსიდებიდან ლითონის მიღების მეთოდთა შესახებ [33]. გარდა ამისა, დავით ბატონიშვილი ლითონებთან დაკავშირებით საინტერესო ცნობებს თავის ფარმაკოქიმიურ სახელმძღვანელოში გვაწვდის [62].

ერებლე II-ის დროს მკვეთრი აღმავლობა განიცადა საარტილერიო საქმებ. ამ გარემოებამ თავისი ასახვა პპოვა ქართულ ენაზე მთელი რიგი არტილერიასთან დაკავშირებული სახელმძღვანელოების შედგნისას. ამ სახელმძღვანელოებში საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა ისეთ საკითხებს, როგორიცაა ზარბაზნების ჩამოსხმა, ლითონის ბირთვების დამზადება და სხვ. საარტილერიო შინაარსის ქართულ ლიტერატურას საფუძველი ჩაუყარა აღექსანდრე ბატონიშვილის (1674-1711 წწ.). მიერ ფრანგულიდან თუ რუსულიდან ქართულად თარგმნილმა ნაშრომმა. ფაქტობრივად ამ თხზულების სქემა გაიმეორეს დავით ბატონიშვილმა და იოანე ბატონიშვილმა (1768-1830 წწ.) მათ მიერ შედგენილ საარტილერიო შინაარსის თხზულებებში [61, 63-64].

სამთო და ქიმიურ-მეტალურგიულ პროცესებთან დაკავშირებით ცალკეული ცნობები შემონახულია ქართულ ლექსიკოგრაფიულ ლიტერატურაში, ისინი ყურადღებას იქცევენ როგორც ტერმინოლოგიური, ისე ტექნოლოგიური თვალსაზრისითაც, ვინაიდან ტექნიკურ ტერმინებთან ერთად ზოგჯერ მათი შინაარსიც არის განმარტებული. აღნიშნულ ლექსიკონებს შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“, რომელშიც ფაქტობრივად პრობლემის თანადროული მასალებია წარმოდგენილი [31-32]. მეცნიერული თვალსაზრისით ასევე მნიშვნელოვან საკითხებს შეიცავს დავით ბატონიშვილის და განსაკუთრებით იოანე

ბატონიშვილის ლექსიკონები [6,13]. არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება XIX ს. დასაწყისში შედგენილ ნიკო ჩუბინაშვილის (1788-1845 წწ.) ლექსიკონს [57]. ოუმცა შედარებით გვიან, 1887 წელს გამოიცა დ.ჩუბინაშვილის (1814-1891 წწ.) ლექსიკონიც, რომელიც XVIII საუკუნის მასალების ინტენსიური გამოყენების გამო საქაოდ დიდი რაოდენობით შეიცავს ჩვენთვის საინტერესო განმარტებებს [58].

ზოგადი სახით პირველწყაროებს უნდა მივაკუთვნოთ XIX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიული ლიტერატურაც. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ვახუშტი ბატონიშვილის (1696-1757 წწ.) „საქართველოს სამეფოს აღწერა“, რომელშიც მოყვანილია ყველა ის გეოგრაფიული ადგილი, სადაც XVIII ს. შუა წლებისათვის წარმოებდა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება და გადამუშავება [7]. პაპუნა ბარათაშვილი (XVIII ს.), ომან ხერხეულიძე (XVIII ს. მე-2 ნახ.) და უფრო გვიან თეიმურაზ ბატონიშვილი (1782-1886 წწ.) ერეკლეს მოღვაწეობის აღწერისას ეხებიან იმ განსაკუთრებულ როლს, რომელიც მან შეასრულა საქართველოში სამთო-მეტალურგიული წარმოების აღორძინების საქმეში [5, 30, 65].

პირველწყაროების დონეზე განვიხილავთ იმ ქართულ ლიტერატურას, რომელშიც ერეკლეს სამთო-მეტალურგიულ წარმოებასთან დაკავშირებული არქეოლოგიური მასალებია მოყვანილი. არქეოლოგიური მონაპოვარი გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის მეტალურგიული ღუმელების კონსტრუქციისა და წარმადობის შესახებ, საშუალებას გვაძლევს საკმაო სიზუსტით აღვადგინოთ ლითონის დნობასთან დაკავშირებული პროცესები, რომელთა შესახებაც წერილობით წყაროებში მონაცემები თითქმის არ არის მოყვანილი (ფთავაძე, ი. გძელიშვილი, გ. ინანიშვილი). არქეოლოგიის და ტექნიკის ისტორიის პოზიციებიდან შესწავლილია ძველი ღუმელების კონსტრუქციები და მათი მოქმედების პრინციპი [81, 88, 89, 106]. განსაკუთრებით საყურადღებოა ი. გძელიშვილის სტატია, რომელშიც განხილულია XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მოქმედი რკინის მეტალურგიული წარმოების ღუმელი [81]. ჩვენთვის ასევე საინტერესო მონაცემებს შეიცავს გეოლოგიური გამოკვლევები, რომლებ-

შიც ხშირად არის მოხსენიებული ძველად მოქმედი, და მათ რიცხვში, ერეკლესძროინდელი მაღაროებიც. ამავე დროს, გეოლოგიური მონაცემები სხვადასხვა რეგიონში ადრე მოქმედი სარეწების და მაღაროების განთავსების შესახებ, რეალურად მიგვანიშნებს იმ გეოგრაფიულ განლაგებაზე, სადაც ძველად წიაღისეულის გადამუშავება უნდა ეწარმოებინათ. ასეთი სახის გამოკვლევებიდან პირველ რიგში უნდა აღინიშნოს 1933 წელს გამოცემული კრებული „Минеральныи ресурсы ССР Грузии“ [96]. სამწუხაროდ ამ კრებულში ვერ მოხვდა ის რეგიონი, რომელშიც შედიოდა ალავერდის, ახტალის და მათთან მიმდებარე პუნქტების საბადოები. ერეკლეს დროს ეს მხარე ქართლ-კახეთის შემადგენლობაში შედიოდა და მეფემ სწორედ იქ აამუშავა თავისი სამთო-მეტალურგიული საწარმოები. მოგვანებით ეს მხარე სომხეთს გადაეცა და ამის გამო ცხადია, რომ ის ვერ მოხვდებოდა აღნიშნულ კრებულში. სამაგიეროდ ამ ხარვეზს ნაწილობრივ ავსებს 1917 წელს გამოქვეყნებული ნარკვევი „Полезные ископаемые и минеральные воды Кавказского края“ [101], რომელშიც ჩვენთვის საინტერესო ყველა ცნობა არის დაცული.

ასეთი სახის ლიტერატურულ წყაროს განეკუთვნება აგრეთვე გვიან გამოცემული კრებულები, რომლებშიც საქართველოს ტერიტორიის გეოლოგიური გამოკლევების შედეგებია მოყვანილი [102-103].

ჩვენი თემატიკისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ მიგვაჩნია ეთნოგრაფიული ლიტერატურა, რომლის საშუალებითაც აღდგენილ იქნა ერეკლეს ქარხნებსა და მაღაროებში მოქმედი ტექნოლოგიური სქემები. ამ მიმართებით მნიშვნელოვანი მასალა მოპოვება ცნობილი ეთნოგრაფის ნ. რეხვიაშვილის მონოგრაფიებსა და სტატიებში [34-38]. გარდა ამისა, ლითონის გადამუშავებისა და მიღების შესახებ მთელი რიგი ცნობები არის დაცული ქართველი ეთნოგრაფი ავტორების გამოკვლევებში [18, 19, 41, 52]. აქვე უნდა დავასახელოთ ნ. ახალგაცის ნაშრომები, რომლებიც ლითონის გამოწრობის გარდა, ნახშირის მიღების ხალხურ წესებს განიხილავს [2,3]. ყურადღებას იქცევს ეთნოგრაფ კ. ჩოლოფაშვილის

ნაშრომი, რომელიც ერეკლესდროინდელი საიარაღო და საომარი ნაწარმის აღწერას ეძღვნება [54].

საყურადღებო მასალები მოიპოვება XVII-XVIII საუკუნეების საქართველოსთან დაკავშირებულ რუსულ და უცხოურ ეთ-ნოგრაფიულ კრებულებში. აღნიშნული ნაშრომების ფასულობა პირველ რიგში იმ გარემოებით არის განპირობებული, რომ ისინი სწორედ იმ ადრეულ პერიოდს განეკუთვნებიან, როდესაც ძელი ქართული მეტალურგიული ტერმინები და საწარმოო-სახელოსნო წეს-ჩვეულებები ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი ქართულ ყოფაში. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ა.ვოსკობოინიკოვის, ი.ეიხულევის, ნ.ბუტკოვის, ა.პეტცოლდის და სხვათა გამოკვლევები, რომლებშიც საკმაოდ დაწვრილებით არის განხილული ქართველი ოსტატების მიერ იმ დროისათვის გამოყენებული მეტალურგიული წარმოების ტექნოლოგიური სქემები [74, 76, 111, 116].

მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული რუსული დოკუმენტების შემცველ ლიტერატურაში, რომელშიც სხვადასხვა გზავნილ-წერილებში მოხსენებების სახით წარმოდგენილია ქართულ სამთო წარმოებაში არსებული ვითარება, ზოგჯერ მთელი რიგი ტექნოლოგიური პარამეტრების დაზუსტებით. ამ ტიპის ლიტერატურული წყაროებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მასალები, რომლებიც საისტორიო არქივში ინახება [40, 42-45]. აღნიშნული მასალებიდან ზოგიერთი, სხვა საარქივო დაწესებულებების მასალებთან ერთად, გამოკვენებულია გამოკვლევებში, რომლებშიც რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს სამთო და სამთო-მეტალურგიული წარმოების ათვისების ისტორია არის განხილული [14, 84, 87, 104]. საინტერესო ცნობებს შეიცავს ერეკლეს ქარხნებთან უშუალოდ დაკავშირებული პირების – მაღნების სპეციალისტის, ანასტას ჰაჯიფეტოვის 1832 წლის მოგონებები [77] და ერეკლე II-სთან დაახლოებული პირადი ექიმის, რეინექსის ჩანაწერები [113].

საქართველოში სამთო და სამთო-მეტალურგიული წარმოების ასალორმინებლად ერეკლეს მიერ ჩატარებულ საქმიანობაზე თითქმის სრულ წარმოდგენას გვიქმნის აკადემიკოს ი. გიულდენშტედტის

ჩანაწერები, რომლებიც მან საქართველოში მივლინებისას 1770-1771 წლებში გააკეთა. საკმაოდ დაწვრილებით არის აღწერილი იმ დროს მოქმედი ან მიტოვებული ქარხნები და საბადოები, მოყვანილია ქართლ-კახეთის ტერიტორიაზე პირველად ჩატარებული გეოლოგიური კვლევების შედეგები, რომლებიც აკადემიკოსმა ერეკლეს დავალებით განახორციელა [8, 9].

პირველწყაროების შემცველ ლიტერატურასთან ერთად, დიდ მნიშვნელობას განიჭებთ თანამედროვე გამოკვლევებს, რომლებიც XVIII საუკუნის ქართულ სამთო-მეტალურგიულ წარმოებას პირდაპირ თუ არაპირდაპირ ეხება. აქ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ დაგოგოლაძის, გ.მარგიანის და სხვათა გამოკვლევები [23, 73, 83]. დაწვრილებითი, კონკრეტული სახის ცნობები აღნიშნული წარმოებების ტექნოლოგიური სქემების აღწერით მოყვანილია ა.როგავას და ალ.კოჭლავაშვილის მონოგრაფიულ გამოკვლევებში [22, 105]. მეტალურგიულ პროცესებთან დაკავშირებით მეტად მნიშვნელოვანი მონაცემებია დაცული ი.გძელიშვილის მონოგრაფიაში [82]. უნდა მოვიჩხნიოთ ა.კლიმიძაშვილის საინტერესო ნაშრომი, რომელშიც ერეკლეს არტილერიასთან დაკავშირებული საკითხებია განხილული [20]. ყურადღებას იმსახურებს ის ნაშრომები, რომლებიც თანამედროვე გამოკვლევებს უძღვდა წინ. მათ შორის უნდა დავასახელოთ XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე გამოკვეყნებული ს.გულიშამბაროვის, ა.შოსტაკის და ს.ესაძის შრომები, რომლებიც XVIII საუკუნის სამთო-მეტალურგიულ წარმოებასთან დაკავშირებულ ძალზე მნიშვნელოვან საბუთებს შეიცავს [85, 90, 112]. ასეთი სახის საბუთები დაცულია აგრეთვე ადრე გამოცემულ არქეოგრაფიული კომისიის დოკუმენტებში [67, 68].

ერეკლეს მოღვაწეობის პერიოდის სამთო-მეტალურგიულ წარმოებაში გამოყენებულ მთელ რიგ ტექნოლოგიურ პროცესებს თანამედროვე სამთო საქმე და მეტალურგია უკვე დიდი ხანია აღარ იყენებს. ამდენად, ზოგჯერ ამ პროცესების მექანიზმის დადგენა შეიძლება არც თუ ისე იოლ პრობლემას წარმოადგენდეს. ამ შემთხვევაში ქმედითი დახმარება გაგვიწია იმ თანამედროვე ლიტერ-

ატურამ, რომელშიც XVI-XVIII საუკუნების სამთო და სამთო-მეტალურგიული წარმოების ტექნოლოგიური მხარე ზოგადად არის განხილული და გაანალიზებული. ასეთი სახის ლიტერატურიდან პირველ რიგში აღსანიშნავია ტექნიკის ისტორიისადმი მიძღვნილი რიგი გამოკვლეული [86, 92, 97, 110].

ერეკლე II-ის საწარმოებში გამოყენებული ტექნოლოგიური სქემების დასაღენად ცალკეული გამოცემების გარდა, მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის რუსული სახელმძღვანელოები, რომლებიც მეტალურგიასა და ტექნიკურ ქიმიას ეძღვნება. აღნიშნულ სახელმძღვანელოებში ხშირად აღწერილია იმ დროს ჯერ კიდევ შემორჩენილი მთელი რიგი სამთო-მეტალურგიული საწარმოები, რომლებიც ისევ მოძველებულ (და ამიტომაც ჩვენთვის საინტერესო) ტექნოლოგიურ სქემებს იყენებდნენ. ამათგან ყურადღებას იქცევს ჯ.პერსის, ფ.ვიუსტის და სხვათა ნაშრომები, რომლებშიც საკმაოდ დაწვრილებით არის მოცემული აღნიშნულ საწარმოთა პაპარატურული და ტექნოლოგიური ანალიზი [78-80]. ასევე მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს ნ.ლუბავინის და რ.ვაგნერის ტექნიკური ქიმიის ცნობილი ფუნდამენტური სახელმძღვანელოებიც [75, 93-95].

ქართული სამთო და სამთო-მეტალურგიული წარმოების ისტორიული და ტექნოლოგიური პოზიციებიდან შეფასებისას ქმედითი დახმარება გაგვიწია მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორიისადმი მიძღვნილმა ნაშრომებმა. მათ რიცხვს მიეკუთვნება რ. ფორბის ცნობილი მონოგრაფია ძველ მსოფლიოში ლითონების მოპოვების და გადამუშავების ისტორიული გზის განვითარების შესახებ [114], ასევე მნიშვნელოვანია მ.პოკროვსკის „ნარკვევები მეტალურგიის ისტორიიდან“ [100] და გ.ფესტერის „ქიმიური ტექნიკის ისტორია“ [107].

გამოყენებული ლიტერატურული წყაროების ანალიზიდან ნათელია, რომ მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი მასალების არსებობის მიუხედავად, ჯერ კიდევ დეტალურად გამოსაკვლევია XVIII საუკუნის საქართველოს სამთო-მეტალურგიული წარმოების

ისტორია. ზემოთ აღნიშნულმა ლიტერატურულმა წყაროებმა, არქეოლოგიურმა და ეთნოგრაფიულმა მასალებმა შესაძლებლობა მოგვცა სათანადო კომენტარებით და შესწორებებით, სრულყოფილად შეგვესწავლა ამ პერიოდის ეკონომიკური განვითარების ძირითადი ასპექტები; რომ ჩატარებულმა სამეცნიერო-თეორიულმა და პრაქტიკულ-ექსპერიმენტულმა შედეგებმა განსაზღვროს ერეკლე II-ის პროგრესული მოღვაწეობის ადგილი საქართველოს სამოქალაქო ცხოვრებისა და ეკონომიკის განვითარების ისტორიაში.

XVII-XVIII საუკუნეების საეპართველოს სპილენძის და რაინის ჭარმოების ისტორიულ-ეთალურგიული ანალიზი

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული გამადწებათა სისტემის გეოქიმიური მონაცემები ხელს უწყობდა აქ ისტორიულად სპილენძის და რკინის მეტალურგიის საწყისების შექმნის და განვითარების პროცესს. ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა შორის არსებულმა ტექნიკური აზრის განვითარების დონემ განაპირობა სამთო საქმისა და მეტალურგიის სწრაფი ათვისება. ძვ. წ. III ათასწლეულიდან ამიერკავკასია წარმოადგენს სპილენძ-ბრინჯაოს, ხოლო ძვ. წ. XII საუკუნიდან რკინა-ფოლადის მწარმოებელ და მომხმარებელ რეგიონს [1; 10, გვ.19-22; 108, გვ.335]. აქ არსებული სპილენძისა და რკინის საბადოები გამოყენებული იყო ლითონწარმოების ისტორიის სხვადასხვა საფეხურზე.


საერთოდ კავკასიის რეგიონის მინერალური რესურსებისაგან გამოიყოფა გამადწებათა ოთხი პროვინცია, სადაც განვითარებულია სხვადასხვა პერიოდის მადანგამოვლინებები. მათ ერთგვაროვანი გეოქიმიური მახასიათებლები გააჩნიათ [102, გვ.35]. მათ შორის გამოიყოფა ცენტრალური კავკასიონის, კავკასიონის სამხრეთი კალთების, აჭარა-თრიალეთის და სომხითის სისტემები.

საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული სპილენძის შემ-

ცველი ძირითადი მინერალების დახასიათება მოცემულია შემდეგი სახით (ცხ. 1 და სურ. 1).

ცხრილი 1. სპილენძის შემცველი მინერალების დახასიათება

| № | მინერალი | ქიმიური ფორ-მულა | სპილენძის შემცველობა, % | ფერი |
|----|-------------|---|-------------------------|-------------------------|
| 1. | ნალკოპირიტი | CuFeS_2 | 34,5 | თითბრისფერი |
| 2. | ნალკოზინი | Cu_2S | 79,8 | შავი-რუხი |
| 3. | ბორნიტი | $\text{CuS} \times \text{FeS}_4$ | 63,5 | სპილენძისფერი წითელი |
| 4. | კავულინი | CuS | 66,4 | მუქი ღურჯი |
| 5. | მალაქიტი | $\text{CuCO}_3 \times \text{Cu(OH)}_2$ | 57,4 | მწვანე |
| 6. | ტენარტიტი | $3\text{Cu}_2\text{S} \times \text{As}_2\text{S}_3$ | 20,0-22,0 | რუხი |




სურ. 1. სპილენძის შემცველობა მინერალებში

საქართველოში რკინის წარმოების განვითარების ისტორიული საფეხურებით, ძვ.წ. II ათასწლეულიდან განვითარებული შეჟანუკუნების ჩათვლით, აქ არსებული რკინის საბადოები სინქრონულად წარმოადგენენ მეტალურგიული გადამუშავების კერებს. ისინი მოიცავენ ოცდაათამდე სხვადასხვა სიმძლავრის საბადოს და გამოირჩევიან გენეტიკური მრავალფეროვნებით [81, გვ.14; 102,

გვ.81]. საბადოთა შემადგენელი მინერალები ხასიათდებიან რკინის მაღალი შემცველობით და აღდგენითი პროცესისათვის ოპტიმალური მახასიათებლებით (ცხ. 2 და სურ. 2).

ცხრილი 2. რკინის შემცველი ძირითადი მინერალების დახასიათება

| № | მინერალი | ქიმიური ფორ-მულა | რკინის შემცველობა, % | ფერი |
|----|-----------------------------|---|----------------------|-------------------------|
| 1. | მაგნეტიტი | Fe_3O_4 | 65-70 | შავი, ლითონური |
| 2. | ჰემატიტი (რკინის კრიალა) | Fe_2O_3 | 70 | შავი, ლითონური |
| 3. | ჰიდროჰემატიტი | $\text{Fe}_2\text{O}_3 \times \text{nH}_2\text{O}$ | 60-65 | წითელი, ლითონური |
| 4. | წითელი რკინაქვა | Fe_2O_3 | 70 | წითელი, ლითონის-მაგვარი |
| 5. | მურა რკინაქვა | $2\text{Fe}_2\text{O}_3 \times 3\text{H}_2\text{O}$ | 60-65 | რუხი |



სურ. 2. რკინის შემცველობა მინერალებში

საქართველოს ტერიტორიაზე სპილენძისა და რკინის მაღნეულ საბადოთა გავრცელების გეოგრაფიული არეალი, მათი გეოლოგიურ-გეოქიმიური მონაცემები, განსაზღვრავენ ამ ტერიტორიაზე არსე-

ბულ უძველეს სამთო და მეტალურგიულ წარმოებათა მოქმედების სივრცეს. მეტალურგიული წარმოების სისტემაში მოქცეული სამთამადნო ობიექტები, მათი კავშირი არსებულ საბაზოთა გამადნების ზონასთან, განაპირობებდა მადანგადამამუშავებელი და მეტალურგიული კერების არსებობას მთისწინა და მთის ზოლში. საქართველოში ფერადი მეტალურგიის, პოლიმეტალების დამუშავების დაშავი მეტალურგიის ისტორიულ განვითარებასთან დაკავშირებული სამთამადნო წარმოების ძეგლები, მუშაობის პრინციპული სქემებით და საინჟინრო-ტექნიკური მახასიათებლებით მსგავს, ერთგვაროვან სისტემაში ერთიანდება.

სპილენძ-პრინჯაოს და რკინის მეტალურგიის წარმოების ტექნოლოგიური დონე მიზანშეწონილად და ტრადიციულად გრძელდება შესასაუკუნეების საქართველოში, სადაც შესამჩნევია სამთო და მეტალურგიული კერების განვითარების გარდამავალი, არათანაბარი იმპულსები, რაც განპირობებული იყო სახელმწიფოს პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარებით.

ფერადი და შავი ლითონების უძველესი მეტალურგია ეყრდნობა პირომეტალურგიის ზოგად კანონებს, პროცესებს, რომლებშიც ხდება ოქსიდური, კარბონატული და სულფიდური მადნების აღდგენა ხის ნახშირის საწვავზე ცივბერვითი პროცესით [71, გვ. 18].

სპილენძისა და რკინის მადნების ამ პრინციპით გადამუშავების ტექნოლოგიური სქემები გამოყენებული იყო XVIII საუკუნის მიწურულამდე. ხის ნახშირზე მომუშავე მეტალურგიული ღუმელები და მოგვიანო პერიოდში სამთო-მეტალურგიული გაერთიანებები ფუნქციონირებდნენ ჩვენთვის საინტერესო პერიოდში. ერთა დროს აღდგენილი სამთო და მეტალურგიული წარმოების ობიექტები ძველი ტექნიკა-ტექნოლოგიური შესაძლებლობებით აგრძელებდნენ მუშაობას. ასეთივე სამუშაო-საორგანიზაციო ღონისძიებები რჩებოდა ძალაში ამ პერიოდის მანუფაქტურული გაერთიანებების ჩამოყალიბების შემდეგაც.

XVIII საუკუნის საქართველოში, ქვეყნის ეკონომიკური აღორძინების პრინციპული ორგანიზაციულ-ტექნოლოგიური პრო-

ცესების პარამეტრების დადგენისა და მიმდინარე სიღრმისეული მოვლენების სრულად აღქმის მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოკლედ განვიხილოთ ამ პერიოდის სპილენძისა და რკინის საწარმოო ცენტრების მუშაობის ტექნოლოგიური მონაცემები, რაც ტიპიურია XVII-XVIII საუკუნეებში მოქმედი სამთო-მეტალურგიული კომპლექსებისათვის [21, 22].


სპილენძის მეტალურგია

სპილენძის წარმოების უძველესი ტექნოლოგიური პროცესების შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში მცირე ცნობები მოგვეპოვება. მწირია ნივთიერი არქეოლოგიური მასალა – წარმოების ნაშთები (ქურა, წილა, მადანი, სამსხმელო ყალიბები და სხვ.); ამდენად მნელდება უძველესი მეტალურგიული პროცესების აღდგენა. გარკვეული ინფორმაციის მომცველია ეთნოგრაფიული და წერილობითი მასალები, რომლებიც შესაძლებლობას იძლევა დამაჯერებლად იქნეს აღდგენილი მადნიდან სპილენძის მიღების ტექნოლოგიური პროცესი, ქურაში მიმდინარე ქიმიური რეაქციები, ლითონთა ოქსიდების აღდგენის ტემპერატურული რეჟიმი, პროცესების ხანგრძლივობა და სხვ.


პირველი მეტალურგიული (გამოდინილი) სპილენძი ოქსიდური და კარბონატული მადნებიდან იქნა მიღებული პირდაპირი აღდგენის გზით. აქედან ეყრება საფუძველი სპილენძის მეტალურგიას.

მეორადი წარმოშობის ოქსიდური და კარბონატული მადნები მდიდარია სპილენძით, განლაგებულია საბაზოთა ზედა ფენებში და აღვილი მოსაპოვებელია. ამ კლასის მადნებიდან სპილენძის აღდგენა მიმდინარეობს ხის ნახშირზე შექმნილი ტემპერატურისა და აღმდგენელი ატმოსფეროს პირობებში.

სპილენძის თავისუფალი ოქსიდების აღდგენა ნახშირუნებისა და ნახშირბადის საშუალებით მიმდინარეობს შემდეგი რეაქციებით:



აღდგენით პროცესში მონაწილეობს არა მარტო თავისუფალი, არამედ უმეტესად შეკავშირებული სპილენძის ოქსიდები სხვადასხვა მინერალების (მალაქიტი, აზურიტი, ქალკანტიტი, ქრიზოკოლა და სხვ.) სახით, რომლებიც აღდგენითი დნობის დროს განიცდიან სათანადო გარდაქმნებს. მალაქიტი და ქალკანტიტი იშლება სპილენძის ოქსიდის გამოყოფით.



მიღებული ოქსიდების აღდგენა ლითონურ სპილენძამდე კი წარმოებს ზემოაღნიშნული რეაქციებით (1).

მალაქიტიდან ან სხვა ნახშირმჟავა (კარბონატული) მადნიდან სპილენძის აღსაღენად ლითონურ მდგომარეობამდე საკმარისია 700-800°C ტემპერატურა. ოქსიდური და კარბონატული მადნების დნობის მიმდინარე რეაქციების შედეგად წარმოებს სპილენძის აღდგენა ლითონურ მდგომარეობამდე. სწორედ ამის გამო ეს პროცესი აღდგენითი დნობის სახელს ატარებს და წარმოადგენს სპილენძის მიღების ან გამოღნობის უძველეს ხერხს.

ამიერკავკასიაში უძველესი, ძვ. წ. III ათასწლეულის მიწურულით დათარიღებული, სპილენძის საღნობი მეტალურგიული ქურა აღმოჩენილია ახალციხის ამირანის გორასა და აზერბაიჯანის სოფ. ბაბადერვიშის არქეოლოგიური გათხრების შედეგად.

აღნიშნული ქურები კონსტრუქციულად წარმოადგენს ორმოში ჩაჭრილ ქვით ნაგებ, თაღოვან კონსტრუქციას ხელოვნური ცივი ბერვის პრინციპით. ამ ტიპის სპილენძის საღნობი მეტალურგიული ქურები აღმოჩენილია მოგვანო პერიოდის, ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისის ძეგლებზე (სოხუმის მთის გათხრები და სოფ. ქედში მეტალურგიული სახელოსნო).

შემოწმებული ინფორმაციის მომცველია ცნობები ალავერდის სპილენძსაღნობი საწარმოს შესახებ, რომელიც XVIII ს. მეორე ნახევარს განეკუთვნება. აქ, როგორც წერილობითი წყაროებიდან არის ცნობილი, სპილენძს 2500 წლის წინათ აღნობდნენ.

რკინის მეტალურგია


მადნებიდან პირდაპირი აღდგენით რკინის მიღების პროცესი, თანამედროვე მეტალურგიული წარმოებისაგან განსხვავებით, ცივბერვით პროცესად არის მიღებული და ძველ მსოფლიოში რკინის მეტალურგიის ტექნოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი და შესწავლილი რკინის წარმოების ქურები განვითარებული კონსტრუქციისაა და შესაძლებელია მათი გამოყენება რკინის აღდგენის კლასიკური პროცესისათვის, რომელიც ზოგირთი ლოკალური ტექნიკურ-ტექნოლოგიური თავისებურებების გამოკლებით, ანალოგიურია ყველა ძველი მეტალურგიული კერისათვის.

უძველესი მეტალურგიული პროცესების ტექნოლოგიური დახასიათება მოცემულია აბაიკოვის მიერ. მან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო რკინის პირდაპირი აღდგენის უძველეს პროცესს, დაამუშავა მისი თეორიული ნაწილი იაკუტის ეთნოგრაფიული მასალის მონაცემების გათვალისწინებით [71, გვ. 339-381]. ქურაში ჩატვირთვამდე რკინის მადანი (ჰემატიტი ან მაგნეტიტი) განიცდის მექანიკური (პირველადი) და ფლოტაციის მეთოდით (მეორადი) გამდიდრების პროცესს. პალეომეტრულურგიული მონაცემების მიხედვით კარიერული მოპოვების ჰემატიტური რკინის მადანი დამატებით მუშავდება წინასწარი გამოწვის პრინციპით, მაგნეტიტური მადანი კი ექვემდებარება ტემპერატურული შეცხობის ან გაცრა-ფლოტაციის პროცესს.

საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრებით აღმოჩენილი რკინის მეტალურგიული წარმოების ქურები, კონსტრუქციული მონაცემებით, წარმოადგენს შახტური ტიპის ღუმელს, რომლებიც მუდმივმოქმედ სტაციონარულ მეტალურგიულ კერას ქმნიან. მათი კონსტრუქციული ტიპი შექმნილია ბრინჯაოს მეტალურგიის ტექნოლოგიური პროცესის შედეგად მიღებული გარკვეული ემპირიული გამოცდილების დაგროვების საფუძველზე, სადაც გამოყენებულია ოქსიდური მადნებიდან რკინის აღდგენის ოპტიმალური


ტემპერატურული სქემა ($1000-1250^{\circ}\text{C}$).

შახტური ტიპის ღუმელში, ნახშირის წვის შედეგად განვითარებული მაღალი ტემპერატურა მოქმედებს ქურის მთელ სამუშაო არეში ჩატვირთული კაზმის მასაზე (ნახშირი + მადანი). ვინაიდან ღუმელის კონსტრუქციული განვითარების სხვადასხვა უტავზე მისი მაქსიმალური სიძალლე არ აღემატებოდა 1,5 მეტრს, რკინის მადანი ქურის უკიდურესი ზედა ნაწილიდან ექცეოდა ტემპერატურულ არეში, სადაც ღუმელის მუშაობის რეჟიმით იქმნებოდა პირობები აღმდგნელი აირის და კაზმის ნაკადის შეხვედრისათვის ($\text{C} + \text{O}_2 = \text{CO}_2$; $\text{C} + \text{CO}_2 = 2\text{CO}$). აღმდგნელი აირი ღუმელში არსებული წევით მიემართებოდა ზევით და კაზმის გავლით ქმნიდა აღმდგნელ ატმოსფეროს. რკინის აღდგენის პროცესი მიმდინარეობს ღუმელის ჩატვირთვის სფეროდან (საკერძესთან), სადაც ტემპერატურა 1000°C აღემატება და ცნობილი რეაქციებით ზდება რკინის უნგეულების გარდაქნა. თბური ეფექტის ბალანსი დადგებითია და CO -ს ნაკადის სწორი და აღმავალი განაწილება კაზმის მიმართ ვერტიკალური შემხვედრი ნაკადით განაპირობებს აღდგენით პროცესის ოპტიმალურ შედეგს.




ღუმელის წარმადობა ქურის სამუშაო სივრცეში მიმდინარე მეტალურგიული პროცესების პირდაპირპორციულია, სადაც უმთავრესია მაღალი და საწვავის ოპტიმალური დატვირთვა, წვისათვის საჭირო ჰაერის შებერვა და სხვ. ღუგვი რკინის გამოსავალი ძირითადად დამოკიდებულია საკაზმე მასალის ხარისხსა და რაოდენობრივ (მოცულობით) მაჩვენებლებზე.


მეტალურგიული რკინის აღდგენის პროცესში წარმოიქმნება რკინისა და ნახშირბადის მყარი ხსნარი, მიმდინარეობს რკინის მასის დანახშირბადიანება. პროცესი არათანაბარია და ტემპერატურისაგან დამოკიდებულებით და ღუგვი რკინის ქურაში დაყოვნების შესაბამისად, ნახშირბადის შემცველობა მასში იცვლება $0,1-1,0\%$ -ის დიაპაზონში. ამავე დროს ფუჭი ქანის აწიდვა ხდება $\text{FeO} + \text{SiO}_2$ -ის ხარჯზე. ცივბერვითი პროცესის საერთო სქემა შეიძლება ასე გამოისახოს:



რკინის აღდგენის ცივბრვითი პროცესი, საუკუნეების განმავლობაში უძველესი დროიდან ვიდრე XIX საუკუნემდე, ფართოდ იყო გავრცელებული. საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრებით აღმოჩნილი რკინის მეტალურგიული წარმოების ძეგლები თარიღდებიან ძვ. წ. XII საუკუნიდან, ანტიკური და შუასაუკუნეების გავლით ას. წ. XVIII საუკუნის ჩათვლით. მეტალურგიულმა ქურამ განვითარების სამი ათასწლეულის მანძილზე კონსტრუქციული ცვლილებები განიცადა და შესაბამისად გაიზარდა მეტალურგიული დანადგარის წარმადობის მაჩვენებლებიც (სურ. 3-6; მონაცემები ი.გძელიშვილის მიხედვით).




სურ. 3. რკინის სადნობი ღუმელი ჭუბერიდან (XI-XII სს)
1 - გრუნტი, 2 - ქვის წყობა, 3 - ქურა, 4 - კაზმის ჩატვირთვის უბანი, 5 - წილის გამოსაშვები ხვრელი, 6 - საბერველის სისტემა




სურ. 4. რკინის სადნობი ქურა გონბათიდან (XII-XIII სს)

1 - გრუნტი, 2 - ქვის წყობა, 3 - მაღალის გამოსაწვავი კამერა, 4 - ქურა,
5 - საბერვლების სისტემა, 6 - წილის გამოსაშვები.



სურ. 5. რკინის სადნობი ქურა ძველი ბოგვიდან (XVII-XIX სს)

1 - ღუმელის ქვის წყობა, 2 - ქურა, 3 - გედლის ქვის წყობა,
4, 5, 6 - საბერვლის სისტემა, 7 - ქურის წინა ღარი, 8 - ხის
ნახშირი, 9 - შელესილობა, 10, 11 - ქვის საფენი, გრუნტი.



სურ. 6. რკინის სადნობი სახელოსნო სოფ.წედისიდან (XVIII-XIX სს)

1 - ქურის კედლის წყობა, 2 - ღუმელი, 3 - წილის გამოსაშვები
ხვრელი, 4, 5, 6 - საბერვლის სისტემა, 7 - გრუნტი.

როგორც საქართველოში უძველესი პერიოდის სპილენძ-ბრინჯაოს და რკინა-ფოლადის წარმოების ანალიზიდან ჩანს, საწარმოო კერების ჩასახვის პერიოდიდან ვიდრე XVII-XVIII საუკუნეებამდე სამთო და მეტალურგიული ობიექტები ფუნქციონირებდნენ ძველი ტექნიკა-ტექნოლოგიის შესაძლებლობათა პირობებში. მიუხედავად მნიშვნელოვანი საწარმოო დანაკარგებისა, ეკონომიკის ეს წამყვანი დარგები შეადგენდნენ სახელმწიფო ძლიერების, პოლიტიკურ-სოციალური ვითარებისა და საერთოდ ქვეყნის არსებობის ძირითად წყაროს.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სამთო-მეტალურგიული გაერთიანებების და შესაბამისად

ფერადი და შავი ლითონების წარმოების აღორძინება, ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ძირითად დასაყრდენს წარმოადგენდა.

არქეოლოგიურად გამოვლენილი უძველესი სამთო-გამონამუშევრები და მეტალურგიული წარმოების კერები, საშუალებას გვაძლევს მეტნაკლები სიზუსტით გავითვალისწინო XVIII საუკუნის საქართველოში ფუნქციონირებადი მეტალურგიული სადნობი ქურების კონსტრუქციული შესაძლებლობები, განვსაზღვროთ მათი რაოდენობა და საერთოდ ამ პერიოდის ფერადი და შავი ლითონების საწარმოო მასშტაბები.

2. მრავალე II და ქართული ეპონომიკის აღორძინების საპითხი

ეპონომიკის სამთო-მეტალურგიული ფარმოვანის ეთნო-კულტურული ასახები

მსოფლიო ისტორიოგრაფიაში დიდი ხანია შეიქმნა აზრი უძველესი ქართველი მეტალურგი ტომების მოღვაწეობისა და შემოქმედების შესახებ, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს ძველი მსოფლიოს ლითონწარმოებაში. მათვე მიიჩნევთ რკინა-ფოლადის, სპილენძ-ბრინჯაოს, ძვირფასი ლითონებისა და მათი შენადნობების ერთ-ერთ პირველ აღმომჩენებად. განსაკუთრებით დიდია მეტალურგის ისტორიის სპეციალისტების მეცნიერული ინტერესი უძველესი მეტალოგენური რეგიონის მიმართ, რომელშიც გეოგრაფიულად საქართველო – კავკასიის ტერიტორია მოიაზრება.

უძველესი სამთო-მეტალურგიული ძეგლების ისტორიული გავრცელების არეალი, საქართველოში ცნობილი მეტალოგენური სისტემების განლაგების სივრცეს მოიცავს, სადაც არსებული სპილენძის, დარიშხნის, ანთიმონის, რკინის, ტყვიას, ვერცხლის, ოქროს და პოლიმეტალების მადანგამოსავლები ძვ.წ.III ათასწლეულიდან სამთო-მეტალურგიული კომპლექსების ფუნქციონირების არსებით ობიექტებს წარმოადგენდნენ.

ერთანი გეოგრაფიულ-გეოლოგიური განვითარების სისტემაში ექცევა აფხაზეთის, სვანეთის, რაჭის, კახეთის, ქართლის და გურია-აჭარის რეგიონებში აღმოჩნდილი და შესწავლილი უძველესი წარმოების ძეგლები. ორმოცდათი ერთეული სამთო და რამდენიმე ასეული მეტალურგიული დანიშნულების ობიექტი, უმდიდრესი საინჟინრო-ტექნოლოგიური და ისტორიულ-მეტალურგიული სპეციალიზაციის გადაწყვეტის ინფორმაციის მომცველია. მათი კომპლექსური კვლევის შედეგების გათვალისწინებით საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ფერადი და შავი ლითონების ცენტრები, ძვირფასლი-თონმომპოვებელი საწარმოები, საუკუნეთა მანძილზე ადგილობრივი

ეთნიკური ელემენტის სახელმწიფო-სტრატეგიულ, ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობათა მაღალ დონეს განასახიერებენ. განსაკუთრებულია მათი ადგილი კავკასია-ევროპის ხალხთა ცივილური ურთიერთობანვითარების ისტორიულ გარემოში.

ამდნად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი, მაგრამ დღემდე შეუსწავლელი სამთო-მეტალურგიული წარმოების ძეგლების მომავალი ისტორიულ-ტექნოლოგიური კვლევა მნიშვნელოვან მცნიერულ პრობლემას წარმოადგენს. წინაპირობის და ანტიკურ პერიოდებში, საქართველოს ტერიტორიაზე არსებულმა ლითონებრივის მაღალმა დონემ ხელი შეუწყო ადგილობრივი ეკონომიკისა და საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას, რამაც განაპირობა დასავლურქართული (კოლხეთი) და აღმოსავლურქართული (იბერია) სახელმწიფოების ჩამოყალიბება.

სამთო-მეტალურგიული წარმოების ცენტრების ფუნქციონირება გრძელდება შეუსაუკუნეების საქართველოში. ამ სანის სამთო და მეტალურგიული კერძი, წარმოების ნივთიერი ნაკვალევი, მოწმობს მელითონეთა უდიდესი მოცულობის ნაშრომს, რომლის განხორციელება მოითხოვდა ცენტრალიზებულ სახელმწიფო სისტემას და სრულყოფილ საწარმოო ორგანიზაციას. საქართველოს შუასაუკუნეების სახელმწიფოებრიობა კარგად გრძნობდა და შეგნებულად ავითარებდა ცხოვრების მნიშვნელოვან სამეურნეო დარგებს გარემო სამყაროში ძლიერი სამხედრო-პოლიტიკური ვითარების შესაქმნელად.

XI-XII სს. საქართველოს ფეოდალური სახელმწიფოს სოციალურ-პოლიტიკურმა და კულტურულ-ეკონომიკურმა განვითარების დონემ აღმავლობის უმაღლეს წერტილს მიაღწია. XIII საუკუნეში მონღოლების შემოსევების შედეგად იბეგრებოდნენ საქართველოში ლითონის დამუშავების მოხელე-მწარმოებლები და მჭედლები. შედგომ საუკუნეებში, ვიდრე XVIII საუკუნემდე, ქართული სახელმწიფოებრიობა ვითარდებოდა ცვალებადი პოლიტიკურ-ეკონომიკური იმპულსების ქვეშ, რომლებმაც ერთიანი ქვეყნის სამეფოებად დაშლადაქუცმაცება გამოიწვია (ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოები

და სამცხეს საათაბაგო). თურქ-სელჯუკებისა და ირანის პოლიტიკური ინტერესების სფეროში მოქცეულმა საქართველოს ეკონომიკამ დეგრადაცია განიცადა, მოიშალა სამთო-მეტალურგიული წარმოებაც.

ქვეყნის ცხოვრების აღორძინება შესაძლებელი გახდა XVIII საუკუნის დასაწყისში, მეცე ვახტანგ VI-ის დროს, როდესაც ცენტრალური სახელმწიფო სისტემის შექმნამ ფეოდალური მმართველობის და წესრიგის აღდგენა განაპირობა. მიუხედავად ამისა, ირანისა და თურქეთის ძალადობის გამო, ვახტანგ VI ვერ ახორციელებს სახელმწიფოს გამოლიანებასა და ეკონომიკის აღორძინებას. ქართველი ერთის გაერთიანების, სახელმწიფოს ძლიერების საკითხი კვლავ გადაჭრას ელის.

აღნიშნული პროცესის დაწყებას სათავე დაედო XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, ქართლ-კახეთის სამეფოს სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური აღმავლობის დროს, როდესაც ამ დიდ მოვლენას სათავეში ჩაუდგა მეცე ერეკლე II. იგი ცენტრალიზებული სახელმწიფო აპარატის შექმნასთან ერთად წყვეტს დამოუკიდებელი სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და კულტურული აღორძინების საკითხებს, ქმნის ქვეყნის ერთიან ეკონომიკურ პოტენციალს: ვითარდება ხელოსნობის დარგები, ვაჭრობა, საფუძველი ეყრება მანუფაქტურულ წარმოებას, სისხლსაკესე ხდება ქალაქური ცხოვრება.

მეცე ერეკლე II, რომელსაც კარგად ესმოდა სამთო წარმოებისა და მეტალურგიის მნიშვნელობა ქვეყნის განვითარებისა და სამეურნეო ცხოვრებისათვის, განსაკუთრებულად იყო დაინტერესებული მელითონეობის დარგით. ამასვე უკარნახებდა მას სამხედრო აღჭურვილობათა ტექნიკური გაუმჯობესების აუცილებლობა და საგარეო მდგომარეობა. ამ მიმართულებით მან მთელი რიგი ღონისძიებები ჩაატარა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მიტოვებული სამთო და მეტალურგიული ობიექტების აღორძინება-აღდგენას, რომელიც წარმოადგენდა საქართველოს ყოფნა-არყოფნის ძირითად მამოძრავებელ ძალას, ეკონომიკისა და თავდაცვითი უნარიანობის

საფუძველს. მსხვილი საწარმოები იქმნება ალავერდის სპილენძის გადამამუშავებელი და ახტალის სპილენძ-ვერცხლის მომპოვებელ-გადამამუშავებელი სამთო-მეტალურგიული გაერთიანებების სახით. დიდი წარმატებით მიმდინარეობს ბოლნისის სპილენძის საბადოთა მეტალურგიული გადამუშავების სამუშაოები და სხვ.

სამთო საქმის ცნობილი სპეციალისტი და ისტორიკოსი ივ. მემარიაშვილი, ქართული მეტალურგიის ისტორიის საკითხებთან დაკავშირებით ამ პერიოდის შესახებ წერს: „XVIII ს. მანუფაქტურული მეურნეობა საქართველოში საქმაოდ განვითარებული იყო. ლითონთა გადამუშავებას თბილისა და მის გარეთ აწარმოებენ შექი – ბეგარაში, აგრეთვე დაქირავებული მუშები. ფრანგი მოგზაური დელაპორტი, რომელიც იყო საქართველოში 1769 წ. ამბოს, რომ მან თავად ნახა აქ ზარბაზნების ჩამოსასხმელი, აგრეთვე, უმბარებისა და ტყვია-წამლის დამამზადებელი თოფხანა, რომელსაც ხელმძღვანელობას უწევდა რუსეთსა და ევროპაში განსწავლული არტილერისტი პაატა ანდრონიკაშვილი“ [29].

უცხოური სამეცნიერო-ტექნიკური ძალები საქართველოს ეკონომიკის სამსახური

ქართლ-კახეთის მეუე ერეპლე II (1720-1798 წწ.) საქართველოს ისტორიაში შევიდა, როგორც ბრძნი პოლიტიკოსი, შესანიშნავი მმართველი, გამორჩეული სამხედრო მოღვაწე და მეომარი. მაგრამ პატარა კახის პიროვნების დიდ დამსახურებასთან ერთად ჩვენს ისტორიოგრაფიაში ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ განხილული და შეფასებული მისი ერთი უპრეცენდენტო ღონისძიება, რომელმაც არა მარტო მნიშვნელოვნი სასიკეთო ძვრები გამოიწვია ქვეყნის ეკონომიკაში, არამედ ფაქტობრივად ფიზიკურ განადგურებას გადაარჩინა ქართველი ერი.

ჩვენამდე მოღწეულია საბუთების ძალზე დიდი რაოდენობა, რომლებიდანაც აშკარად ჩანს, თუ რა თავდაუზოგავად იღწვოდა ერეპლე

II მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ადგილობრივი სამთო-მეტალურგიული წარმოების აღორძინება-დაარსებისა და მისი სრულყოფისათვის.

ჯერ კიდევ 60-იანი წლების დასაწყისში, მეუე ერეპლემ თურქეთიდან საქართველოში ჩამოასახლა სამთო-მეტალურგიულ საქმეში გაწაფული ბერძნი ოსტატების 800-მდე ოჯახი. ამ სპეციალისტების მეცადინებით სამხრეთ საქართველოში დაიწყო რკინის, ტყვია-ვერცხლის და სპილენძის რამდენიმე საბადოს ექსპლუატაცია და მოპოვებული მაღნებიდან შესაბამის მეტალურგიულ ქარხანა-საწარმოებში ლითონის გამოწვივისათვის [24].

ბერძნების ჩამოსახლებისა და ქარხნების ამუშავების შემდეგაც მეუე ერეპლეს არ შეუწყვეტია ამ წარმოების გაფართოება-სრულყოფაზე ზრუნვა. ეს ნათლად გამოჩნდა რუსეთის მაგალითზე, რომლის დახმარების იმედსაც ერეპლე სიცოცხლის ბოლომდე არ კარგავდა. ჯერ კიდევ 1771 წელს, ის ეკატერინე II-სადმი მიწერილ თხოვნაში საქართველოში 4000 კაციანი ჯარის გამოგზავნასთან დაკავშირებით, ასეთ ვალდებულებებსაც კი იღებს თავის თავზე: „დღეს ჩვენს ქვეყანაში რომლისაც ნივთის მადანი არის, და ან გამოჩნდება, იქიდან სარგებელი მოიპოვება – ნახევარი თქვენის დიდებულების საზიანას მიერთმეოდეს“ [48, გვ.424]. ცხადია, აქ თავისთავად იგულისხმებოდა აღნიშნული საბადოების ექსპლუატაციაში რუსეთის ტექნიკური პერსონალის ქვედით მონაწილეობა.

უცხოელი სპეციალისტების მოზიდვის მცდელობასთან ერთად, ერეპლე ზრუნავდა ადგილობრივი პროფესიონალი კადრების აღზრდაზეც. 1775 წლის 20 ოქტომბერს იგი სახლთუხუცესს წერდა, რომ „მადანჩად მისაბარებელი შაგირდები ქართლსა და კახეთში შეაწერეს“. მომავალ მადანჩებად, ე.ი. მემადნებად გათვალისწინებული შეგირდები 20-30 წლისანი უნდა ყოფილიყვნენ და მათ თითო ხელ ტანსაცმელთან, ნაბადთან, თოფთან და იარაღთან ერთად, ერთგვარი „სტიპენდიის“ სახით ხუთ-ხუთი მანეთის რაოდენობის თეთრი უნდა მიეღოთ. ერეპლეს თანახმად ასეთი კადრის მომზადება „სარწმუნოების ერთგულებაც არის და თავის ქვეყნისაც. ეს რომ

ჩვენს ქვეყანაში გამრავლდეს, მტრისგან ჩვენი ქვეყნის მორჩენა ამას შეუძლია“.¹ ერეკლეს სჯერა, რომ ქართველები მალე დარწმუნდებიან ამ სრულიად ახალი და ჯერ კიდევ უცნობი საქმიანობის სფეროს დიდ სარგებლიანობაში. მისი სიტყვებით „რომელიც ამ ხელობას ისწავლის თავის ოჯახს გაამდიდრებს. ჯერ ამის გემო არ იცინ თვარამ ამის სწავლისათვის კიდევაც შემოგვეხვეწებია“ [56].

საქაოდ მოკლე დროში რომ მადანჩების ადგილობრივი კადრების მომზადება შესაძლებელი გახდა, ეს ჩანს მთელი რიგი წყაროებიდან. კერძოდ, ქიზიყში ადგილობრივი მადანჩების საქმიანობაზე მიუთითებს 1790 წლის ერთი დოკუმენტი: „ქიზიყში ჯავარის საძებნელად იქაური მადანჩები გზავნილია, ამისთვის გაუტანებიათ დ ქულუნგი, ა ყაზმა, ა ჯაბა“ [25, გვ. 95]. როგორც ამ ცნობიდან ირკვევა, ქიზიყელი, ე.ი. „იქაური“ მადანჩების ერთ-ერთ დანიშნულებას ქიზიყის ტერიტორიაზე ახალი საბაღოების მოძიება წარმოადგენდა. საგანგებოდ აღჭურვილ ჯგუფს ადგილზე უნდა მოეპოვებინა მადნის თვალსაზრისით საინტერესო ქანი. ამასთან ერთად, ალბათ, მათ ფუნქციაშივე შედიოდა საცდელი დნობების ჩატარების შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე მოპოვებული მადნის ავკარგიანობაში გარკვევა.

ძალზედ ნიშანდობლივია ერეკლეს წერილი (1784 წ) თავისი შვილისამდი, სადაც ის გიორგის აკალებს: „შენს მამულებში საცა მადანი გეგულებოდეს, მოაძებნინე და ღვთით რომ აპოვნინო შენთვის ამჟავე, იმის მოცილე არავინ გეყოლება, იმის მუშაც შენ გაურიგე“ [25, გვ. 4]. წერილიდან ნათლად ჩანს, რომ „მადნების“ მოძებნა და „პოვნა“ საუფლისწულო ტერიტორიაზე საკუთარი ძალებით თვითონ ბატონიშვილს უნდა განხორციელებინა, ვინაიდან ამ ღონისძიებისათვის ერეკლე მას მადანჩების გაგზავნას არ ჰპირდება. ეს კი თავისთავად ნიშნავს, რომ გიორგის მამულშიც განწესებული იყო მადანჩების ჯგუფი, რომლის უშუალო დანიშნულებას ადგილობრივი სასარგებლო წიაღისეულის გამოკვლევა და გადამუშავება შეადგენდა. მსგავს მიწერილობას ის ცხადია სხვა შვილებსაც გაუგზავნიდა, ასე რომ, ქართლ-კახეთის მთელი ტერიტორია იმ დროს ფაქტო-

ბრივად ადგილობრივად მიმაგრებული ქართველი მადანჩების ძიების ფართო არეალს წარმოადგენდა.

ადგილობრივი კადრების მომზადების ტრადიციაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ XVIII ს. ბოლოს ქართულ ზარაფხანას სათავეში ჩაუდგა უკვე გამოცდილი ადგილობრივი კადრების წარმომადგენელი იქსე ნაზრიშვილი. იგი იმდენად კვალიფიცირებული სპეციალისტი იყო, რომ ის რუსებმა ამავე ზარაფხანაში დატოვეს რუსული მონეტების დამამზადებლად. იქსეს მოვალეობას შეადგენდა მაღინტი სათანადო ლითონების გამოწვევისა, რასაც ყოველთვის მაღალ დონეზე ასრულებდა.

საერთოდ, ერეკლე II-ის მცდელობა ახალი სამთო ობიექტების გამოვლენისათვის, კარგად ჩანს მთელი რიგი მონაცემებიდან. მაგალითად, ცნობა, რომ ყაზახში, გულდაღის მადნისათვის ალექსანდრე მჭედელს სამთამადნო იარაღები დაუშადებია [25, გვ. 94], ამ შემთხვევაში მადნის დასაზვერად ყაზახში მადანჩების გაგზავნას გულისხმობს. 1791 წლის ერთ-ერთ საბუთში, რომელშიც ახტალის ქარხნის შესახებ სხვადასხვა ცნობებია მოყვანილი, მოიხსენიებიან 2 მადანჩი და 1 ბრასტატი (სამთამადნო წარმოებასთან დაკავშირებული თანამდებობა), რომლებიც „სხვაგან გაუგზავნიათ“. თუ რას გულისხმობს „სხვაგან გაგზავნა“, საბუთიდან არ ჩანს, მაგრამ ყველაფერი გასაგები ხდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ „სხვაგან წასულ“ მადანჩებზე 10-10 თუმანი, ხოლო ბრასტატზე 4 თუმანი იქნა გაცემული. გასამრჯელოთი გაშვება აქ აშკარად ნიშნავს, რომ ეს სპეციალისტები რომელიდაც მხარეში იქნენ ასე ვთქვათ „მივლინებით“ გაგზავნილი. ისინი, როგორც ეტყობა, ადგილზე უნდა გაცნობოდნენ ადგილობრივი მადანჩების მიერ ახლად აღმოჩენილ საბაღოს და სათანადო დასკვნები გამოეტანათ მადნის პერსპექტიულობასთან დაკავშირებით.

ახალი საბაღოების ძიება რომ ერეკლესათვის ერთ-ერთი მთავარი საზრუნვა იყო, ნათლად ჩანს ისტორიკოს ომან ხერხეულიძის შემდეგი ცნობიდან: „მეფემან ირაკლიმ მიაქცია ყოველი გონება თვისი ამისადმი, რათა ეპოვა ქვეყანასა შინა მადანი, რომელ არა

ყოფილიყო და მოაყვანინა საბერძნეთით მადანჩები და მრავალ ადგილას ეძება და დიდი ღვაწლი დადგა“ [39, გვ. 364].

ერეკლე II-ს მხრივ ახალ-ახალი საბადოების გამოვლენის მცდელობას არა მარტო ქართლ-კახეთის, არამედ მისი მოსაზღვრე ქვეყნის ტერიტორიაზეც ჰქონდა ადგილი. 1766 წლის 30 დეკემბრის ერთ-ერთ მოხსენებით ბარათში, რომელიც ყიზლარის კომენდანტს გაეჭავნა, შემდეგი ძალზე საინტერესო ცნობებია მოყვანილი: „Известился я через новокрещёного осетинского старшину Давида Мамиева, что из вышеописанных прежних мест серебрянную руду ещё покойный грузинский царь Вахтанг Леонович..... через даваемую от него плату, многое число себе в Грузию получал. А кроме его до сего время никто об онои руде известен не был. Только нинешним летом грузинский же царь Ираклий обыскал в тех местах, где оная руда состоит, одного знающего в металле искусство человека. Несколько пуд той серебрянной руды получил, за что того человека немалою сумою наградил“ [91, გვ. 288].

მევე ერეკლემ როგორც ჩანს იცოდა, რომ თავის დროზე ვახტანგ VI სარგებლობდა ოსური საბადოებით და ეტყობა წლების განმავლობაში ცდილობდა ამ საბადოებში გათვითცნობიერებული პიროვნებების გამონახვას. ერეკლეს მრავალწლიანი მცდელობა წარმატებით დასრულდა და მან შეძლო ბოლოს და ბოლოს მიეკვლია ვახტანგისული წამოწყების ერთ-ერთი მონაწილისათვის. მისი საშუალებით დადგინდა საბადოს ზუსტი ადგილმდებარეობა და ამით რეალური პირობები შეიქმნა მისი ხელმეორედ ათვისებისათვის. 1767 წლის ერთი რუსული დოკუმენტის თანახმად: „Грузинский царь берёт из состоявших в осетии превеликих гор отменную от прочих разных видов з блещущими искрами крепкую землю и камышки, употребляя за провоз того плату осетинцам“ [91, გვ. 172-173].

აღნიშნული ფრაგმენტიდან ნათლად ჩანს, რომ ადგილზე ხელით კლასიფიკირებული შედეგად გამდიდრებული კონცენტრატი საქართ-

ველოში მოპქონდათ. აქედან გამომდინარე და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული საბადო ოსეთში მდებარეობდა, ერეკლეს მიერ მოპოვებული მადანი ტყვიის კრიალას უნდა წარმოადგენდეს. ისიც ცხადია, რომ ერეკლეს ადგილობრივი მეგზური მადნის წინასწარ გადასამუშავებლად გამდიდრების იმ წესებს გამოიყენებდა, რა წესებიც ვახტანგისდროინდელ წარმოებაში იყო დამკვიდრებული.

თუ როგორ განვითარდა ოსური მადნის მოპოვების და დამუშავების ისტორია შემდგომში, ჩვენთვის უცნობია, მაგრამ მიღებული პარტიებით ერეკლემ რომ გარკვეული სარგებლობა მიიღო, ეჭვს არ იწვევს (ტყვიის კრიალა უდავოდ ვერცხლს და ოქროს შეიცავდა და სწორედ ეს ორი ლითონი შეადგენდა მეფის დაინტერესების მთავარ საგანს). ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ გეოგრაფიული დაცილების მიუხედავად, ერეკლე არ შეუშინდა სიძნელეებს და თითქმის მიუვალ ტერიტორიაზე მადნის მოპოვება წამოიწყო.

ახალი საბადოების გამოვლენის, წარმოების მასშტაბების კიდევ უფრო გაფართოების და ტექნოლოგიური სქემების გაუმჯობესების მიზნით ერეკლემ, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, მიზანშეწონილად მიიჩნია ამ საქმეში ერთმორწმუნე მოკავშირე რუსეთის კვალიფიციური სპეციალისტების ჩაბმაც. თუმცა ბერძნები საკმაოდ მაღალი კვალიფიკაციის მეტალურგები იყენენ, ისინი მოველებულ ტექნოლოგიას იყენებდნენ და მექანიზაციის მხრივაც საგრძნობლად ჩამორჩებოდნენ ევროპელებს. ერეკლეს აზრით, სწორედ ამ ხარვეზის გამოსწორება შეიძლებოდა რუსების დახმარებით, რომლებსაც მოწინავე ევროპული სახელმწიფოებისგან, როგორც მეზობლებს, გადმოღებული უნდა ჰქონოდათ სამთო-მეტალურგიული ტექნიკის უახლესი მიღწევები.

60-იანი წლების მიწურულს მან სათანადო თხოვნით მიმართა რუსეთის მთავრობას. სწორედ ამ დროს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიას დაგემილი ჰქონდა სამეცნიერო ექსპედიციის მოწყობა ჩრდილოეთ კავკასიასა და საქართველოში. ამ გარემოებით ისარგებლა რუსეთის მთავრობამ და აცნობა ერეკლეს 1770 წლის იანვარში, რომ მისი თხოვნის დასაკმაყოფილებლად გამოგზავნილი

იქნებოდა აღნიშნული ექსპედიცია [8, გვ.4-6]. შეპირებული ექსპედიციის გამოგზავნა სხვადასხვა მიზეზების გამო გაჭირებული და მან მხოლოდ 1771 წლის შემოღომის დასაწყისში შეძლო დუშეთში ჩამოსვლა.

ექსპედიციას ხელმძღვანელობდა და ძირითადად კვლევით სამუშაოებს ასრულებდა აკადემიკოსი ი. გიულდენშტედტი, თავისი დროის ერთ-ერთი უნიჭირერესი პიროვნება და მრავალმხრივი მეცნიერი. იგი კარგად ერკვეოდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა საკითხებში და ამავე დროს საფუძვლიანი ცოდნა ჰქონდა მიღებული ბუნების-მეტყველებისა და ტექნიკის მთელ რიგ დარგებში. მეცნიერის ამ მონაცემების გათვალისწინებით რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ მას ამოცანად დაუსახა საქართველოს ფლორისა და ფაუნის შესწავლა. ამასთან მას დამატებით, მაგრამ ფარულად, უნდა შეესწავლა ქვეყნის სასარგებლო წიაღისეული [9, გვ.145-149].

დუშეთში ჩამოსვლამ და ადგილზე საქართველოში არსებული მდგომარეობის გაცნობამ ი.გიულდენშტედტი დაარწმუნა იმაში, რომ ექსპედიციის წარმატებით ჩატარებისათვის გაცილებით მეტი დრო იყო საჭირო, ვიდრე ეს თავიდან იყო დაგეგმილი. ქვეყნაში გახშირებული იყო ლეკთა თავდასხმები, რის გამოც 24-კაციანი კაზაკთა რაზმი აშკარად არასაკმარისი იყო ექსპედიციის დაცვისათვის. ამიტომ ექსპედიციისათვის ერთადერთი გამოსავალი მეფის ერთი პუნქტიდან მეორეში გადაადგილებისას მის ამაღლასა და შეიარაღებულ რაზმებთან მიკედლება იყო. ვინაიდან ამ გადაადგილებზე დამოკიდებულ ი.გიულდენშტედტს მისთვის საინტერესო პუნქტებში მოხვედრა მხოლოდ გაურკვეველი დროის შემდეგ შეეძლო, მან თხოვნით მიმართა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიას, რათა ექსპედიციის საქმიანობის ვადა გაეგრძელებინათ 1772 წლის სექტემბრამდე [9, გვ. 201].

დუშეთში შემუშავებული წინასწარი სამოქმედო გეგმა სრულიად მოულოდნელად რადიკალურად შეიცვალა, როდესაც ი.გიულდენშტედტი 15 ოქტომბერს მცხეთაში პირველად შეხვდა ერეკლეს. სწორედ ამ შეხვედრას უნდა გულისხმობდეს

ი.გიულდენშტედტის ის ცნობა, რომელიც მას მოჰყავს მოგვიანებით (1772 წ. 24 ივნისი) შედგენილ მოხსენებით ბარათში: „როდესაც მე მეფესთან მოვილაპარაკე, მან ნათლად გამაგებინა, რომ საქართველოში ჩემი ყოფნის მთავარ მიზნად საბადოების გამოკვლევა მიაჩნია“ [9], ე.ი. მეფემ, რომელმაც რუსეთის მთავრობის 1770 წ. იანვრის საპასუხო წერილიდან უკვე იცოდა, რომ ი.გიულდენშტედტი სამთო-მეტალურგიული საქმის სპეციალისტიც იყო, მას მოსთხოვა იმ სამუშაოს ლეგალურად ჩატარება, რომლის განხორციელების იმედიც ი.გიულდენშტედტს ადგილობრივი პირობების გაცნობისთანავე გადაეწურა. აქედან ჩანს, რომ ექსპედიციის საქმიანობის საბოლოო გეგმის შემუშავებაში, რომელშიც პრიორიტეტულ მიმართულებად მინერალოგიურ-გეოლოგიური ხასიათის კვლევები გამოიკვეთა, მთავარი დამსახურება უდავოდ ერეკლეს მიუძღვის. ამასთან ერთად ის დაპირდა მეცნიერს ამ საქმეში ყოველმხრივ სელშეწყობას და სწორედ ამან განაპირობა შემდგომში ექსპედიციის წარმატებული საქმიანობა.

მეფე ერეკლემ კიდევ ერთი ინიციატივა გამოიჩინა, რომლის საშუალებითაც ი.გიულდენშტედტმა შეძლო თავის საბოლოო გეგმისათვის უფრო კონკრეტული ხასიათი მიეცა. ზამთრის თვეებში, როდესაც ექსპედიცია ჯერ კიდევ თბილისში იმყოფებოდა და სწავლობდა თბილისის შემოგარენს და იქ მოქმედ მეტალურგიულ ობიექტებს (ლითონის გამოსაღნობ ქარხანა-საწარმოებს, ზარაფხანას და სხვ.), ერეკლეს ბრძანებით სხვადასხვა კუთხის მმართველებს დაევალათ მათ ტერიტორიაზე არსებული საბადოებიდან ამოედოთ და თბილისში გამოუგზავნათ მადნის სინჯები. ამ სინჯებს დრო და დრო მეფე შესასწავლად უგზავნიდა ი.გიულდენშტედტს. ეს უკანასკნელი, ისევ ერეკლეს მეშვეობით, მმართველებს წერილობით უსვამდა იმ შეკითხვებს, რომლებიც მას გამოვზავნილი სინჯების შესწავლის შედეგად აღემვრებოდა. ისინიც ყოველთვის ასევე წერილობით აგზავნიდნენ პასუხებს. სინჯების გამოკვლევისა და წერილობითი ინფორმაციის საფუძველზე წინასწარ დგინდებოდა საბადოების პერსპექტიულობა, მათი ადგილზე დათვალიერების მიზანშეწონილობა

და ამის მიხედვით დგებოდა ექსპედიციის მარშრუტების კონკრეტული სქემა. ი.გიულდენშტედტზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამბლუდის მაღანმა, რომელიც მეფემ მისთვის ჯერ კიდევ ზამთარში ამოაღებინა. გარკვეული ცდების საფუძველზე, ი.გიულდენშტედტმა, როგორც უტყობა ეს მადანი ძალზე პერსპექტიულად მიიჩნია და დაბეჯითებით სიხოვდა ერეკლეს იქ გამგზავრებას. ამ უკანასკნელმა ეს თხოვნა აკადემიკოსს ცოტა მოგვიანებით შეუსრულა, როდესაც შეძლო საკმარ რაოდენობით მცველი რაზმის შეგროვება [8, გვ. 79].

ერეკლე ხშირად იწვევდა ი.გიულდენშტედტს თავისთან, უჩვენებდა ახალ მინერალებს, უცნობოდა მათი დამუშავების ტექნოლოგიას და ესაუბრებოდა სამთო-მეტალურგიული საქმის პრობლემებზე. ამავე დროს მასთან ერთად კონკრეტულ გეგმებსაც ამუშავებდა, თუ სად და როდის უნდა გამგზავრებულიყო ი.გიულდენშტედტი ადგილზე საბადოების გასაცნობად და შესასწავლად [8, გვ. 7-9, 9, გვ. 147-159].

კონკრეტული გეგმის მეშვეობით, ერეკლესგან სათანადო დაცვით და მატერიალური ხელშეწყობით უზრუნველყოფილმა ექსპედიციამ საკმაოდ მცირე დროში მოახერხა ქართლ-კახეთის სამეფოს ფაქტობრივად ყველა პერსპექტიული საბადოს შესწავლა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სომხითის პროვინციაში ჩატარებული კვლევის შედეგებს, სადაც ახალი მდიდარი საბადოებიც გამოვლინდა და მტრებისგან გაჩანაგებული ძველი საბადოების პერსპექტიულობაც დადასტურდა [8, გვ. 79].

მოპოვებული მონაცემების ერთობლივი განხილვისას ი.გიულდენშტედტსა და ერეკლეს სამთო-მეტალურგიული წარმოების სამომავლო პერსპექტივებზეც ჰქონდათ მსჯელობა. ერეკლემ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმ მდიდარ საბადოებს, რომლებიც ქვეყნის სასაზღვრო ზოლში იყო განთავსებული. მათი ათვისების საკითხთან დაკავშირებით ი.გიულდენშტედტის განწყობა პესიმისტური იყო, ვინაიდან ამ დაუსახლებელ ტერიტორიაზე მუშახელის ნაკლებობის გარდა აგრესიული მეზობლის თავდასხმის საშიშროებაც არსებოდა. თავის მხრივ ერეკლეს ამ წინააღმდეგობების გადალახვა სავსე-

ბით შესაძლებლად მიაჩნდა, თუ ყიზლარში უსაქმოდ განთავსებული მაღაროელთა რაზმი საბადოების ათვისების საქმეში ჩაებმებოდა. მუშახელთან დაკავშირებით ის თავის თავზე იღებდა სხვა ტერიტორიებიდან გადმოსახლებით აქ ახალშენების დაარსებას, ხოლო უსაფრთხოების გარანტიას ციხე-სიმაგრეების ქსელის აგებით იძლეოდა [8, გვ. 73-83].

ი.გიულდენშტედტის სამეცნიერო ექსპედიციამ, რომლის საქმიანობაშიც ასეთი დიდი როლი ითამაშა ერეკლემ, სამწუხაროდ რუსეთის ხელისუფლების ინერტულობის გამო, მეფის ყველა იმედი ვერ გაამართლა. მიუხედავად ამისა, ექსპედიციის საქმიანობას მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს იყო ექსპედიცია, რომელმაც პირველად და საკმაოდ ფართო მასშტაბებში განახორციელა ქართლ-კახეთის ტერიტორიის მინერალოგიურ-გეოლოგიური შესწავლა. ექსპედიციის შედეგები მნიშვნელოვანი იყო ზოგადმეცნიერული თვალსაზრისითაც, გონიდან ის საყოველთაოდ ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც ი.გიულდენშტედტის ჩანაწერები გამოაქვეყნა აკადემიკოსმა პ.პალასმა. ექსპედიციამ გარკვეული სარგებლობა მოუტანა ქართლ-კახეთის სამეფოსაც. დადგინდა ქვეყნის მინერალური რესურსების ფაქტობრივად სრული სპექტრი, მისი გამოყენების შესაძლებლობები და ის პერსპექტიული მიმართულებები, რომელთა განხორციელებაც უზრუნველყოფდა სამთო-მეტალურგიული წარმოების მკვეთრ აღმავლობას. რამდენიმე წლის შემდეგ ერეკლემ დამოუკიდებლად შეძლო სამთო-მეტალურგიული წარმოების მასშტაბების საგრძნობი გაფართოება, რაშიც გარკვეული როლი ი.გიულდენშტედტისაგან მიღებულმა მონაცემებმა და კონსულტაციებმაც ითამაშა.

აღსანიშნავია, რომ ერეკლე ბოლომდე არ კარგავდა რუსეთიდან ტექნიკური დახმარების გაწევის იმედს, მით უმეტეს, რომ იმპერიისათვის ასეთი ნაბიჯების გადადგმა არავითარ სიძნელესთან არ იყო დაკავშირებული. გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე, 1797 წ. 11 ივნისს ერეკლე გარსევან ჭავჭავაძის მეშვეობით კვლავ მიმართავს რუსეთის ხელისუფლებას თხოვნით. მეფე რუსეთს სთავაზობს მადნების ერთობლივ დამუშავებას და სათანადო ტექნიკური დახმარების

გაწევასაც ითხოვს. სამაგიეროდ ერეკლე კვლავ პპირდება რუსეთს მოპოვებული მანის ნახევრის გადაცემას და ამ დაპირებისას თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს ჯერ კიდევ 1771 წელს ეკატერინე-სადმი მიწერილი მიმართვის ტექსტს: „რაც დღეს ჩვენს ქვეყანაში მეტალი არს და ან ამიერით განიპოვება და იქიდან სარგებელი მოიპოვება, ნახევარი მისი დიდებულების ხაზინას მიერთმის“ [56].

მოუხედავად იმისა, რომ მეფე ერეკლე ვერც ამ ძალზე სარგებლიან წინადადებაზე მოესწრო თანხმობას და ძალიან მალე, 1798 წლის იანვარში გარდაიცვალა, მან სიცოცხლის ბოლო წლებში შეძლო რუსეთის გარეშე საფუძველი ჩაეყარა თავისი მასშტაბით არც თუ ისე მნიშვნელოვანი სამთო-მეტალურგიული წარმოებისათვის და შემოეკრიბა რუსეთში სამხედრო ხელოვნებას და კერძოდ, არტილერიას დაუფლებული ქართველი სპეციალისტების მთელი ჯგუფი, რომელიც ზარბაზნებისა და მორტირების გამოღნობის ხელოვნებასაც ფლობდა. მათ რიცხვში იყვნენ უპირველესად პაატა ბატონიშვილი ვახტანგ მეფის ძე, პაატა ანდრონიკაშვილი და გიორგი თარხანი. მათ ბევრი გააკეთეს ზარბაზნების ჩამოსასხმელი ქარხნის ასამუშავებლად და მძლავრი საარტილერიო პარკის ჩამოსაყალიბებლად. საინტერესო ჩანაწერი მოჰყავს გიორგი თარხანს S-167 კრებულის ყდაზე. ეს კრებული ვახტანგ VI-ის არითმეტიკის სახელმძღვანელოს და ოლექსანდრე ბატონიშვილის ფრანგულიდან თუ რუსულიდან ქართულად თარგმნილ „საარტილერიო წიგნს“ შეიცავს [20, გვ.263]. მოვაიანებით შესრულებულ ჩანაწერში გიორგი თარხანი იუწყება: „მღთისაგან ამაღლებულმან მეფეთ-მეფემან . . . პატრონმან ირაკლიმ მიბრძანა რუსულს დასტურზე არტილერიის გაკეთება საქართველოს კაცს გიორგი თარხანს. სახელითა მღთისათა, შეწევნით პატრონისა ჩემისათა გავაკეთე, გავაწყევ ზარბაზნები, რომ რუსებსაც დიდად მოსწონსთ, ქართველთა და კახთაც დიდად იმედათ უჩანსთ; ვინც წარიკითხვიდედ შენდობას მიბრძანებდეთ“ [51]. როგორც თარხანი აცხადებს, 60-70-იან წლებში მის მიერ დამზადებული საარტილერიო პარკი და ზარბაზნები თვით რუსებსაც კი მოსწონებიათ.

რუსეთის არმიის ოფიცერმა, არტილერისტმა სიმონ ჩოლოფაშვილმა, ტოტლებენთან ერთად საქართველოში ყოფნისას ერეკლეს ყველა ზარბაზანი ლაფეტზე დაუმაგრა და ამით განუზომელი სამსახური გაუწია ქართველობას (თუმცა ეს დონისძიება რუსების მიერ მისი დაპატიმრების ერთ-ერთი მიზეზი აღმოჩნდა). ძლიერი არტილერიის შექმნამ კი პატარა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა ერთი-ორად გაზარდა.

ბერძნების ჩამოსახლების ისტორიისათვის

მრავალი მცდელობის მიუხედავად, ერეკლემ ვერ შეძლო დაერწმუნებინა რუსეთის მთავრობა, რომ მას ქართული სამთო-მეტალურგიული წარმოების აღორძინების მიზნით სპეციალისტების თუნდაც მცირე ჯგუფი გამოეგზავნა საქართველოში. ამ საკითხის გადასაჭრელად მეფემ ვერც ევროპელებთან დაკავშირება მოახერხა და მის ერთადერთ იმედად არზრუმელი ბერძნები რჩებოდნენ. დიდი სირთულების მიუხედავად მეფის მცდელობა წარმატებული გამოდგა და მან დიდი მონდომების მეშვეობით ბოლოს და ბოლოს დაიყოლია ბერძნები საქართველოში ჩამოსვლაზე.

XVIII საუკუნის აღმოსავლეთის რეგიონში სამთო საქმეში ყველაზე დახელოვნებულ სპეციალისტებს უდავოდ არზრუმელი ბერძნები წარმოადგენდნენ. ისინი სპილენძის ნაკეთობებით თითქმის მთელ აღმოსავლეთს ამარაგებდნენ და ამ მხრივ არც საქართველო იყო გამონაკლისი. 1772 წლისათვის ბერძნები საქართველოში უკვე აღნობდნენ სპილენძს, მაგრამ არა იმ რაოდენობით, რომ სპილენძისგან დამზადებულ შემოტანილ პროდუქციაზე მოთხოვნილება აღარ ყოფილიყო. ამას ადასტურებს ამ პერიოდში საქართველოში ჩამოსული ა.გიულდენშტედტიც, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თბილისში თურქეთიდან, განსაკუთრებით კი არზრუმიდან შემოპქონდათ სპილენძი, სპილენძის ქვაბები და სხვა ჯამ-ჭურჭელი [8, გვ. 250].

აკად. უტურნეფორი (1656-1708 წწ.), რომელმაც ქალაქი არზ-რუმი მოინახულა, ამ ქალაქის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობად იქაურ სპილენძის ხელოსნებს მიიჩნევს. მისი ცნობით თითქმის ყველა ბერძენი მესპილენძეა და ქალაქის გარეუბანში ცხოვრობს, ვინაიდან ქალაქში თურქები მათი სახელოსნოების ხმაურს ვერ უგუებიან. რაც შეეხება სპილენძის მაღნებს, ისინი ქალაქიდან სამი-ოთხი დღის სავალით არის დაცილებული. არზრუმელი ხელოსნები სპილენძს ამ საბადოებში მომუშავე ბერძნებისაგან იღებენ. არზრუმის შემოგარენშივე ტრაპიზონისაგნ მიმავალ გზაზე უტურნეფორს ვერცხლის საბადოების არსებობაც დაუდასტურეს [47, გვ. 43-45]. ასე რომ, არზრუმის პროვინციაში განსახლებული ბერძნები როგორც სპილენძის, ისე ტყვიის, ვერცხლის და ოქროს შემცველი მაღნების მოპოვებისა და გამოდნობის სპეციალისტები უნდა ყოფილიყვნენ.

XVII საუკუნის პირველ ნახევარში არზრუმელი სპეციალისტების ჩამოყვანას ჯერ კიდევ მეფე თეიმურაზ I (1589-1663 წწ.) ცდოლობდა. ამ მიზნით მან კონსტანტინოპოლიში საგანგებო ელჩიც კი მიაღლინა, მაგრამ თურქების შიშით ამ ღონისძიების განხორციელება ვერ მოხერხდა [46, გვ. 51]. საკმაოდ დიდი წინააღმდეგობების მიუხედავად ერკელი II-ს მცდლობა ამჯერად წარმატებული გამოდგა.

ბერძნების გადმოსახლების ისტორია აღწერილი აქვს ბერძნების ანასტას ჰაჯიიფეტოვს – ერეკლეს ქარხნების ერთ-ერთ წამყვან სპეციალისტის XVIII ს. ბოლო ათწლეულებსა და XIX ს. დასაწყისში. ანასტასის მამა, თევდორე ჰაჯიიფეტოვი, საქართველოში ჩამოსახლებული ბერძნების წინამდლოლი და ამუშავებული ქარხნების მთავარი სპეციალისტი იყო. სამწუხაროდ ანასტას ჰაჯიიფეტოვს აღნიშნული ისტორიის აღწერა საკმაოდ გვიან მოუხდა და ამიტომ არც არის გასაკვირი, რომ 70 წლის წინ მომხდარი ამბების აღწერისას მას გარკვეული უზუსტობები და შეცდომები დაეშვა. მიუხედავად ამისა, ეს აღწერილობა ძალზე მნიშვნელოვანია და სხვა წყაროებთან შეჯერებით ის საშუალებას იძლევა საკმაოდ ზუსტად იქნეს დაგენილი ბერძნების ჩამოსახლებასთან დაკავშირებული ისტორიული ფაქტები [77].

ა.პავილეტოვის თანახმად, მეფე ერეკლეს, როგორც გამჭრიახ და თავის სამეფოზე მზრუნველ ხელისუფალს, კარგად ესმოდა თუ რა სარგებლობა მოჰქონდათ თურქეთის სამთო წარმოებისათვის შრომის-მოყვარე ბერძნებს და ამიტომაც ყველა საშუალებით ცდილობდა მათ ჩამოსახლებას საქართველოში. ამ მცდელობას თავისი საფუძველი ჰქონდა, ვინაიდან მეფისათვის კარგად იყო ცნობილი, რომ უძველეს დროში ახტალის მონასტერთან ახლოს ფუნქციონირებდა საკმაოდ წარმატებული სამთო სარეწები, რომელთა ნანგრევები ერეკლეს დროსაც კიდევ შეიმჩნეოდა. ა.პავილეტოვის მონაცემების თანახმად, ერეკლეს ბერძნებთან მოლაპარაკება 50-იან წლებში დაუწყია. მაგრამ ბერძნები არ თანხმდებოდნენ მეფის შემოთავაზებას საქართველოში მათ გადმოსახლებასთან დაკავშირებით, რადგან აშინებდათ იმ მდგომარეობაში ჩავარდნა, რა მდგომარეობაშიც ადგილობრივი მოსახლეობა იმყოფებოდა მტრების სისტემატური დამარცველი შემოსევების გამო. ამიტომაც ისინი, ა.პავილეტოვის სიტყვებით რომ გადმოვცე: „предпочитали находиться в земле иноверного, но сильного и самобытного государства, чем доверить себя покровительству слабого царства, бессильного защитить даже собственные пределы“ [112, გვ. 12-13].

მიუხედავად ამისა, ერეკლემ მაინც შეძლო თავისი ჩანაფიქრის ასრულება. კერძოდ, თბილისში თავის საქმეებზე ჩამოსული ბერძნი, რომელიც ძალზე პატივცემულ პიროვნებად იყო მიჩნეული მაღაროებისა და მეტალურგიული სარეწების მფლობელთა წრეში, ერეკლემ თავისთან მოიხმო, დიდი პატივი სცა და დაპირდა, რომ ყველა პირობას შეუქმნიდა საქართველოში გადმოსულ მის თანამემამულებს. მან სტუმარს ახტალის ძველი წარმოების და გამონამუშევრების ნაშთებიც დათვალიერებინა, უხვად დაასაჩუქრა და უულიც გადასცა იმ ბერძნებისათვის, რომელთა დაყოლიებასაც შეძლებდა საქართველოში ჩამოსასვლელად.

საჩუქრებითა და დახვედრით მოზიდლულმა ბერძნება თურქეთში შეძლო სპეციალისტების მცირე ჯგუფის დაყოლიება. ამ ჯგუფმა, ა.ჰაჯიიუფეტოვის თანახმად, ახტალის მონასტრის ახლოს საფუძველი

ჩაუყარა პირველ სამთო-მეტალურგიულ წარმოებას [112, გვ.12-13]. აღნიშნული ჯგუფის და მის მიერ ჩატარებული ღონისძიებების შესახებ უფრო უტყუარი ცნობებია დაცული სხვა პირველწყაროში, რომელიც ადრე არ იყო ცნობილი. ვ.ჭანიშვილმა 1970-იან წლებში მოკვლეული მასალების საფუძველზე აჩვენა, რომ საქართველოში ჩამოსული სპეციალისტების პირველი პარტია სამი კაცისაგან შედგებოდა. ცხადია, რომ ამ ჯგუფის უპირველესი ამოცანა საბადოების შესწავლა და მათი პერსპექტიულობის დადგენა იყო. მართლაც, ვ.ჭანიშვილის მიერ მოკვლეული მასალების თანახმად, მეუე ამ სამ ბერძნოთან ერთად ახტალაში გაემგზავრა, სადაც თავადმა ა.მელიქშვილმა მათ თავის მამულში აჩვენა ძველი სამთო გამონამუშევრების, გვირაბებისა და საწარმოების ნაშთები. ბერძნების მითითებით ამ ადგილებში გამოსაცდელად მოპოვებული იქნა 32 ჭონა (2 ათასი ფუთი) მადანი, რომელიც აქლემებითა და ცხენებით ჩაიტანეს თბილისში. აქ ბერძნი სპეციალისტების მითითებით ააშენეს საცდელი ღუმელი, რომელშიც ჩამოტანილი მადნის დნობა განხორციელდა. მადნის ასეთი დიდი რაოდენობა ცნადია, რომ არა ანალიზებისათვის, არამედ სამოდელო ცდებისათვის იყო განკუთვნილი. წარმატებულმა ცდებმა ბერძნები პრაქტიკულად დაარწმუნა შესაბამისი საბადოების პერსპექტიულობაში [60].

ცდების დაცემითმა შედეგებმა საბოლოოდ გადაწყვიტა ბერძნების დიდი ჯგუფის საქართველოში ჩამოსვლის საკითხი. თურქეთში დაბრუნებულმა სამა სპეციალისტმა ცდების მონაცემების საფუძველზე ადვილად დაარწმუნა არზრუმის პროვინციის ბერძნული მოსახლეობა ერეკლეს წარმოწყების პერსპექტიულობაში და უკვე 1763 წელს თევდორე პაჯიფეტოვის ხელმძღვანელობით სამთო საქმის მცოდნე 800 ბერძნული ოჯახი (2000 სული) გამოემგზავრა საქართველოში.

ბერძნებს, მათთან წინასწარ დადებული ხელშეკრულების თანახმად, მეფისათვის უნდა გადაეცათ მოპოვებული ოქროს სრული რაოდენობა და ვერცხლის 25% ნატურით. დანარჩენი ვერცხლი (75%) უნდა დაბრუნებოდა ბერძნებს მეფისაგან მოჭრილი აბაზების სახით.

თავის მხრივ მეუე კისრულობდა თავისი ხარჯით ბერძნების ანატოლიიდან ჩამოყვანას, დაბინავებას და იმ დამხმარე კონტიგენტით უზრუნველყოფას, რომელსაც ხეების ჭრა და ნახშირის დამზადება ევალებოდა. რაც შეეხება სპილენძის წარმოებას, გამომუშავებული ლითონის მთელი რაოდენობიდან 88% ბერძნებს რჩებოდათ, 10%-ს მეუე და 2%-ს ჯამაგირის სახით დამხმარე მუშებად აყვანილი ადგილობრივი მოსახლეობა იღებდა. ბერძნები განთავისუფლებული იყენებ ყოველგვარი გადასახადისაგან და მათზე მხოლოდ ვალდებულებების შეზღუდული ნაწილი ვრცელდებოდა [112, გვ. 15-16].

ბერძნებმა ვერცხლის წარმოების ქარხნები აამუშავეს ახტალასა და დამბლუდში, ხოლო 1770 წელს მწყობრში ჩადგა ალავერდისა და შამბლუდის სპილენძის გადამამუშავებელი ქარხნები. ამრიგად, ერეკლემ შეძლო მისი დროისათვის უპრეცენდენტო ღონისძიების გატარება და თითქმის ცარიელ ადგილზე საფუძველი ჩაუყარა საკმაოდ ევექტურ სამთო-მეტალურგიულ წარმოებას. ამ აქტით ერეკლემ ფაქტობრივად ფიზიკური განადგურებას გადაარჩინა ქართველი ერი, ვინაიდან შემოსავლის ახალმა და მნიშვნელოვანმა წყარომ, ისევე როგორც ლითონების საშუალებით მძლავრი საარტილერიო პარკის შექმნამ, დიდად შეუწყო ხელი ქვეწის ეკონომიკისა და თავდაცვისუნარიანობის ზრდას.

XIX ს. დასაწყისში სამთო-მეტალურგიული საწარმოები მოინახულეს რუსული სამთო ექსპედიციის წევრებმა ა.მუსინ-პუშკინის მეთაურობით. რუსმა ინჟინერებმა სწორად შეაფასეს ბერძნების მიერ გამოყენებული მადნის გადამუშავების წესები. მათ ვერ შეამჩნიეს რაციონალური მარცვალი ბერძნების ტექნილოგიურ სქემებში, რაც ნაწილობრივ გამართლებულია, თუ გავითვალისწინებთ ბერძნების მიერ სამთო ტექნიკაში გამოყენებულ იარაღებს. კერძოდ, მადნამდე მიმავალი შტრეკების თუ ხვრელების ზომები მართლაც ისე მცირე იყო, რომ მადნის გამოტანა მაღაროელებს მოხრილ ან წოლით მდგომარეობაში შეეძლოთ, ვერტილაციაც არ იყო სათანადო დონეზე, ხოლო ქანების დასამუშავებლად რამდენიმე წერაქვი ან ურო გამოიყენებოდა [112, გვ. 85-86].

სამთო ტექნიკისაგან განსხვავებით სულ სხვა დონეზე იდგა წარმოების ქიმიურ-მეტალურგიული მხარე. ამ შემთხვევაში რუსი სპეციალისტების აზრით ბერძნები საქმაოდ მაღალი ოსტატობით გამოირჩეოდნენ (გამონაკლისს მხოლოდ ერთი რუსი სპეციალისტის შეხედულება წარმოადგენდა, რომელიც თვლიდა, რომ ბერძნების მიერ სპეციალისტის მაღალი დანართის გამოდნობისას, დანაკარგები თუ მის ნახევარს არა, მესამედს მაინც შეადგენდა [104, გვ.90]).

ჩვენს მიერ მოპოვებული მონაცემებიდან ჩანს, რომ რუსი სპეციალისტების შეფასება რიგ შემთხვევაში ობიექტური იყო. ბერძნები ლითონების დნობის იმ დროისათვის ოპტიმალური ტექნოლოგიებით სარგებლობდნენ და მათი მიღწევები რუსეთის მაღალი რანგის თანამდებობის პირებსაც არ დარჩენიათ შეუმჩნეველი. მეტიც, ბერძნების ტექნოლოგიები რუსეთში პრაქტიკულად იყო გამოყენებული. კონკრეტულ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ რუსეთში, ნერჩინსკის საბადოსთან დაკავშირებული ფაქტი.

1691 წელს აღმოჩენილი ნერჩინსკის ტყვია-ვერცხლის მადანი სათანადო სპეციალისტების არარსებობის გამო თითქმის თერთმეტი წლის განმავლობაში ვერ იქნა ათვისებული. ნერჩინსკის წარმოება ამჟავდა 1702 წელს პატარა ქარხნის სახით, რაც პეტრე პირველმა უცხოელი სპეციალისტების, კერძოდ კი, ბერძნი მეტალურგის, აღექსანდრე ლევადიანის დახმარებით შეძლო. ნიშანდობლივია, რომ შედგომ წლებშიც ქარხნის წარმატებული ფუნქციონირება ისევ ბერძნი სპეციალისტების, მამა-შვილის სიმონ გრიგოლის ძის და ივანე სიმონის ძის ზედამხედველობით ხორციელდებოდა [98, გვ.224]. ცხადია, რომ პეტრე პირველი, რომელიც უვროპაში „ფანჯრის გაჭრისთვის“ იღწოდა, გარკვეულ წინაღმდეგობას წააწყდა საჭირო სპეციალისტების მოზიდვასთან დაკავშირებით და იძულებული გახდა ბერძნების მომსახურებით ესარგებლა. მის მიერ მოწვეული ოსტატები უდავოდ არზრუმელი ბერძნები უნდა ყოფილიყვნენ, რომლებიც მთელ აღმოსავლეთში საუკეთესო სპეციალისტების რეპუტაციით სარგებლობდნენ. სწორედ მათი უშუალო შთამომავლები უნდა ყოფილიყვნენ ერეკლეს მიერ არზრუმიდან ჩამოსახლებული ბერძნებიც.

დავით ბატონიშვილის (1776-1819 წწ.) ცნობის თანახმად, ერეკლეს კარზე მოღვაწე ექიმი ი. რეინეგსი, რომელიც ამავე დროს მაღალი დონის ქიმიკოს-მეტალურგი იყო, ბერძნებს გაეჯიბრა ლითონების დნობის საქმეში. ჩატარებულმა ცდებმა ცხადყო, რომ ბერძნებიც პროგრესულ ტექნოლოგიას ფლობდნენ და მათ მიერ გამოდნობილი ლითონი რაოდენობრივადაც არ ჩამორჩებოდა ადგილობრივს [105, გვ.92].

რუსეთის სამთო ექსპედიციის ხელმძღვანელს, ა.მუსინ-პუშკინს თავისი შეხედულება ქონდა ბერძნი მეტალურგების კვალიფიკაციაზე. ეს ნათლად ჩანს რუსეთის ბერგ-კოლეგისადმი წარდგენილი პროექტიდან (1800 წ.), რომელშიც ბერძნების განაცხადიც არის გათვალისწინებული. კერძოდ, ა.მუსინ-პუშკინი რუსი ინჟინრების რეკომენდაციების საფუძველზე თვლიდა, რომ 1000 ფუთი ქართული სპილენძის მაღნიდან 70-130 ფუთი ლითონის გამოდნობა შეიძლებოდა. ბერძნი ოსტატების თანახმად კი, რუსი სპეციალისტებისაგან განსხვავებით, შესაძლებელი იყო ამ პროდუქციის რაოდენობა 80-160 ფუთი ყოფილიყო. ამ განაცხადის საფუძველზე ა.მუსინ-პუშკინმა საბოლოოდ ჩათვალა, რომ გამოდნობილი ლითონის საშუალო რაოდენობად 120 ფუთი უნდა დასახელებულიყო [42].

იმავე ა.მუსინ-პუშკინმა ერთგვარად გაიმეორა წარსულში პეტრე I-ის მიერ გამოჩენილი ინიციატივა და საქართველოდან მოზღვიში გადაიყვნა ბერძნების მთავარი სპეციალისტი ანასტას ჰავიტეტოვი. აქ მან რუსი მდნობელების პარალელურად ჩატარა საცდელი დნობები. როგორც იმ დროს შედგენილი საარქივო მასალებიდან ჩანს, ერთი და იმავე რაოდენობის მაღნიდან მან რუს მეტალურგებთან შედარებით მეტი წონის ვერცხლი გამოადნო [43].

რამდენიმე წლის შემდეგ ა.მუსინ-პუშკინი ბერძნები სპეციალისტებთან მიმართებაში კიდევ უფრო შორს წავიდა. ქართული მეტალურგიული ქარხნების წარმადობის გაზრდის მიზნით, მან გადაწყვიტა საქართველოში მოეწვია არზრუმელი ბერძნების ახალი ჯგუფი. 1800 წ. 16 დეკემბერს დადგებული იქნა ბერძნებისათვის ძალზე ხელ-საყრელი ხელშეკრულება, რომლითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა

ის ფაქტი, რომ სამთო ექსპედიცია სათანადო შეფასებას აძლევდა ბერძნების კვალიფიკაციას. ა.მუსინ-პუშკინმა ახლად და დიდი ხნით ადრე ჩამოსული ბერძნების ერთობლივი ძალისხმევით მოახერხა წარმოების ფართოდ გაშლა. ამის ერთი-ერთი მიზეზი კი უნდა ყოფილიყო ის ფაქტი, რომ თითქმის იმავე დროს, კერძოდ 1804 წელს, რუსი სპეციალისტები დაინიშნენ ქარხნის მმართველებად: ახტალაში – ი.ეიზფელდი, ხოლო ალაგერდში – ა.ბორზუნოვი [104, გვ.95-96].

ისინი თვლიდნენ, რომ ბერძნი ოსტატების შრომის ნაყოფი-ერება უჩვეულოდ დაბალი იყო და წარმოება ახალი მეთოდების დანერგვას საჭიროებდა. მაგრამ ცნობილია, რომ ბერძნები ეწინააღმდეგებოდნენ ამ წამოწყებებს და აცხადებდნენ, რომ ამ შემთხვევაში ლითონის ჭედადობა მცირდებოდა და შესაბამისად მისი ფასიც კლებულობდა [104, გვ.98].

ამ დროს დაიწყო სპილენძის დაგროვების პროცესი და მასზე მოთხოვნილება რამდენადმე შემცირდა. ერეკლეს დროს, როდესაც გაცილებით მდიმე პირობები იყო, რუსმა და ბერძნმა სპეციალისტებმა შეძლეს მნიშვნელოვანი წარმატებებისათვის მიეღწიათ და ამაში, როგორც ეტყობა, თავისი როლი იმ გარემოებამაც ითამაშა, რომ მეფე ერეკლემ მათ მიანიჭა წარმოებაზე სრული ზედამსედველობის უფლება. შექმნილი მდგომარეობის გამოსწორება მხოლოდ წარმოების ტექნიკური აღჭურვით ვერ მოხერხდა. საქართველოში (და მით უმეტეს მეზობელ ქვეყნებში) სპილენძე მოთხოვნილების მკვეთრი შემცირება მხოლოდ მისი ფასის გაზრდით არ იყო გამოწვეული, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მისი ხარისხის რამდენადმე გაუარესებამაც.

გამოვლენილი ფაქტების საფუძველზე ნათლად ჩანს, რომ ბერძნები საქმაოდ გამოცდილი და კვალიფიცირებული მეტალურგები იყვნენ. მართალია მათი ტექნოლოგიები იმდროინდელ ევროპულ ტექნოლოგიებს ვერ შეედრებოდა, მაგრამ ევროპიდან დაცილებული ქვეყნებისათვის მათ დიდი პრაქტიკული სარგებლობის მოტანა შეძლოთ. სწორედ ასე მოხდა ქართულ სინამდვილეში და მათმა საქმიანობამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ძველი ქართული სამთო-მეტალურგიული წარმოების აღორძინების საქმეში.

3. სპილენძის და რკინის მეტალურგია

სპილენძისა და რკინის წარმოებას, ყველაზე სამეურნეო-პრაქტიკული და მოხმარებადი ლითონების მიღება-დამუშავებას, ერეკლე II-ის მიერ დაარსებულ ქარხნებსა და სახელოსნო გაერთიანებებში თავიდანვე განსაკუთრებული ყურადღება ექცევდა. სპილენძის მთავარი მწარმოებელი ალავერდის ქარხანა იყო, ბოლნისი რკინა-ფოლადის პროდუქციით ამარაგებდა ქართლ-კახოვის სამეფოს. ძვირფასი ლითონების, ოქრო-ვერცხლის (მასთან ერთად ტყვიის) ძირითად დამამზადებელ გაერთიანებას ახტალის ქარხანა წარმოადგენდა. ყველა მოქმედ მეტალურგიულ ობიექტს სისტემატურად მიეწოდებოდა საწვავი (ხის ნახშირი), რომლის დამამზადებელი დამხმარე საწარმო თითოეულ ქარხანასთან ფუნქციონირებდა.

ზემოაღნიშნული მეტალურგიული ქარხნების სამუშაო სქემისა და ტექნოლოგიური პროცესების ანალიზს, საწვავი მასალის ბაზის მოწყობილობის განხილვით დავიწყებთ.

ნახშირის დამზადება

ბერძნებთან წინასწარ დადებული ხელშეკრულების თანახმად მეცე ერეკლე კისრულობდა მათ უზრუნველყოფას შეშით და რაც მთავარია, ხის ნახშირით. ეს ვალდებულება კი არც თუ ისე ადგილი შესასრულებელი იყო, ვინაიდან საქართველოში ამოქმედებული სპილენძის, ვერცხლის და რკინის 4 თუ 5 ქარხნისათვის საჭირო იქნებოდა ნახშირის საქმაოდ დიდი რაოდენობა. ასე რომ, ერეკლეს მოუხდა ადგილობრივი ძალების საშუალებით ნახშირის დამამზადებელი წარმოების ორგანიზება მოქმედი ქარხნების მახლობლობაში.

ნახშირის დამამზადებელი წარმოებების შესახებ ჩვენ არავითარი ცნობა არ გაგვაჩნია. ცნობილია მხოლოდ ტერმინი „მენახშირ“, რომელიც ნახშირის დამამზადებელ ოსტატს გულისხმობს. ერთ-ერთ საბუთში გვხვდება აგრეთვე „მისხანის მადნის მენახშირებები“

[25, გვ.131], რომელიც ერთ-ერთ ქარხანასთან, ამ შემთხვევაში კი „მისხანის მადანთან“ არსებული ნახშირის წარმოების სპეციალისტებს გულისხმობს.

უშუალო ცნობების უქონლობის მიუხედავად, შევეცადეთ აღნიშნულ ქარხნებთან არსებული ნახშირის წარმოებების ტექნოლოგიური სქემის საკმაო სიზუსტით რეკონსტრუირებას. ამ შემთხვევაში ნახშირის დამზადების ტექნოლოგიური აღწერილობის უნიკალურ ინფორმაციას მოიცავს რაჭის (წელისის) რეინის წარმოებასთან დაკავშირებული მდიდარი ეთნოგრაფიული მასალა. იმ დროს, როდესაც საფუძველი ეყრებოდა ერეკლესეულ სამთო-მეტალურგიულ წარმოებას, წელისის რეინის სარეწებში ინტენსურად და დიდი რაოდენობით ნახშირს აწარმოებდნენ. აქედან გამომდინარე, ნახშირის დიდი წარმოებების ჩამოყალიბებისას ტექნოლოგიური სქემა წედისური პრაქტიკიდან უნდა ყოფილიყო აღებული. არც ის არის გამორიცხული, რომ საჭირო ჩვევებისა და ცოდნის შესაძენად და კვალიფიკაციის მისაღებად ერეკლეს მომავალი ნახშირის სპეციალისტები გარკვეული ხნით წედისში გაეგზავნა.

ამას გვაფიქრებინებს მოგვიანებით გიორგი XII-ს მიერ რუსეთის ხელისუფლებისადმი გაგზავნილი წერილი, რომელშიც ის ერთობლივი სამთო-მეტალურგიული წარმოების გამართვის შემთხვევაში ამ წარმოების მუშებით უზრუნველყოფის გარანტიას იძლეოდა. ეს მუშები მეფის ვალდებულებით მისი სამეფოს (ე.ი. ქართლ-კახეთის) გარდა იმერეთის სამეფოდან, კერძოდ კი რაჭიდან უნდა ყოფილიყვნენ გადმოსახლებული [59]. რაჭა, რომელიც ფაქტობრივად სხვა სამეფოს განეკუთვნებოდა, აქ შემთხვევით არ არის დასახელებული. რაჭელ ოსტატებს 60-იან წლებამდე თბილისში დიდი რაოდენობით შემოჰქმნდათ რეინის ნაკეთობები, თბილისიდან კი დენთი გაპქონდათ საბადოებში მაღნის შემცველი ქანების ასაფეთქებლად [105, გვ.55]. აქედან გამომდინარე, გიორგისთვის (და ადრე მითუმეტეს ერეკლესთვის) კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი რაჭელების დახელოვნება სამთო-მეტალურგიულ საქმეში. ამიტომაც სავსებით შესაძლებელია, რომ ერეკლეს რაჭელი ოსტატები კონსულტაციის

გაწევასთან ერთად უშუალოდაც ჩაერთო ნახშირის დამზადების საქმეში.

რაჭელებთან ასეთი ურთიერთობა თავისთვალი ნიშნავს, რომ ერეკლეს ქარხნებსა და წედისში ნახშირის დამზადების ერთნაირი წესები უნდა ყოფილიყო გამოყენებული. აქედან გამომდინარე, ერეკლესეული წარმოების ერთ-ერთი ტექნოლოგიური კვანძის შესახებ ფაქტობრივად სრული წარმოდგენის შექმნისათვის სავსებით საკმარისია იმ დიდაღი ეთნოგრაფიული მასალით ვისარგებლოთ, რომელიც ნ.რეზვიაშვილმა მოიპოვა წედისური რეინის წარმოებასთან დაკავშირებით [36].

ნახშირის დამზადება ძალზე საპასუხისმგებლო საქმე იყო, რომელიც სრულყოფილად მხოლოდ გამოცდილ და მცოდნე კაცს შეეძლო. ასეთ ოსტატს წედისში „ნახშირის მოხელეს“ ეძახდნენ. მას ისეთი დეტალების ცოდნა მოეთხოვებოდა, რომელსაც თანამედროვე პირობებშიც კი, აუცილებლად უნდა ფლობდეს ამ საქმის სპეციალისტი. კერძოდ, მისთვის ცნობილი იყო, რომ ნახშირად ყველა ხის ჯიში არ გამოდგებოდა. საჭირო იყო ხის შერჩევა ორი ნიშნით: პირველი – ხის ჯიშის და მეორე – სინედლის მიხედვით. მაგალითად, ოსტატებმა იცოდნენ, რომ მუხა, წიფელა და რცხილა მაგარ ნახშირის იძლეოდა, წაბლი, ნაცვი და იფანი – ზომიერს, ხოლო თხილი, დეკა და მურყანი – რბილს. რაჭელი ოსტატების ეს ემპირიული ცოდნა სრულ თანხმობაშია თანამედროვე ცდების შედეგებთან, რომელთა თანახმადაც ხის 19 ჯიშისათვის ნახშირის გამოსავალი 33%-დან 46%-ის ფარგლებში მერყეობდა [93, გვ.159]. სანახშირედ არც ძლიერ ნედლი და არც ძლიერ ხმელი შეშა გამოდგებოდა, ვინაიდან ნედლი გვიან იწვოდა და წედისელი სპეციალისტების თანახმად „წყლად მიდიოდა“, ხმელს კი სწრაფად ეკიდებოდა („უცბად აბრიალდება ცუცხლი და იღველთება“) და ის ძირითადად ნაცარ-ფერფლად იქცეოდა. ამიტომაც საჭირო იყო, რომ სანახშირე შეშა საკმარისად გამომშრალი ყოფილიყო და მისი დამზადების ოპტიმალურ დროდ აგვისტო-სექტემბერი იყო მიღებული.

ცხადია, რომ სანახშირე ხეების მოჭრის შემდეგ გათვალისწინებ-

ული იყო მათი რამდენიმე თვის განმავლობაში შრობა, რადგან იმ დროსაც უკვე კარგად იყო ცნობილი, რომ გამომშრალი ხისათვის დანახშირების პროცესი ძალზე სწრაფად მიმდინარეობს. ხოლო თუ ხე ტენიანია, ის გამოყოფს იმდენ ორთქლს, რომ ამის შედეგად სრულიად ფუჭად იხარჯება საწვავის ნაწილი. ამიტომაც სანახშირე შეშის შრობის სტადიაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპად ითვლებოდა ნახშირის დამზადების საქმეში [93, გვ.661-662].

კინადან რეინის წარმოებას დაიდი რამდენობით ნახშირი სჭირდებოდა, ამიტომ რამდენიმე ადამიანისგან შემდგარი ჯგუფი (4-8 კაცამდე) მიდიოდა ტყეში და წინასწარ ამზადებდა სანახშირე შეშას. ხების მოჭრის შემდეგ მათ სხევდნენ, ზომიერად მორავდნენ, თავს უყრიდნენ, ხორად დგამდნენ და აცლიდნენ „შეჭირობას“ ანუ გამოშრობას. რამდენიმე ხნის შემდეგ დამამზადებლები კვლავ ბრუნდებოდნენ „ნახშირის მოხელესთან“ ერთად და სანახშირე ადგილს მისივე მითითებით იქვე ახლოს არჩევდნენ. ამ ადგილზე თხრიდნენ ორმოს და იწყებდნენ სანახშირეს გამართვას, ხოლო მუშების მეორე ჯგუფს ამ დროს ორმოსთან მოჰქონდა დამარაგებული შეშა (სანახშირეს შორ მანძილზე გაკეთებისას შეშის გადასატანად იყენებდნენ ხარმარხილს).

რაჭაში ეთნოგრაფებმა ორი ტიპის სანახშირე დააფიქსირეს. ერთში ხის ნახშირი დახურულად, ხოლო მეორეში – ღიად გამოწვის პირობებში მიღებოდა. ამასთან ერთად, პირველი ტიპის სანახშირე ამოშენებული იყო ქვით, ხოლო მეორე – ამოუშენებელი იყო.

პირველი სანახშირისათვის მიწა ითხრებოდა კუთხოვანი ორმოს სახით (სიგრძე – 2,50 მ, სიგანე – 1,50 მ, სიმაღლე – 2 მ), შემდეგ ორმოს ნაპირებს ქვით ამოშენებული კედლით ამაგრებდნენ, იშვიათად კი ისე ტოვებდნენ. კედლებში კარი და ორი სარკმელი – სასულე იყო დაყოლებული. ერთი სასულე ქარის მიმართულებით კეთდებოდა, სარკმელის სახით. გარდა ამისა, სასულე ეწოდებოდა საკვამლესაც, რომელიც სანახშირეს შეკრული თაღის შუაში კეთდებოდა. სანახშირეს მოწყობის მოთავებისას, შუაში განთავსებული სასულედან შეშას ცეცხლს უკიდებდნენ და იწყებოდა დანახშირების

პროცესი. როდესაც ცეცხლი გაძლიერდებოდა, შეშა კარებიდან თანდათან მიეწოდებოდა. ამ დროს მთავარი იყო, რომ შეშა დანაკვერცხლებულიყო გაძლიერებულ ცეცხლში. ნორმალური წვის წარსამართავად ახალ-ახალი შეშის მიწოდება და ამით ცეცხლის შენელება კვალიფიცირებულ ცოდნას მოითხოვდა. „ნახშირის მოხელე“ ანუ „მენახშირე“ პროცესის ნორმალურად მიმდინარეობას სასულების საშუალებით აწესრიგებდა. სამივე სასულე და კარები იღებოდა და იხურებოდა იმისდა მიხედვით, თუ რომელ მხარეს იყო საჭირო ცეცხლის გაძლიერება ან შესუსტება. ჰაერში ნიავის მოძრაობის განსაზღვრით მოხელე შესაბამის სარკმელს აღებდა, რათა ცეცხლი არ გამქრალიყო. თუმცა არც მლიერი ცეცხლი იყო დასაშვები, რადგანაც ამ შემთხვევაში ადგილი უქნებოდა შეშის ჩაფერფველას და ნახშირის ნაცვლად ნაცრის მიღებას. დანახშირების პროცესს ერთი დღე-ღამე სჭირდებოდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში „ნახშირის მოხელე“ ცეცხლის აღზე ვიზუალური დაკვირვებით ატყობდა, თუ როგორ მიმდინარეობდა წვა და სარკმელების საშუალებით მიწოდებული ჰაერით გარედან არეგულირებდა წვის მიმდინარეობას. პროცესის დამთავრებისას გაჩაღებულ ცეცხლს საკვამლედან სველ „რეშს“ ანუ ნახშირის განაცერს და მიწას აყრიდნენ. ყველა სასულეს მჭიდროდ ახშობდნენ, ხოლო კარებიდან ერთი ღოქი წყლის შესხმის შემდგომ, მასაც ხურავდნენ. ამ სახით ახშობდნენ ცეცხლს სანახშირეში, ხოლო ამის შემდეგ რამდენიმე დღეს მის გაცივებას ანდომებდნენ [36, გვ.35-36].

რაჭველ ოსტატებს, როგორც ეტყობა, დაკვირვების შედეგად კარგად ჰქონდათ გააზრებული ის მოვლენა, რომ ჰაერის მიწოდების შეწყვეტით ცეცხლი ქრებოდა. ამიტომაც ამ ჩაქრობას ისინი „სულის მოგუბვით მოშრეტას“, ანუ „მოხრჩობას“ უწოდებდნენ. დამწვარი ნახშირი, 3-4 ღღიანი გაგრილების შემდეგ, უკვე დანიშნულების-ამებრ გამოიყენებოდა. დანახშირების პროცესის წარმართვასთან ერთად არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ცეცხლის ჩაქრობის სტადიას. „ნახშირის მოხელეებისთვის“ კარგად იყო ცნობილი, რომ თუ სანახშირეში ცეცხლი სწრაფად და ერთდროულად არ იქნებოდა

ჩამქრალი, „ნახშირს გულში ცეცხლი გაუჯდებოდა და ერთიანად ჩაიფერფლებოდა“. ასევე უარყოფით შედეგებს იძლეოდა ყველა სასულის და კარების არასაფუძვლიანად დაგმანვა, რის შედეგადაც შიგ შეღწეული ჰაერი, გაღვივებული ცეცხლის ხარჯზე, ნახშირის ნაცვლად, ნაცარს იძლეოდა.

გამოიყენებოდა ნახშირის მიღების მეორე წესიც, რომელიც დანახშირებას ღია ორმოში ითვალისწინებდა. ამ შემთხვევაში ორმოს თავზე იდგა ორი კაცი და რიგ-რიგობით უმატებდნენ ცეცხლზე შეშას. ეს მეთოდი შედარებით მარტივი და უბრალო იყო, თუმცა ღია ორმოში ნახშირის მიღება დიდი რაოდენობით შეშას მოითხოვდა და ამ შემთხვევაში უგულვეულყოფილი იყო როგორც შეშის, ისე ნახშირის ეკონომია და ამ უკანასკნელის ხარისხიც [36, გვ.37].

სანახშირე ორმოში მიღებული პროდუქტის გაცივების შემდეგ, პირველად აცლიდნენ თავ-მიწას, წმენდლნენ თავს და იწყებდნენ ნახშირის ამოღებას ფეხებად. ამოღებულ ნახშირს დიდ ცხავში ატარებდნენ, რომელსაც დიდი ფართო თვლები ჰქონდა. განაცერი ნახშირი მტკერს ანუ „რეშს“ წარმოადგენდა, ხოლო ცხავში დარჩენილი კი – ანაცერს – „ხორუშ ნახშირს“. დიდი ყურადღება ექცეოდა აგრეთვე ნახშირის გაწმენდას სხვადასხვა სიბინძურისაგან, კენჭებისაგან და ა.შ. რაჭველი ოსტატები ნახშირის ხარისხს მისი ორმოში მდებარეობის მიხედვით არჩევდნენ. მათ შემჩნეული ჰქონდათ, რომ „თავი ნახშირი“, „გული ნახშირი“ და „ძირი ნახშირი“ სხვადასხვა თვისებისა იყო და ამიტომაც მათ სხვადასხვა დანიშულებით იყენებდნენ [36, გვ.39].

ერეკლეს ქარხნებშიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნახშირი ზუსტად იმავე წესით უნდა დაემზადებინათ, რომელიც ჩვენ წედი-სელ ნახშირის სპეციალისტებთან დაკავშირებით განვიხილეთ. ამას გარდა, სხვადასხვა ქარხნების ზოგიერთ სპეციულიკურ პროცესთან დაკავშირებით, ქარხნებთან მოქმედ ნახშირის საწარმოებში უთუოდ გათვალისწინებული იქნებოდა პროდუქციის განსაკუთრებული ჯიშის ხისგან მიღება. მაგალითად, ახტალის ქარხნაში კუპელაციის პროცესისათვის საწვავად მხოლოდ კვიპაროსისაგან დამზადებული

ნახშირი, ხოლო კერის ამონაგებში კაკლის ხისგან დამზადებული ნახშირი გამოიყენებოდა [21].

სპილენძის ჭარმოება

ალავერდის ქარხანასთან ერთად სპილენძის გადამუშავებას აწარმოებდნენ დამბლუდისა და შამბლუდის სპილენძის ქარხნები. ეს უკანასკნელი, როგორც ეტყობა წყვეტილად მუშაობდა და ამის გამო მისი პროდუქცია ქარხნების საერთო პროდუქციის ძალზე უმნიშვნელო ნაწილს შეადგენდა. არც დამბლუდის ქარხანა გამოირჩეოდა დიდი წარმადობით, რაც კარგად ჩანს შემდეგი მონაცემებიდან: ვ.მელქონიანის თანახმად, რომელიც უდავოდ ძალზე სამძელო წყაროებს ეყრდნობა, ალავერდის ქარხნის წლიური წარმადობა 180-190 ტონა ანუ 11250-11950 ფუთ სპილენძს შეადგენდა [27]. ამავე დროს, ქარხნის ერთ-ერთი ხელმძღვანელის, ანასტას ჰაჯიიფეტოვის გვინდელი ცნობით, სპილენძის ქარხნების წლიური წარმადობა 5000-15000 ფუთის საზღვრებში მერყეობდა [77]. თუ ამ და ალავერდის ქარხნის მაქსიმალურ წარმადობებს ერთმანეთს შევადარებთ, ნათლად ჩანს, რომ ალავერდის ქარხანაზე პროდუქციის ძირითადი წილი, დაახლოებით 12000 ფუთი მოდიოდა (მაშინ როდესაც დამბლუდის ქარხანა გაცილებით მცირე, თითქმის 4-ჯერ ნაკლებ სპილენძის რაოდენობას ადნობდა). ამ მონაცემების გათვალისწინებით სპილენძის წარმოებას XVIII ს. მეორე ნახევრის საქართველოში, ჩვენ, ყველაზე დიდი წარმადობის ძქონე ალავერდის ქარხნის მაგალითზე განვიხილავთ (მითუმეტეს, რომ ჩვენამდე მოღწეული წყაროების ძირითადი ნაწილი ამ ქარხანას ეხება).

ალავერდის სპილენძის საჭარმო

ალავერდის ქარხნის შესახებ მთელ რიგ შემთხვევებში თანამედროვე გამოკვლევები ურთიერთშეუთანხმებელ მონაცემებს შეიცავს,

რაც ცხადია ართულებს ქარხნის ჭეშმარიტი მახასიათებლებისა და ტექნოლოგიური პარამეტრების დადგენას. ზუსტად არის მხოლოდ ცნობილი, რომ ქარხანაში სპილენძის მიღების მიზნით მაღნის გადამუშავება სამ ეტაპად ხორციელდებოდა და შესაბამისად მაღნის გამოწვას, დნობას და მიღებული შავი სპილენძის რაფინირებას ითვალისწინებდა. ავტორების ერთი ჯგუფის თანახმად, მაღნების გამოწვა საგანგებო ქურებში მიმდინარეობდა [21, 56], სხვა მონაცემებით კი ამ პროცესს მაღნების გროვის ღიაზ გამოწვით ახორციელებდნენ [27]. გამოსაწვავ ცილინდრულ ქურებში, რომელთა დიამეტრიც და სიმაღლეც 2,48 მეტრს შეადგენდა, ერთმანეთის შენაცვლებით იყრებოდა მაღნის და ნახშირის ფენები. მაგრამ აღნიშული მონაცემიდან აშკარად ჩანს, რომ ასეთი კაზმის პირობებში ვერ იქნებოდა უზრუნველყოფილი გამოწვისათვის საჭირო უნგვითი გარემოს შექმნა, ვინაიდან ამ შემთხვევაში მაღაზე ურთიერთქმედება არა პარას უანგბადით, არამედ ნახშირის წვის შედეგად მიღებული CO-ს საშუალებით ხორციელდებოდა. აქ აშკარად გვაქვს საქმე აღდგენით დნობაზე მომუშავე ღუმელთან და გაუგებარია, თუ რატომ იქნა ის გაიგივებული გამოსაწვავ ღუმელთან. აღსანიშნავია, რომ ეს მცდარი ცნობა რამოდენიმე გამოკვლევაში გვხვდება. კერძოდ, ა.კოჭლავაშვილის გარდა [21] აღნიშულ ღუმელს გამოსაწვავ ღუმელად მ.ჩორგოლაშვილიც თვლის, თუმცა ამ უკანასკნელის მიხედვით, ის თურმე რუსებს შემოულიათ 1801 წლის შემდეგ [56]. იგივე ობიექტს უნდა გულისხმობდეს ი.გძელიშვილიც, რომელმაც ა.ბორზუნოვის (1802წ.) სიტყვიერი აღწერილობის მიხედვით ამ ღუმელის (და მასთან ერთად სპილენძის გამოსადნობი და გასაწმენი) გრაფიკული რეკონსტრუქცია მოახდინა [12]. თუმცა ნახაზს რაიმე განმარტება არ ახლავს, მაგრამ აშკარად ჩანს, რომ ეს „გამოსაწვავი“ ღუმელიც ზუსტად ისეთივე ცილინდრული ფორმისაა, როგორიც წარმოდგენილია ა.კოჭლავაშვილის და მ.ჩორგოლაშვილის აღწერილობებში.

ასევე ეჭვს იწვევს ლიტერატურაში მოყვანილი ერთ-ერთი მონაცემი, რომლის თანახმადაც ერთი ფუთი შავი სპილენძის მის-

აღებად აღავერდის ქარხანაში 5,6 ფუთ მაღანის ამუშავებდნენ [21]. ამ ციფრის არარეალობა აშკარად ჩანს მეორე მონაცემის ფონზე, რომლის მიხედვითაც აღავერდის ქარხანაში ერთი ფუთი წითელი სპილენძის გამოსადნობად 15 ფუთი მაღანი იხარჯებოდა [27]. ცხადია, რომ ერთი ფუთი შავი სპილენძის მისაღებად 15 ფუთზე ნაკლები მაღანი იქნებოდა საჭირო და ეს ნაკლები რაოდენობაც კი რომ აკიდოთ (რომელიც დაახლოებით 12-13 ფუთს შეადგენს), ის მაინც ორჯერ აღემატება ზემოთ მითითებულ 5,6 ფუთს.

ჩვენს მიერ არქივში [42] მიკვლეული იქნა საბუთი, რომელიც საშუალებას გვაძლევს საბოლოოდ გავერკვეთ აღავერდის ქარხანასთან დაკავშირებულ ტექნიკურ დეტალებში და მაქსიმალური მიახლოებით შევძლოთ ამ ქარხანაში გამოყენებული ტექნოლოგიური სქემის რეკონსტრუირება. ეს არის რუსეთის სამთო ექსპედიციის ხელმძღვანელის ა.მუსინ-პუშკინის 1801 წლის ობერვლის მოხსენებითი ბარათი სახელმწიფო ბერგ-კომისიისადმი, სადაც ის აღავერდის ქარხნის შესახებ მსჯელობს და რაოდენობრივი მონაცემების მოყვანით აჩვენებს, თუ რა შესაძლებლობები გააჩნია ამ ქარხანას. ვინაიდან ეს საბუთი ქარხანაში გამოყენებული ტექნოლოგიური პროცესების და მოქმედი აპარატურის მიხედვით არის შედგენილი, ის ფაქტიურად ამ ქარხანაში არსებული რეალური ვითარების საკმაოდ ზუსტ აღწერილობას იძლევა. ამავე საბუთში, არც ავტორის მიერ ნავარაუდევი ქარხნის პერსპექტიული წარმადობა განსხვავდება დიდად იმ დროს რეალურად არსებული წარმადობისაგან. ასე რომ, საბუთიდან ამ მხრივაც საკმაოდ ზუსტი ინფორმაციის მიღება შეიძლება.

ა.მუსინ-პუშკინის წარდგენილი მონაცემები რომ თითქმის არ განსხვავდება რეალური ვითარებისაგან, ეს ჩანს ქარხანასთან დაკავშირებული იმ რაოდენობრივი მონაცემებით, რომლებიც ზოგიერთი წყაროს დამატებით ცნობებში არის მოყვანილი. ისინი ფაქტობრივად თანხვდება ა.მუსინ-პუშკინის ინფორმაციას. კერძოდ, ჩვენ უკვე ზემოთ განვიხილეთ ა.მელქონიანის ცნობა, რომლის თანახმადაც აღავერდის ქარხნის წარმადობა 180-190 ტონას ანუ 11250-11930

ფუთ სპილენძს შეადგენდა. ა.მუსინ-პუშკინის მიხედვით კი ქარხნის წარმადობა 12000 ფუთია, რაც ცხადია თანხვდება ა.მელქონიანის მონაცემს. შეიძლება კიდევ დავასახელოთ ა.მუსინ-პუშკინის და ერთ-ერთი ცნობის სრული თანხვედრა შავი სპილენძის გაწმენდილ სპილენძთან ფარდობასთან დაკავშირებით [21]. ასე რომ, ა.მუსინ-პუშკინის მონაცემები საკმაოდ ზუსტად ასახავს არსებულ მდგომარეობას და რაც მთავარია, აშუქებს ქარხანაში გამოყენებული ტექნოლოგიური სქემის ყველა საკვანძო დეტალს.

ა.მუსინ-პუშკინის თანახმად, ალავერდის ქარხნისათვის ორი საბადოდან ყოველწლიურად მოპოვებული მაღნის რაოდენობა 200000 ფუთს შეადგენს, რისთვისაც „ახლანდელი მუშაობის მიხედვით საჭიროა 100 კაცი“. როგორც ამავე დოკუმენტიდან ირკვევა, წელიწადში ქარხნის სრული სამუშაო დრო 250 დღეს შეადგენდა, ე.რ. დღეში უნდა გამომუშავებულიყო 800 ფუთი ($200000 : 250 = 800$) მაღნი. მაღნის გამოწვა 100 პატარა ღუმელში წარმოებს და მას 100 კაცი უნდა მოემსახუროს. მაღნიდან შავი სპილენძის გამოსადნობად 8 ღუმელი მუშაობს, რომელთაგან თითოეული დღე-ღამეში 100 ფუთ მაღნის ამუშავებს. თითოეულ ღუმელს ემსახურება 6 მდნობელი და 12 მესაბერვლე. ამ ღუმელებში 250 დღის განმავლობაში 200000 ფუთი მაღნიდან მიიღება 15000 ფუთი შავი სპილენძი. შავი სპილენძის გასასუფთავებლად კი 2 ღუმელი მოქმედებს. 15000 ფუთი შავი სპილენძიდან გაწმენდის შედეგად მიიღება 12000 ფუთი სუფთა სპილენძი.

აქვე ა.მუსინ-პუშკინს ხელმეორედ მოჰყავს იმ მუშახელის სია, რომლებიც უნდა ემსახურებოდნენ თითოეულ ტექნოლოგიურ კვანძს. კერძოდ, მათი რაოდენობა შეადგენს: მაღნის მოპოვებისათვის – 100 კაცს, გამოწვის პროცესისათვის – 100 კაცს, შავი სპილენძის გამოსადნობად – 144 კაცს და გაწმენდის პროცედურისათვის – 36 კაცს. ავადმყოფობის გამო მოცდენათა გათვალისწინებით და სხვადასხვა დამატებითი სამუშაოს შესასრულებლად საჭირო იქნება 20 კაცი. ასე რომ, ქარხნის სრული კონტიგენტი 400 კაცით უნდა განისაზღვროს [42]. მოყვანილი მონაცემების კომენტირება შემდ-

გომში გვაქვს გათვალისწინებული, როდესაც დაწვრილებით განვიხილავთ თითოეულ ტექნოლოგიურ კვანძს. ამ კვანძების მოქმედების განხილვისას ვიხელმძღვანელებთ აღნიშნული დოკუმენტის სქემით, რომელიც, როგორც არაერთი დამატებითი ცნობის საფუძველზე დავრწმუნდებით, საკმაო საზუსტით ასახავს რეალურ ვითარებას. ამ სქემის შესაბამისად პირველ რიგში განვიხილავთ სპილენძის მაღნის მოპოვებისა და წინასწარი გადამუშავების საკითხს, ხოლო შემდგომ სპილენძის მაღნის შავ და რაფინირებულ სპილენძად გადაღნობის პროცესს.

სპილენძის მაღნის მოპოვება და გამოწვა

ბერძნების მიერ შემუშავებულ მთელ ტექნოლოგიურ ციკლში, მეტალურგიული პროცესების ფონზე, უცნაურად დაბალი დონით გამოირჩევა სამთომომპოვებელი უბანი. თუ დნობის პროცესის საკმაოდ რენტაბელური ტექნოლოგია ბერძნებს საშუალებას აძლევდა მაღალი ხარისხისა და რაოდენობის ლითონი გამოედნოთ, სამთომომპოვებელი ტექნიკა პრიმიტიული იყო და მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა ევროპულს.

ბერძნული სამთო ტექნიკის შესახებ XVIII ს. თანადროული საინტერესო აღწერილობა არის შემორჩენილი, რომელიც რუსინუსტერ ა.ბორზუნოვს ეკუთვნის. ცნობა კონკრეტულად ახტალის სამთო საწარმოს ეხება, მაგრამ ის შეიძლება სხვა სამთო ობიექტებზეც გავრცელდეს, რადგან ყველა მათგანის შესაბამისი მაღარო და მათი ექსპლუატაციის წესები ზუსტად ერთმანეთის ასლი წარმოადგენს. ამდენად ა.ბორზუნოვის აღწერილობა გარკვეულ სურათს გვიქმნის ალავერდის საწარმოსთან მიმართებაშიც.

არსებული მაღაროები დერეფნების ისეთი სივიწროვით გამოირჩეოდა, რომ ძალზე ძნელი იყო სანგრევებამდე მიღწევა. როგორც კაპიტალურ შტოლნებში, ისე დროებით ორტებში საყრდენად მორების ნაცვლად გამოიყენებოდა ნაგებობები თხელი წნელებისაგან და ამის გამო ყოველთვის დიდი იყო მათი ჩამონგრევის საშიშ-

როება. ბურლვას აწარმოებდნენ ბლაგვი ბურლებით და იმ ადგილას, სადაც საჭირო იყო ერთი კაცი, მუშაობდა ორი. მაღნის ამოტანა ცხენის ან ხელის ჯალამბარის ნაცვლად პატარა ბიჭების მეშვეობით ხორციელდებოდა, რომლებსაც ტყავის ტომრები ზურგზე ჰქონდათ მიძარღებული და ტყირთი ცოცვით გამოჰქონდათ. მაღაროებში არ იყო გათვალისწინებული წყლის მოსაცილებელი საშუალებები, რის გამოც იმ ადგილს, სადაც წყალი ჩნდებოდა, ბერძნები მაშინვე ტოვებდნენ და სხვა ადგილზე გადადიოდნენ. არც მონგრეული მაღნის გადარჩევა იყო სრულყოფილი, ვინაიდან ფუჭი ქანის ნაყარში ა.ბორზუნოვს ხშირად შეუმჩნევია მაღნის ნამტვრევები [112, გვ.85-86].

ალავერდის სპილენძის მაღნი 1911 წლის მონაცემებით საშუალოდ შეიცავდა (%-ში): Cu-4,00; Si-7,42; Fe-35,10; Al-1,8; Ca-1,14; Zn-1,90; S-38,80 [101, გვ.105]. ალავერდის საბადოს 1863 წლიდან მეტოქებას უწევდა ქედაბეკის მაღარო, რომელიც ელიზავეტოპოლის მაზრაში მდებარეობდა. ეს მაღარო, როგორც აღვნიშნეთ, 1863 წელს გაიხსნა ქედაბეკის სპილენძის სადნობ ქარხანასთან ერთად და მისი მეპატრონის – სიმენსის მიერ აღიჭურვა იმდროინდელი ყველაზე მოწინავე ევროპული აპარატურით. ქარხანა და საბადო სპილენძის მაღნის გამოლევამდე ფუნქციონირებდა და ის დაიხურა 1910-იანი წლების პირველ ნახევარში [101, გვ. 119].

ა.მუსინ-პუშკინის დოკუმენტის თანახმად, ალავერდის ქარხანაში ჯერ ახდენდნენ მოპოვებული მაღნის გამოწვას, რომელიც მიზნად ისახავდა მაღნიდან გოგირდის მოცილებას. ბერძნები, რომლებიც სპილენძის მოპოვების „აზიურ“ ხერხს იყენებდნენ, მაღნის არა სრულ, არამედ ნაწილობრივ გამოწვას ახორციელებდნენ. თვით პროცესი ღია კერაში მაღნის გროვებად დამუშავებას ითვალისწინებდა. საწვავ მასალად გამოყენებული იყო შეშა. გროვებად დაწვისას ჩვეულებრივ კერად ორმოებს იყენებდნენ. მაგრამ ა.ბორზუნოვი მოიხსენიებს ცილინდრულ ღუმელებს [111, გვ.86], რომლებიც არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავაიგოვოთ ზემოთ მოხსენიებულ 2,48 მ სიმაღლისა და დიამეტრის მქონე ცილინდრულ ღუმელებთან. ნახშირის

შემცველობის მიუხედავად ეს ღუმელი კიდევაც რომ ჩავთვალოთ გამოსაწვავ ღუმელად, მაშინ გამოდის, რომ გამოწვის პროცედურისას ბერძნები ოსტატები გროვების მეთოდს არ იყენებდნენ. მაგრამ ერთმნიშვნელოვნად ცნობილია, რომ გროვებად გამოწვას ბერძნები 1890-იან წლებშიც მისდევდნენ და კავკასია ამ მხრივ, ნორვეგიასა და აშშ-თან ერთად, იმ ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომელიც სულფიდური მაღნების გამოწვისათვის აღნიშნულ მეთოდს იყენებდა [95, გვ.349]. აქ საქმე გვაქს მცირე გაბარიტების ცილინდრულ ღუმელთან, რომელიც ორმოში ქვით არის ამოშენებული და ამიტომაც ცეცხლის მოხერხებულ კერას წარმოადგენს. მცირე გაბარიტების გამოსაწვავი ღუმელების არსებობა ქარხანაში დასტურდება ა.მუსინ-პუშკინის დოკუმენტითაც, საიდანაც ჩანს, რომ წელიწადში 200000 ფუთი ანუ დღეში 800 ფუთი მაღნის გამოსაწვავად გამოყენებელი იყო 100 პატარა ღუმელი.

ეკოლოგიური თვალსაზრისით, გროვებად გამოწვას თავისი უარყოფითი მხარე ჰქონდა, მაგრამ ამ დროს გამოიყენებოდა მარტივი მოწყობილობა და რაც მთავარია, გამოწვარი მაღნი შედარებით მცირე ზომის ნატეხების სახით მიიღებოდა, რომელიც შემდეგ ადვილად მუშავდებოდა დნობის სტადიაზე.

შემის ცეცხლის სითბოს გარდა, გამოწვის პროცესში დამატებითი სითბო გამოიყოფოდა ეგზოთერმული რეაქციის ხარჯზე. გოგირდის სრული მოცილებისათვის გამოწვა მრავალჯერადი უნდა ყოფილიყო და როგორც ა.ბორზუნოვი იუწყება, ბერძნები ამ ფაქტორსაც ითვალისწინებდნენ. კერძოდ, გამოწვას ისინი 3-ჯერ ან 4-ჯერ ატარებენ. ცხადია, რომ ერთის მხრივ პროცესის ღია არეში მიმდინარეობით, რომელიც ჭარბი უანგბადის მიწოდებას და ამ გზით ჟანგვის პროცესის ეფექტურად ჩატარებას უზრუნველყოფდა, ხოლო მეორე მხრივ გამოწვის პროცესის 3-4-ჯერ გამეორებით, მიღწეული იქნებოდა მაღანში გოგირდის სრული მოცილება: $\text{CuSO}_4 \rightarrow \text{CuO} + \text{SO}_2 + \text{O}$. გამოწვის შედეგად მიღებულ მაღანში სულფიდების ნაცვლად უკვე ოქსიდები იყო წარმოლგენილი და მათ აღსადგენად შემდგომ სტადიაზე აღდგენითი დნობა იყო გათვალისწინებული.

შავი სპილენძის გამოდნობა და მისი გამოხვდა

ის ფაქტი, რომ წინასწარ გამოწვას ბერმნები 3-4-ჯერ ატ-არებდნენ, თავისთავად გულისხმობს, რომ ისნი მიზნად ისახავდნენ მაღნიდან გოგირდის სრულ მოცილებას. გოგირდის სრული მოცილება კი სპილენძის მიღების „აზიური“ წესისათვის იყო დამახა-სიათებული. ევროპული წესით დამუშავებული სპილენძის სულფ-იდური მაღანი განიცდიდა ნაწილობრივ გამოწვას, რის შემდეგაც მისი დნობით მიღებოდა შტეინი - ჭუჭყიანი სპილენძის სულფიდი, რომელსაც ამავე დროს სპილენძის სულფიდის უპირატესი შემცვ-ელობის გამო კუპფერშტეინს ეძახდნენ. კუპფერშტეინის უანგვითი დნობით, რომელიც მიზნად ისახავდა სპილენძის შენაერთიდან გო-გირდის საბოლოოდ მოცილებას, მიღებოდა სპილენძის და სხვა ლითონების ოქსიდები, რომელთა აღდგენითი დნობით და წილის მოცილებით რჩებოდა არასუფთა ლითონური სპილენძი ანუ შავი სპილენძი. საბოლოო ეტაპზე შავი სპილენძის რაფინირებით მიღე-ბოდა სუფთა სპილენძი.

„აზიური“ მეთოდი ევროპულისგან განსხვავებით გოგირდის მო-ცილებას უკვე მაღნის გამოწვის ეტაპზე თვეალისწინებდა, ასე რომ შავი სპილენძის მისაღებად გათვალისწინებული იყო დამუშავებული მაღნის აღდგენითი დნობა. გამომწვარი მაღანი კაზმში აღმდგენელ რეაგენტთან – ნახშირთან (და საჭიროების შემთხვევაში გარკვეულ მდნობებთან) ერთად შეჰქავთ. აღდგენითი დნობის პროცესში რკინის ოქსიდი (Fe_2O_3), რომელსაც ყოველთვის შეიცავს სპილენძის გამომ-წვარი მაღანი, ადვილად შეიძლება აღდგეს ლითონურ რკინამდე. მა-გრამ მისი საფეხურებრივი აღდგენის ბოლო სტადიაზე მიღებული რკინის (II) ოქსიდი (FeO) ადვილად შედის რეაქციაში მაღნის ფუჭ-ქანში არსებულ ან საგანგებოდ კაზმში მდნობის სახით დამატე-ბულ მჟავა კაუმიწასთან (სილიციუმის (IV) ოქსიდი (SiO_2)) წი-ლის წარმოქმნით. სპილენძის (I) ოქსიდი (Cu_2O), რომელიც ძლიერ ფუძე იქსიდს წარმოადგენს, ასევე იღებს მონაწილეობას წილის წარმოქმნის პროცესში, რის შედეგადაც ადგილი აქვს სპილენძის გარდაუვალ და თანაც ძალზე მნიშვნელოვან დანაკარგებს. ა.ბაიკოვს

ამასთან დაკავშირებით მოპყავს ასეთი მაგალითი: თუ მაღანი 5%-იან სპილენძს შეიცავს, აზიური მეთოდით მისგან მიღება 5% სპილენ-ძი და 95% წილა. წილის ასეთ უზარმაზარ მასას შეუძლია თან წარიტაცოს სპილენძის მცირე რაოდენობებიც კი, რასაც საბოლოო ჯამში მის მნიშვნელოვან დანაკარგებთან მივყავართ. Cu_2O -ს აწიდ-ვით განპირობებული ეს დანაკარგი შეიძლება შემცირდეს, თუ კა-ზმში SiO_2 -ის აწიდვის მიზნით უფრო ძლიერი ფუძე ნაერთი იქნება შეტანილი. ასეთ ფუძე ნაერთად მიზანშეწონილია CaO -ს შეტანა, თუმცა წილის რაოდენობის გაზრდისას მისი წარმტაცებელი უნარი შეიძლება უფრო გაიზარდოს [72, გვ. 14]. ძალზე საყურადღებოა ამ შემთხვევაში რკინი ინჟინრის პროსკონიიკოვის ცნობა იმის შეს-ახებ, რომ ბერმნები შავი სპილენძის მისაღებად გამომწვარ მაღანს სწორედ კირთად ერთად აღნიბდნენ [12].

ცხადია, რომ ეს ღონისძიება აღავერდის ქარხანაში უზრუნ-ველყოფდა აღნიშნული „აზიური“ მეთოდის საშუალებით შავი სპილენძის მაქსიმალურად შესაძლებელი რაოდენობის მიღებას. შავ სპილენძთან ერთად ამ პროცესში წარმოიქმნებოდა წილა, რომელიც ძირითადად რკინისა და კალციუმის სილიკატებს შეიცავდა. ამ წი-ლის მოცილების შემდეგ რჩებოდა ე.წ. შავი სპილენძი, რომელიც მინარევების გამო, მართლაც შავი ფერის იყო და დაბალი პლასტი-კურობით ხასიათდებოდა.

ა.მუსინ-პუშკინის თანახმად, შავი სპილენძის გამოსაღნობად 8 ღუმელი გამოიყენებოდა, რომელთაგან თითოეული ღღეში 100 ფუთს აღნიბდა. თითოეულ ღუმელს 6 მდნობელი და 12 მესაბერვლე ემსახ-ურებოდა. ეს მონაცემები თითქმის თანხვდება ალკოჰოლაგამგილის მონაცემებს, რომლის მიხედვითაც შავი სპილენძის საღნობი ღუ-მელისათვის ხუთკაციანი პერსონალი იყო გამოყოფილი (ორი მდ-ნობელი და სამი დამხმარე) თორმეტ მესაბერვლესთან ერთად [21]. რაც შეეხება წარმადობას, იმავე ა.მუსინ-პუშკინის ცნობით, 200000 ფუთი მაღნიდან 15000 ფუთი შავი სპილენძი მიღებოდა, ანუ დაახ-ლოებით 13,5 ფუთი მაღანი იხარჯებოდა 1 ფუთი შავი სპილენძის მისაღებად.

ა.მუსინ-პუშკინის ცნობებს ერთგვარად ავსებს ვ.მელქონიანის მონაცემები, რომლის თანახმადაც მაღნის დნობა დაბალ შახტურ ღუმელებში მიმდინარეობდა, რომელსაც წინ არ ჰქონდა ქურები. ამ ღუმელებში მიღებული პროდუქცია კი შავი სპილენძის სახით 80-85%-მდე სპილენძს შეიცავდა [27]. შავი სპილენძის შედგენილობა სხვადასხვა ქარხნებში სხვადასხვა იყო და ის 1890-იანი წლები-სათვის 70-90% სპილენძს შეიცავდა [95, გვ.38]. ასე რომ, ალავერდის ქარხნის შავ სპილენძში სპილენძის 80-85%-მდე შემცველობა ჩვეულებრივ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ.

გამომწვარი მაღნის აღდგენითი დნობის შედეგად მიღებული შავი სპილენძის რაფინირებისათვის ბერძნებს საყოველთაოდ გაფრცელებული ტექნოლოგია უნდა გამოყენებინათ, რომელიც ჰქონდა შებერვით შავი სპილენძის უანგვით დნობას ითვალისწინებდა.

სადნობი ღუმელიდან გასაწმენდ ღუმელში გადმოტვირთულ შავ სპილენძს შეშის ცეცხლის საშუალებით აღნობენ. დნობის ეს პროცესი 2-3 საათს გრძელდება, რის შედეგადაც შეშის წვას დროებით წყვეტენ, რათა სპილენძის გამლოვალ ზედაპირზე ამ დროს გამოყოფილი შესქელებული წიდის მასა მოაცილონ (ეს მასა შავი სპილენძის დნობის პროცესიდან გამოყოლილ წიდას წარმოადგენს). ამის შემდეგ ისევ შეშის წვა, ხოლო გამლოვალი სპილენძის ზედაპირს საბერველის საშუალებით ჰქონი მიეწოდება. ამ დროს მინარევები, მათი მცირე შემცველობის ან უანგბადისადმი სპილენძ-თან შედარებით უფრო მაღალი სწრაფვის გამო, ადვილად იუანგება და წიდაში უფრო ადრე გადასვლის შედეგად გამდნარ სპილენძს სცილდება. მინარევების ნაწილი (As, Sb, Pb, Zn) აქროლებას განიცდის, ხოლო ოქსიდირებული რეკინა და ნაწილობრივ თუთა წიდაში გადადიან სილიკატების სახით, რომელიც ამონაგის ან აგურის წყობის შემცველ კაჟმიწასთან რეაგირების საშუალებით წარმოიქმნება.

ოქსიდაციის პროცესის დამთავრების შემდგომ, რაც შეიმჩნევა წიდის სულ უფრო და უფრო მცირე რაოდენობის გამოყოფით, გათვალისწინებულია გამლოვალ სპილენძში მისი (I) ოქსიდის – Cu₂O-ს აღდგენა, რომელიც შებერვის პროცესში ჩნდება, ვინაიდ-

ან მინარევების მოცილებასთან ერთად ამ დროს თვით სპილენძის ნაწილიც განიცდის ოქსიდაციას. წარმოქმნილი Cu₂O ლითონში იხსნება და მას სიმყიფეს ანიჭებს. ამიტომ მინარევების მოცილების შემდეგ, საჭიროა აღდგენითი დნობით სპილენძის მიერ შეერთებული უანგბადის მოცილება. ამას კი ძირითადად ნახშირის საშუალებით ახორციელებენ [95, გვ.398]. გამლოვალი სპილენძის ზედაპირზე ცეცხლის შეწყვეტასთან ერთად იყრება ნახშირის ფხვნილი და მასას ურევნ ახლადმოჭრილი ხის ჭოკით. ხიდან გამოყოფილი მშრალი გამოხდის პროდუქტები და ნახშირი მორევის პროცესში აღადგენენ Cu₂O-ს და სპილენძი საბოლოოდ გაწმენდილად ითვლებოდა [95, გვ.398-411]. სპილენძის ხელახალი ოქსიდირების თავიდან ასაცილებლად მას ზემოდან ხის ნახშირის ფხვნილით ფარავდნენ.

ნახშირს ზუსტად ამავე მიზნით ალავერდის ქარხანაშიც რომ იყენებდნენ, ეს ჩანს ალ-კოჭლავაშვილის ცნობიდანაც. მკვლევარი ჩვენთვის უცნობ საარქივო ლოკუმენტზე დაყრდნობით იუწყება, რომ ალავერდში რაფინირების პროცესისათვის შხილოდ ფიჭვის ხისაგან დამზადებული ნახშირი გამოიყენებოდა [21]. ის ფაქტი, რომ ბერძნი ოსტატები განსაკუთრებული სახის ნახშირს იყენებდნენ, თავისთავად მიუთითებს იმაზე, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდნენ ისინი აღნიშნულ აღმდეგნელს გაწმენდის პროცესისათვის. დასაშვებია, რომ ნახშირთან ერთად ალავერდში ხის მოსარევი ჭოკებიც ყოფილიყო გამოყენებული.

ლიტერატურული მონაცემებით, XIX ს. ზოგიერთ სპილენძის ქარხანაში Sb-ის და As-ის სრულად მოცილების მიზნით რაფინირების დროს, კერძოდ კი ბოლო სტადიაზე, ხის ჭოკით მორევისას სპილენძს ემატებოდა 0,05-0,07% ტყვია [75, გვ.219; 95, გვ.507]. ირკვევა, რომ ამ მეთოდს ბერძნებიც იყენებდნენ. ეს დასტურდება რუსი სამთო ინჟინერის ნ.ვოსკობოინიკოვის ცნობით, რომლის თანახმადაც ალავერდელი ოსტატები სპილენძის გაწმენდას ტყვით ახორციელებდნენ [12].

ჩვენს მიერ მოპოვებული საარქივო დოკუმენტის მიხედვით, შავი სპილენძის გასასუფთავებლად ალავერდის ქარხანაში გამოიყენე-


ბოდა ორი ღუმელი. თითოეულს ემსახურებოდა 6 რაფინირების ოსტატი და 12 მესაბერვალე. წარმოდგენილი მონაცემებიდან ირკვევა, რომ ერთ ღუმელზე დღე-ღამეში 30 ფუთი შავი სპილენძის გადამუშავებით მიღებოდა 24 ფუთი წითელი სპილენძი, ე.ი. შავი და წითელი სპილენძის რაოდენობრივი შეფარდება შეადგენდა 1,25-ს ($30 : 24 = 1,25$). ამ შეფარდებას მართლაც რომ ჰქონდა ადგილი ალავერდის ქარხანაში, ეს ჩანს სხვა ცნობებიდანაც. კერძოდ, ზუსტად ასეთივე შედევს იძლევა აღ. კოჭლავაშვილის მონაცემები [21], რომლის თანახმადაც ალავერდის სპილენძის ქარხანაში 10 ფუთი შავი სპილენძიდან მიღებოდა 7,5 ფუთი წითელი სპილენძი ($10:7,5=1,25$). აღნიშნული თანხვდენები დამაჯერებლად მიუთითებენ იმ ფაქტზე, რომ ა.მუსინ-პუშკინის მონაცემები მართლაც იმსახურებს ნდობას, რაც საშუალებას იძლევა მაქსიმალური სიზუსტით დავადგინოთ ქარხანასთან და მის ცალკეულ ტექნოლოგიურ კვანძებთან დაკავშირებული საკითხები.

შეჯამებული სახით მაღნებიდან სუფთა (წითელი) სპილენძის მიღების საწარმოო ხაზი ალავერდის ქარხანაში შეიძლება ტექნოლოგიური სქემით წარმოვადგინოთ (სურ. 7). არაპირდაპირი მონაცემების საფუძველზე გარკვეული წარმოდგენა გვექმნება ქარხანაში გამოწყობილი პროდუქტის ხარისხიანობის შესახებ.

ნ.ლიუბავინს თავის ცნობილ სახელმძღვანელოში „ტექნიკური ქიმია“ მოჰყავს სხვადასხვა ქარხნებში დამზადებული ტექნიკური სპილენძის ქიმიური შედეგებით. კერძოდ, ცხრილში მოყვანილია ბოგოსლოვსკის (რუსეთი) და ქედაბეგის (ელიზავეტოპოლის ოლქი) ქარხნების პროდუქცია და ე.წ. „სპილენძი კავკასიიდან“ [95, გვ.451]. ცხადია, რომ ამ უკანასკნელში ალავერდის სპილენძი იგულისხმება. 1874 წლის ლიტერატურულ წყაროში მოყვანილი ეს ცნობა ჩვენთვის ძალზე საყურადღებოა, ვინაიდან 1870-იან წლებშიც ალავერდში ისევ ბერძნები მუშაობდნენ და თითქმის უცვლელად იყენებდნენ იმ ტექნოლოგიას, რომლითაც ისინი ჯერ კიდევ ერეკლეს მეფობის დროს სარგებლობდნენ. ერთადერთი ცვლილება, რომელიც თავდაპირველად ტექნოლოგიამ ამ წლების განმავლობაში განიცადა, დაკავშირებული

იყო 1871 წელთან. ამ წლიდამ ალავერდის ქარხანაში გასაწმენდ ღუმელებად იმ დანადგარის გამოყენება დაიწყეს, რომელთა შემოღებასაც ჯერ კიდევ 1802 წელს ცდილობდნენ რუსები [27].

ამ სიახლეს არ შეეძლო არსებითად შეეცვალა ალავერდის ქარხნის ტექნოლოგიური სქემა. ასე რომ, ცხრილში (ცხ. 3) წარმოდგენილი სპილენძის შედეგენილობა ფაქტობრივად XVIII ს. პროდუქციის შედეგენილობის ანალოგიურად უნდა ჩაითვალოს (თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ 1874 წელს გამოცმულ უცხოურ უურნალში 1871 წლის ამბები არ მოხვედრილიყო).




სურ. 7. სუფთა სპილენძის მიღების საწარმოო ხაზი

ცხრილი 3. ტექნიკური სპილენძის შედგენილობა %-ში

| | ბოგუსლოვსკის ქარხანა | ქედაბეგი | „სპილენძი კავკასიიდან“ |
|----|----------------------|----------|------------------------|
| Cu | 99,48 | 99,577 | 99,844 |
| Fe | 0,02 | 0,009 | 0,031 |
| Ni | 0,11 | 0,031 | 0,040 |
| Pb | კვალი | 0,027 | - |
| Ag | 0,05 | 0,080 | 0,161 |
| Au | კვალი | - | 0,014 |
| As | 0,01 | 0,038 | 0,015 |
| Sb | 0,09 | 0,060 | 0,009 |
| Si | - | - | 0,008 |
| O | 0,31 | 0,059 | 0,040 |

როგორც ცხრილიდან ჩანს, მთელი რიგი მონაცემებით აღავერდის პროდუქცია წარმოდგენილი ქარხნების პროდუქციაზე უკეთესიც კი არის. მასში სპილენძის შემცველობა ყველაზე მაღალია და ის გამოირჩევა ვერცხლისა და ოქროს შედარებით გაზრდილი რაოდენობით, თუმცა ეს უარყოფით გავლენას არ ახდენს სპილენძის ფიზიკურ და მექანიკურ თვისებებზე (პირიქით, ეს უფრო დახვეწილ ფერს ანიჭებს სპილენძს, რასაც სხვათა შორის რუსებმაც ჯერ კიდევ 1800 წელს მიაქციეს ყურადღება) [42]. As-ის და Sb-ის რაოდენობა ქედაბეგის სპილენძთან შედარებით საშუალოდ 2,5-ჯერ ნაკლებია, რაც რაფინირების პროცესში ტყვიის გამოყენებით უნდა იყოს განპირობებული. ჟანგბადის ნაკლებობა, ორივე ქარხნის ანალოგიურ მინარევთან შედარებით, უდავოდ იმ გარემოებაზე უნდა მიუთითებდეს, რომ აღავერდის ქარხანაში ნახშირით (და შესაძლოა ხის ჭოკებით) აღდგენის სტადია განსაკუთრებული გულმოდგინებით ტარდებოდა (სურ. 8).



სურ. 8. ტექნიკური სპილენძის შედგენილობა ქარხნების მიხედვით

მთლიანობაში, საწარმოს კონსერვატულობის და სპილენძის გამოღნობის „აზიური“ წესის გამოყენების მიუხედავად, აღავერდის პროდუქცია აშკარად უკეთესია ქედაბეგში ევროპული მეთოდებით მოუშავე სიმენსის ქარხნის პროდუქციაზე. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ბერძნები თუმცა აშკარად ჩამორჩებოდნენ სამთო-მომპოვებელ უბანზე პრიმიტიული აპარატურისა და მოწყობილობების გამოყენებით, მაგრამ გამოღნობის ხელოვნებას უდავოდ გაცილებით უკეთესად ფლობდნენ. ბერძნების მეტალურგიული წარმოება არ გამოირჩეოდა ტექნიკურ-ტექნოლოგიური თვალსაზრისითაც, მაგრამ მიუხედავად ამისა, ნაკლები წარმადობის პირბებში, მათი ემპირიული ცოდნა-გამოცდილება მაღალხარისხოვანი პროდუქციის მიღების გარანტიას იძლეოდა.

აღავერდის ქარხანასთან, როგორც ირკვევა, ფურცლოვანი სპილენძის დამამზადებელი ფაბრიკაც მუშაობდა. ეს ცნობა, რომელი-ლაც საარქივო დოკუმენტზე დაყრდნობით მოყავს ველქონიანს [27] და სხვა საარქივო დოკუმენტითაც დასტურდება. კერძოდ, რუსული სამთო ექსპედიციის მონაცემების თანახმად, 1800-იანი წლების

დასაწყისში ირანის სხვადასხვა ქალაქში გასაყიდად გაპქონდათ როგორც ნაჭედი („кованная“), ისე გაუჭედავი („некованная“) სპილენძი [44]. ნაჭედსა და გაუჭედავში აქ ფურცლები და ლუგვი ან ძელაკი სპილენძი იგულისხმება, ვინაიდან იმ დროს ფურცლოვნი სპილენძი მხოლოდ ჭედვით მზადდებოდა, შესაბამისად რუსი სპეციალისტები მას ნაჭედ სპილენძს („кованная медь“) უწოდებდნენ (რაც შეეხება გლინვის მეთოდს, ის ევროპაში, კერძოდ კი აგსტრიაში, შედარებით გვიან, მხოლოდ 1816 წელს იქნა შემოღებული [95, გვ.454]).

სპილენძის წნევით დამუშავებისას მხოლოდ ჭედვის მეთოდის გამოყენების გამო, სავსებით გასაგებია, თუ რატომ გაიხსნა ფურცლოვანი სპილენძის ფაბრიკა ალავერდში და არა თბილისში. სპილენძის ჭედვით დამუშავება ყოველთვის ხმაურთან იყო დაკავშირებული, რის გამოც, როგორც ეტყობა, უპირატესობა მისი წარმოების არა ქალაქის, არამედ ალავერდის ქარხნის ტერიტორიაზე ამუშავებას მიენიჭა. ამასთან დაიზოგა დროისა და ტრანსპორტის დანახარჯი, რომელიც ნაწევარფაბრიკატის ალავერდიდან თბილისში გადაადგილებისათვის იყო საჭირო.

სპილენძის მეტალურგიული ფარმოგის პერა დაცისის რაიონის ს. გორაში (არქეოლოგიური მასალა)

გვიანშეუსაუკუნების სპილენძ-ბრინჯაოს წარმოების სრული ისტორიულ-მეტალურგიული სქემის წარმოსადგენად შევისწავლეთ და ტექნოლოგიურად გავანალიზეთ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სამთო-მეტალურგიული ძეგლების შემსწავლელი რაზმის მიერ მიკვლეული და არქეოლოგიურად დამუშავებული, სპილენძის მეტალურგიული წარმოების ძეგლი – დმანისის რაიონის სოფელი გორადან.

მეტალურგიული წარმოების ობიექტზე ჩატარებულმა საველე-არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ მნიშვნელოვანი შედეგები მოგვცა

ძეგლის საწარმოო ხასიათისა და ისტორიული ფუნქციონირების შესასწავლად. დაზვერვითი და გათხრითი სამუშაოები გამიზნულად ჩატარებულია საქართველოს ერთ-ერთ მეტალოგენურ რეგიონში, სადაც არაერთგზის დაფიქსირდა ძეგლი მეტალურგიული წარმოების ნაშთების შემცველი ძეგლები. შესწავლილი ძეგლი მდებარეობს დმანისის რაიონის მთიან ზოლში, ს. გორასთან, მდინარე გორასწყლის ხევის მარცხნა ნაპირზე განლაგებულ ტერასზე.

არქეოლოგიურად შესწავლილია 1600 მ² ფართობის ტერიტორია, რომლის დიდი ნაწილი დაფარული იყო წარმოების ნარჩენებით. განისაზღვრა მეტალურგიული წარმოების კერის მდებარეობა და გარეგვა სახელოსნოს განლაგების სიტუაციური გეგმა. ზედაპირულ ფენებში დაფიქსირდა დიდი რაოდენობით ფუჭი ქანისა და წილის გადანაყარის არსებობა, რამაც განსაზღვრა მეტალურგიული ობიექტის საწარმო ფართის გავრცელებისა და მოქმედების არყალი.

როგორც მოსალოდნებლი იყო განათხარ მასალაში ძირითად მასას წარმოადგენს წილის ფრაგმენტები, რომელშიც გვხვდება ორი ტიპის კონგლომერატი: 1. მუქი-რუხი ფერის ამორფული მასა. მასთან ერთად მყარი წილა ნაღვენთების სახით. 2. ვარდისფერ-მოწითალო და მუქი-ყავისფერი შეფერილობის მასიური მინისებრი ნაღვენთი მასა.

წილის გადანაყარის ფენა ცვალებადი დატვირთვითაა და მთელ ფართზე მისი სისქე ვერტიკალურ ჭრილში იცვლება 0,9 მ-დან 1,3 მ-მდე. თუ გავითვალისწინებთ ტერასული ჭრილების სიმაღლეს და დატვირთვის ფართს, წილის მთლიანი გადანაყარის მოცულობა 182,5 მ³-ს შეადგენს, რაც კარგად პასუხობს ჭელი სპილენძ-ბრინჯაოს წარმოებისათვის დამახსასიათებელი სამუშაო ციკლის პირობებს. წილის ფრაგმენტები უძრავად დაცულია გადანაყარის საერთო მოცულობაში (მასაში) და შერჩენილი აქვს პირველადი დაკრისტალების გარენული სახე. თხევადი მდგომარეობიდან მიღებულია მრავალგვარი კონფიგურაციის დეტალები ხისა და თიხის ანაბეჭდებით.

საწარმოო-სახელოსნოს მთლიანი კომპლექსი, ამოშენებული დეტალებით და გამყოფი კედლების აღნიშვნით, შეადგენს ძირითადი

და დამხმარე ნაგებობების სისტემას (გათხრების საერთო ზედი, სურ. 9).

მთლიანი სამუშაო ფართის გაწმენდის შემდეგ გაირკვა დამხმარე სათავსოს ერთიანი ფორმა და დანიშნულება. იატაკის დონეზე აღმოჩნდა საწარმოო ნაღვენთები და რკინის ნივთები, რომელთა დანიშნულება ფრაგმენტულობისა და კოროზიის გამო გაურკვეველია. როგორც საწარმოს გეგმარებიდან ჩანს, დამხმარე სათავსო №1 გამოიყენებოდა პირველადი დნობის პროდუქტების დახარისხებისათვის, სადაც იმავე დროს ხდებოდა მიღებული საწარმოო ნარჩენების საერთო მასისაგან გამოყოფა.



სურ. 9. საწარმო – სახელოსნოს მთლიანი კომპლექსი

მეტალურგიული საწარმოს მთლიანი ციკლის წარმოდგენა შესაძლებელია საერთო ფართის ცენტრალურ ნაწილში გამოყოფილი რიგით მეორე სათავსოს ფუნქციის გარკვევის შემდეგ, სადაც ზედაპირიდან 0,6-0,7 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდიდა კულტურული ფენა (სისქე 0,5 მ), წარმოდგენილი ნახშირის შეწითლებული ნიადაგისა და წილის ფრაგმენტებით. იკვრება №2 სათავსოს კონტურები (სურ. 10), კედლები ამოშენებულია რიყის ქვით და საწარმოო ნარჩენებით. კედლები შეკრულია დასავლეთით და სათავსოს სამუშაო ტრანსპორტულებისათვის აღმოსავლეთი მხარე არის დატოვებული; მეორე დამხმარე სათავსო გამოყენებული იყო მაღნის გამდიდრების მიზნით დახარისხების და გამოწვისათვის. სათავსოს საწარმოო ციკლის აღნიშნულ ფუნქციაზე მიუთითებს კულტურული ფენის მთლიანი ფართის დაშრევება პორიზონტალურ ფენებად, სადაც მონაცემების ნახშირისა და გამომწვარი, დაშლილი მაღნის მასის ფრაგმენტები. აღსანიშნავია, რომ საწარმო სათავსოს №1 და №2 დამხმარე სათავსოებს შორის არსებული ფართობი სტერილურია, გამოიყენებოდა მეტალურგიული დნობისათვის საწვავისა და მაღნის დახარისხებული ნაწილების შენახვა-დაგროვების მიზნით.



სურ. 10. სათავსო №2

ს. გორას მეტალურგიული წარმოების სახელოსნოს ცენტრალური უბანია ძირითადი საწარმოო კერა, სადაც განლაგებულია მეტალურგიული ქურა. მასიური ქვის შემაგრებით შემოსაზღვრულია ქურის ტერიტორია. ქურის მიწისზედა ნაწილი შეადგენს ოთხკუთხა მომრგვალებულ კუთხეებიან ფორმის ჭავჭური ტიპის ღუმელს, მისი კედლების შემადგრენელი რიყის ქვები და შელესილობის ნაწილი შემლდვალია მაღალტემპერატურული ხურების


გამო. როგორც განათხარი მასალიდან ჩანს, ქურის კონსტრუქციას შეესებამებოდა 0,8-0,9მ სიმაღლის მიწისზედა ნაწილი, რომელიც ამოშენებულია რიყის ქვით, შელესილია და აქვს შესაბამისი გადახურვის სისტემა. ქურაში უშეალოდ დნობისათვის და მაღნის აღდგენა-გამონაბისათვის განკუთვნილი ნაწილი მოთავსებულია მისი კონსტრუქციის ქვედა ნაწილში და მდებარეობს იატაკის დონის ქვევით. კარგად დამუშავებული რიყის ქვებით მიწაში ჩაჭრილი ფართი ამოყვანილია ოთხკუთხოვანი ფორმის სივრცის შესაქმნელად. ქურის სადნობი ნაწილის აღმოსავლეთი კედელი იცვლებოდა დნობათა გარკვეული რაოდენობის შემდეგ; მიმართულებით ემთხვეოდა ფერდობის დამხრობას, დაქანებულ მხარეს, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა წარმოების ნარჩენებისა და მზა ლითონის (ნადნობის) ამოტვირთვისათვის.

ქურის კონსტრუქციის შემორჩენილი ნაწილი, მისი მიწისქვედა სივრცე, ამონაგის მთლიანი ფართი (ქვის კედლები, ქურის ძირის ნაწილი და შელესილობა) მუდმივად მოქმედებდა მაღალი ტემპერატურის ქვეშ. მასალა მთლიანად დეფორმირებულია და შემლევალია. ქურის საბერვლების მოქმედების სიახლოვეს დარჩენილია სპილენბის ნაღვენთები. ქურა ამოვსებული იყო შელესილობის ფრაგმენტებით და ნახშირით (სურ. 11). მთლიანად საწარმოს, ქურის კონსტრუქცია ტიპიურია გვიანშუასაუკუნეების ოპტიმალური მოცულობის ქურებისათვის, რომლებიც გამოიყენებოდა სპილენბის მაღნისა და აგრეთვე სპილენბის შემცველი პოლიმეტალური მაღნის აღდგენითი დნობებისათვის (სურ. 12).

გამომწვარი მინის ნიმუშებიდან და წილის გადანაყარიდან შეჩეული ხის ნახშირის სინჯების რადიოკარბონული მეთოდით (^{14}C) დათარიღების საფუძველზე დასტურდება წარმოების ფუნქციონირების პერიოდი – ახ.წ. XVII-XVIII სს. სინქრონულად თარიღდება წარმოების გადანაყარში აღმოჩენილი კერამიკის ფრაგმენტებიც.



სურ. 11. სპილენბის სადნობი მეტალურგიული ქურა



სურ. 12. სპილენბის სადნობი სახელოსნოს გეგმა და ჭრილი


სპილენბის სადნობი მეტალურგიული საწარმოო კერის სამუშაო ფართობზე აღებული წილის, გამომწვარი მაღნის ფრაგმენტებისა და ლითონის ნაღვენთების სპექტრული ანალიზის შედეგები მოცემულია ცხრილში (ცხ. 4). როგორც ცხრილიდან ჩანს, წილის და ლითონური სინჯების შედგენილობა ტიპიურია სპილენბ-ბრინჯაოს წარმოების პირველი ეტაპის დნობისათვის. გვიანი შუასაუკუნეების სპილენბის წარმოების ცნობილ საერთო დამახასიათებელ არგუმენტებად შეიძლება ჩათვალოს მათში დარიშხნის, ანთიმონის, კობალტის და ოქროს არარსებობის ფაქტი. რაც შეეხება ვერცხლის, ტყვიის, თუთიის და ბისმუტის შემცველობას, ის დამახასიათებელია ამ პერიოდის სპილენბის მეტალურგიული გადამუშავების პროცესისათვის.

ლითონური სინჯების შედგენილობა აგრეთვე გვაძლევს სპილენბის მაღნის პირველადი დნობისათვის დამახასიათებელ ელემენტთა ნაკრებს, სადაც სპილენბის ფუძეზე მცირე კონცენტრაციით მაღნისეული მინარევი ელემენტებია მოცემული. დიდი რაოდენობითაა წილაში Si, Ca, Mg. შეიძლება ითქვას, რომ წარმოების ნარჩენების ქიმიური შედგენილობა და ფიზიკური მონაცემები ადასტურებს მათ მეტალურგიულ წარმომავლობას. საწარმოს ორგანიზაციული და ტექნოლოგიური მონაცემები ასახავენ სპილენბის მეტალურგიული მიღების პროცესს მაღნებიდან მისი პირდაპირი აღდგენის გზით.

ამდენად, არქეოლოგიურად შესწავლილი სპილენბის სადნობი ქურის მეტალოგრაფიული მონაცემები ამავე პერიოდის ქარხნული წარმოებისათვის დადასტურებული, ცნობილი პირველადი აღდგენითი დნობის პროცესის ანალოგიურია. შესაბამისად შეიძლება წარმოვიდგინოთ ს. გორას სპილენბის საწარმოო კერის ერთიანი მეტალურგიული ციკლის სქემა (სურ. 13).

ცხრილი 4. წილის, გამომწვარი მაღნის ფრაგმენტების და ლითონის ნაღვენთების სპექტრული ანალიზის შედეგები

| № | სინჯის დასახელება | ქიმიური შედეგებილობა | | | | | | | | | | | | | |
|----|--------------------------|----------------------|------|------|------|------|------|----|------|------|------|----|----|-------|------|
| | | Si | Al | Mg | Ca | Fe | Mn | Co | Cu | Pb | Ag | Sb | As | Sn | Zn |
| 1 | ს. გორა, წილი (მინისტრი) | 51,0 | 14,3 | 10,3 | 6,1 | 8,5 | 0,15 | — | 4,5 | 0,01 | — | — | — | 0,04 | |
| 2 | „ „ გონ-გონიშვილი | 41,0 | 17,1 | 8,9 | 7,6 | 10,1 | 0,25 | — | 5,3 | 0,03 | 0,05 | — | — | 0,15 | |
| 3 | „ „ გონიშვილი | 45,0 | 15,4 | 11,2 | 5,5 | 8,9 | 0,08 | — | 4,9 | 0,02 | 0,03 | — | — | 0,05 | |
| 4 | „ „ რუხი | 43,0 | 10,7 | 14,1 | 8,3 | 10,9 | 0,10 | — | 5,7 | 0,05 | 0,04 | — | — | 0,001 | 0,20 |
| 5 | „ „ წითელი | 38,1 | 16,0 | 8,7 | 7,9 | 20,4 | 0,01 | — | 3,5 | — | — | — | — | 0,01 | |
| 6 | „ „ შელესილობა (რუხი) | 33,4 | 19,3 | 9,3 | 10,2 | 21,3 | — | — | 0,3 | — | — | — | — | — | |
| 7 | „ „ შელესილობა (წითელი) | 35,2 | 17,5 | 8,5 | 11,4 | 21,8 | — | — | 0,4 | — | — | — | — | — | |
| 8 | „ „ შელესილობა (რუხი) | 34,3 | 14,9 | 10,3 | 11,3 | 21,6 | — | — | 0,7 | — | — | — | — | — | |
| 9 | „ „ შელესილობა (წითელი) | 33,8 | 16,0 | 9,7 | 10,7 | 22,1 | — | — | 0,5 | — | — | — | — | 0,001 | |
| 10 | „ „ შელესილობა (რუხი) | 33,1 | 15,3 | 8,6 | 9,9 | 22,0 | — | — | 0,5 | — | — | — | — | — | |
| 11 | „ „ ლითონის ნაღვენტი | 1,7 | 1,3 | 0,9 | 1,2 | 5,0 | 0,2 | — | 85,4 | 0,09 | 0,3 | — | — | 0,002 | 0,05 |
| 12 | „ „ ნაღვენტი (ფორმენი) | 2,3 | 1,6 | 0,14 | 1,4 | 3,6 | 0,03 | — | 88,3 | 0,03 | 0,08 | — | — | 0,001 | 0,09 |
| 13 | „ „ ნაღვენტი (მონილობი) | 1,0 | 0,9 | 0,04 | 0,4 | 3,4 | 0,1 | — | 90,7 | 1,5 | 0,7 | — | — | 0,02 | 0,20 |
| 14 | „ „ ნაღვენტი (მინილობი) | 0,6 | 1,1 | 0,09 | 0,3 | 3,7 | 0,15 | — | 88,2 | 1,7 | 0,5 | — | — | 0,05 | 0,30 |






სურ.13. სპილენძის მიღება-დამუშავების საერთო ტექნოლოგიური პროცესი ს.გორაში აღმოჩენილი მეტალურგიული კერის მიხედვით

რპინის ჭარმოება

სპილენძის და ტყვია-ვერცხლის ქარხნების გარდა ერეკლეს მმართველობის დროს მოქმედებდა ბოლნისის რკინის საწარმო, რომელიც შავი ლითონით უზრუნველყოფდა ქართლ-კახეთის სამეფოს. ა.როგავას მიხედვით უცხოელი მოგზაურის იდელაპორტის ცნობით ერეკლეს ბორჩალოშიც დაუარსებია რკინის საღნობი ქარხანა, მაგრამ ძალიან მაღლე ლეკების თარეშის გამო მას ფუნქციონირება შეუწყეტია. ბორჩალოში რკინის საღნობი ქარხნის ამუშავებას და შემდგომ ლეკების თარეშის გამო მის დახურვას 1770 წელს

რუსი კაპიტანი ნ.იაზიკოვიც აღნიშნავდა [105, გვ.84]. შედარებით უკეთესი მდგომარეობა აღინიშნა ბოლნისში, სადაც ინტენსიურად მიმდინარეობდა რკინის მაღნის მოპოვება და გადამუშავება. ბოლნისში მაღნი, რომლის მთავარ კომპონენტს რკინის კრიალა (Fe_2O_3) შეადგენდა, ასეთი ქიმიური შედგენილობის იყო: Fe - 41,59%, Si - 13,53%, S - 0,02%, P - 0,094%, Cu - 0,027%, Mn - 0,22% [28]. რკინის მაღნის მოპოვების წესი ფაქტობრივად ზუსტად თანხვდებოდა სპილენძის მაღნის მოპოვების წესს.

ლუგვი რკინის მისაღებად ბოლნისის საწარმოში იყენებდნენ მეტალურგიის ისტორიის პრაქტიკაში უძველესი მიღებული ათვისებულ მეთოდს, რომელმაც XIX საუკუნის ლიტერატურაში „ცივბერვის მეთოდის“ სახელწოდება მიიღო. ეს სახელწოდება განაპირობა ქურაში ბუნებრივი (გახურების გარეშე) ჰაერის მიწოდების წესმა. ცივბერვის პროცესი, რკინის დნობის მაღალი ტემპერატურის (1539°C) მიუხედავად, მისი ღუბლისებური სახით მიღება მაღალ ტემპერატურას არ საჭიროებს (რკინის მაღნის აღმდეგნლებთან საკმაოდ დაბალ ტემპერატურაზე რეაგირების უნარი გააჩნია). ცივბერვით პროცესში აღმდგენელს წარმოადგენს CO, რომელიც ქურაში ჰაერის ბერვისას ნახშირის წვის შედეგად გამოიყოფა, საფეხურებრივად აღაღდენს რკინის ოქსიდს ლითონურ რკინამდე:



აღდგენილი რკინის წვეთები მაღან-ნახშირის ნარეგში თანდათანობით ძირს ეშვება და ფსკერზე შეცემობის შედეგად წარმოქმნის ღრუბლოვან მასას, რომელსაც გუნდა ეწოდება (ლუგვი რკინა).


პროცესის ბოლო ეტაპზე, ღუმელიდან ამოღებული გუნდა ურობით იბეგვებოდა, რაც მიზნად ისახავდა შემცხვარი მასის ნაპრალებიდან სქელი და ბლანტი წილის გამოწენებას ანუ გამოწურვას. დაბეგვის შემდგომ მიღებოდა ჭედადი რკინის მასა, რომლისგანაც თბილისის საწარმო-სახელოსნოებში სხვადასხვა ნაკეთობებს ამზადებდნენ.

აღნიშნული მეთოდით მოქმედი ბოლნისის საწარმოს კონკრეტული ტექნოლოგიური სქემა შეიძლება საკმაო სიზუსტით იქნეს რეკონსტრუირებული. ამის საშუალებას იძლევა რუსი ინჟინერის 1802-1807 წლების დეტალური ჩანაწერები, რომლებიც მოქმედი საწარმო-სახელოსნოს აღწერილობას შეიცავს. ბოლნისის რკინის სარეწები 1807 წელს დაწვრილებით აღწერა ინჟინერმა გლონგინოვმა. მისი ცნობით, სახელოსნოებში გამოყენებული ქურები წარმოადგენს ქვისგან აგებულ 35,5 სმ სიმაღლის მოგრძო ფუთებს, რომლებიც ზემოდან ქვის ბრტყელი ფილებით არის გადახურული. ქურების შიგა სივრცე სადნობ კერასა და კვამლსადენ არხს მოიცავს. ქვედა ნაწილში თითოეულ მათგანს დართული აქვს წილის გადმოსაღები და საქმინისათვის გათვალისწინებული ორი ხვრელი. ქურასთან გვერდულად დაკავშირებულია ორი ერთკეციანი ტყავის საბერველი. საბერველი მოქმედებაში ორ კაცს მოჰყავდა. სულ სახელოსნოში 4 კაცი მუშაობდა: ხელოსანი, მისი თანაშემწე და ორი მბერავი. უროს გარდა სახელოსნოს ინვენტარს შეადგენდა გუნდის დასაჭრელი პატარა გრდებლი, ქურიდან ლუგვის გამოსაღები მაშა, გუნდის დასაბეგვი პატარა უროები, რკინის მაღნისა და ნახშირის ასახვეტი ნიჩაბი და წილის გამოსაშვებად საჭირო რკინის საჩვლეტი [21, 111].

გასული საუკუნის 50-იან წლებში ალ-კოჭლავაშვილმა კავკასიის ყოფილი სამთო ექსპედიციის არქივში მიაკვლია ინჟინერ ა.ვიატკინის მოხსენებას ნახაზებითურთ, სადაც წარმოდგენილია დაშქესანში გამოყენებული რკინის საღნობი ღუმელი. იმავე ა.ვიატკინის ცნობით ზუსტად ასეთივე ტიპისა და ზომის ღუმელები მას ბევრგან უნახავს ბოლნისში [21]. ამდენად, მიკვლეული ნახაზები ერთდროულად ბოლნისის ღუმელების ანალოგიურ სქემად შეიძლება ჩაითვალოს. სწორედ ამ ფაქტის გათვალისწინებით, ვსარგებლობთ რა ა.ვიატკინის სქმით, ბოლნისური რკინის საღნობი ღუმელის ზედმიწევნით განხილვის და დახასიათების შესაძლებლობა გვეძლევა.

ნახაზით დასტურდება გლონგინოვის ცნობა, ღუმელის გარენული ფორმის შესახებ. ის მოგრძო ფუთს წარმოადგენს და ქვის

ბრტყელი ფილებით არის გადახურული. მისი შიგა სივრცე ბრძმედ-სა (б) და კვამლსადენს (г) მოიცავს. ღუმელის გვერდხედზე კარგად ჩანს გამლოვალი წილის გადასაღვრელი ხვრელი (е), ხოლო წინხედზე – საბერველი (მარცხნივ, აღმნიშვნელი ასოს გარეშე) (სურ. 14).



სურ. 14. რკინის საღნობი ქურა (ბოლნისი, დაშქესანი). ნახაზი შედებენილია ნატურიდან დაშქესანში 1805 წელს ინჟ. ა.ვიატკინის მიერ. а – ქვის წყობა, б – კერა, с – ალსადენი, д – მადანი, е – წილის ხვრელი, ფ – ორმო (ბუდე) წილისათვის.

ა.ვიატკინის თანახმად, მადანი თავდაპირველად წვრილმანდებოდა და ღუმელში იყრებოდა. ამ ცნობას აკონკრეტებს გ.ლონგინოვის მონაცემები, რომლის თანახმადაც ბრძმედს აქსებენ ნახშირით, ხოლო კაკლის სიმსხოდ დაწვრილმანებულ მადანს (d) ათავსებენ კვამლ-სადენის არხის (r) ფსკერზე, ე.წ. „ბაქანზე“. იმავე გ.ლონგინოვის თანახმად, ამ ბაქანზე ადგილი ჰქონდა მადნის წინასწარ გამოწვას ბრძმედის აღის სიმხურვალითა და გამავალი აირებით. გამოიწვის შემდგომ მადანს ბრძმედში მიხვეტავდნენ, ზედ ნახშირს დააყრიდნენ და იწყებდნენ ჰაერის შებერვას. შემდეგ ბაქანზე ისევ „უმ“ მადანს ყრიდნენ და გამოწვის შემდეგ მასაც ბრძმედში ათავსებდნენ. ეს ოპერაციები იმ დროიდე გრძელდებოდა, სანამ შემცხვარი მასის საკმაო რაოდენობა არ დაგროვდებოდა [11, გვ.750; 21, 28].

გუნდის წარმოქმნას 3-4 საათი სჭირდება (გ.ლონგინოვის თანახმად 3 საათი), რის შემდეგაც ის ღუმელის ბრძმედიდან მარწუხებით გამოაქვთ და დიდ გრდემლზე ათავსებენ, მანამდე ღუმელიდან უშვებენ გამლლვალ წილას, გრდემლზე განთავსებულ გუნდას კი ხის უროებით ბეგვავენ, ვიდრე გუნდის ნაპრალებიდან წილა არ გამოიწნება. ამის შემდეგ გუნდა ჰატარა ნაჭრებად ნაწილდება [28].


აღწერილობიდან არ ჩანს, თუ როგორ იღებდნენ რკინის გუნდას ღუმელის დახშულ სივრციდან ან როგორ გადაჰქონდათ დახშულ სივრცეშივე გამომწვარი მადანი „ბაქნიდან“ ბრძმედში. ამასთან დაკავშირებით ჩვენი ყურადღება მიიქცია ქურის გვერდნედის ნახაზზე ვ ასოთი აღნიშნულმა ქვამ, რომლის შესახებაც მოყვანილ მასალებში ა.ვიატკინი არაფერს ამბობს. ეს ქვა თავისი ადგილმდებარეობით თითქოს იმ სოლის ფუნქციას უნდა ასრულებდეს, რომლის დანიშნულებასაც მასთან მიმდებარე დიდი ქვის დამაგრება წარმოადგენს (დანიშნულების გარეშე კი ამ ქვის ასოთი აღნიშვნას ცხადია აზრი არ ექნებოდა). არ არის გამორიცხული, რომ ამ დიდი ქვით დახურული უნდა ყოფილიყო გუნდის ამოსაღები ხვრელი. მსგავსი შემთხვევის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ აკად. ი.გელინის მიერ XVIII ს. აღწერილი ღუმელი გუნდის ამოსაღები

ხვრელით, რომელიც მუშაობის დროს ქვით იხურებოდა და თიხით იგოზებოდა [97, გვ.190].

ამავე აღწერილობით, ბოლო ეტაპზე გუნდის ჰატარა ნაჭრებად დანაწილება ისე არის წარმოდგენილი, რომ თითქოს ეს პროცესი უროებით დაბეგვის შედეგად ხდებოდა. სინამდვილეში კი ამ დანაწილებას ცულის საშუალებით ახდენდნენ, რაც ჭედადი რკინის მიღების ბოლო ღონისძიებად იყო მიჩნეული [97, გვ.191].

ერთი ოპერაციის შედეგად ასეთი ღუმელი გ.ლონგინოვის მონაცემით ერთ ფუთ ჭედად რკინას იძლევა და ამ პროდუქციაზე იხარჯება 4 ფუთი მადანი და 18 ფუთი ნახშირი [21]. პროდუქციის თითქმის იმავე რაოდენობას ($1 - 1\frac{1}{4}$ ფუთ რკინას) ასახელებს ა.ვიატკინიც, თუმცა ამ შემთხვევაში დახარჯული ხის ნახშირის რაოდენობა გაცილებით ნაკლებია და ის სამ საპალნეს (7,5 ფუთს) შეადგენს [28]. სამწუხაროდ, დახარჯული მადნის შესახებ ეს ავტორი არაფერს ამბობს, მაგრამ აღნიშნავს, რომ აღწერილი წესით ერთ ღუმელში დღეში სამჯერ აწარმოებდნენ მადნის გამოდნობას. დაშქესანში ა.ვიატკინს ერთ-ერთ სარეწმი ასეთი 6 ღუმელი უნახავს და ამ სარეწის დღიური წარმადობა 18-25 ფუთ რკინას შეადგენდა [28]. გ.ლონგინოვს ასეთი მონაცემები არ მოჰყავს, მაგრამ უდავოა, რომ ბოლნისის ღუმელშიც გამოდნობას დღეში სამჯერ აწარმოებდნენ. რაც შეეხება ღუმელების რაოდენობას, ცხადია, რომ 1807 წელს ლეკების თარეშით განადგურებულ მხარეში გ.ლონგინოვს იმდენი მოქმედი ღუმელი არ დახვდებოდა, რამდენიც თავის დროზე, ერეკლეს მმართველობის პერიოდში უნდა ყოფილიყო.

გ.ლონგინოვის ცნობები არქეოლოგიური მონაცემებით დასტურდება. ბოლნისში აღმოჩენილი XVII-XVIII სს. ღუმელი, კვამლ-სადენი არხით დაკავშირებული ბრძმედისა და მადნის გამოსაწვავი კამერისაგან შედეგება (სურ. 15). ღუმელი კონსტრუქციით გ.ლონგინოვის მიერ აღწერილი სადნობი ქურის ანალოგს წარმოადგენს [11, გვ.748-751]. ამავე ღონის გავს ა.ვიატკინის მიერ აზომილ ღუმელსაც, რომლის ნახაზებიც ჩვენ გვაქვს წარმოდგენილი.



სურ. 15. რკინის საღნობი ღუმელი ბოლნისიდან (XVII-XVIII სს)

- 1 - ღუმელის ქვის წყობა, 2 - ქურა, 3 - ქვის კარი,
- 4, 5 - საბერველის სისტემა, 6 - გამოსაწვავი კამერა,
- 7, 8 - ქვის საფენი ლარი, გრუნტი.

ბოლნისელი მეტალურგების მიერ გამოყენებული ტექნოლოგიური სქემა აღნიშნული პერიოდის რკინის წარმოების მოთხოვნილების გარკვეულ დონეს პასუხობდა. ეს კარგად ჩანს რუსეთის სინამდვილეში ცნობილი მაგალითიდან: კარელის ერთ-ერთ ქარხანაში, სადაც წყლის მექანიკური ენერგიაც კი გამოიყენებოდა უროების მოძრაობაში მოსაყვანად და ჰაერის მისაწილებლად, გუნდა-რკინის ერთი ერთეულის მისაღებად საჭირო იყო 8,57 ერთეული წონის მადანი და 5,7 ერთეული წონის ნახშირი [98, გვ.193]. ბოლნური

ღუმელისათვის ერთეული წონის რკინის შესაბამისი მაღნის დანახარჯი, როგორც ვხედავთ, 2-ჯერ და უფრო მეტჯერ ნაკლებია ($8,57:4=2,16$). რაც შეეხება ნახშირის რაოდენობას, 18 ფუთი იმდენად სცილდება რეალურ ფარგლებს, რომ ის აშკარად მცადი ინფორმაციის შედეგი უნდა იყოს (ამაზე მიუთითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ დაშქესანის ღუმელში ერთ ფუთ რკინაზე დახარჯული ნახშირის რაოდენობა გაცილებით ნაკლებია და 7,5 ფუთს შეადგენს).

ერეკლეს დორის სამეცო რკინითაც რომ უნდა ყოფილყო საკმარისად მომარაგებული, შეიძლება ისევ მაგალითების საშუალებით ვაჩვენოთ. კერძოდ, ს.ბურნაშვილის თანახმად, უცხოეთში და პირველ რიგში ირანში, თბილისში დამზადებული არა მარტო სპილენძის ჭურჭლეულობა, არამედ რკინის ნაკეთობებიც გაჰქონდათ ხმლების, ხანჯლების და წვრილი რკინის საგნების სახით [60]. ცხადია, უცხოეთში რკინის ნაკეთობის ექსპორტირება შეუძლებელი იქნებოდა ქვეყანაში არსებული განვითარებული რკინის წარმოების გარეშე.

რპინის და ტყვიის გადამუშავება

თბილისში ჩამოტანილი ჭედადი რკინა პირველ სტადიაზე ნაჭრებად ცალკევდებოდა. თითოეულ ასეთ ნაჭერს რაჭაში „კვერი“ ეწოდებოდა (ნ.ჩუბინაშვილის თანახმად „კვერი“ მცირე უროს აღნიშნავს და არ არის გამორიცხული, რომ ეს სახელწოდება დასაკვერობიერზეც გავრცელებულიყო). კვერის მიღებამდე რკინის მთლიანი მასის ნაწილში გასაჭედი რკინის შესაბამისი ფართი აიზომებოდა და ჩამოკვეთით სასურველი ზომის კვერი მიღებოდა (მჭედლებმა ვარაუდით იცოდნენ, თუ რა სიღიდის კვერი სჭირდებოდა ამა თუ იმ საბრძოლო, სასოფლო-სამეურნეო თუ საოჯახო დანიშნულების ნაკეთობას). გაკვეთას აუცილებლად საკვეთელი თევით რკინის ცხელ მდგომარეობაში დამუშავებით ახორციელებდნენ. კვერის ისევ ჭურაში ათავსებდნენ და სათანადო გახურების შემდგომ მარწუხით

გადმოღებულ გავარვარებულ მასას კვერვით ამუშავებდნენ. კვერვა გამოსაჭედი ნაჭრის სისქის შესაბამისად ორგვარი იყო: ერთ შემთხვევაში ის დიდი უროების გამოყენებით და „მეუროების“ მეშვეობით, ხოლო მეორე შემთხვევაში – თვით მჭედლის მეშვეობით სრულდებოდა. კვერვის დროს საჭედ ობიექტს ეყრებოდა ნახშირის ფხვნილი, კაჟი, სილა და ა.შ., რომელსაც რაჭაში „სადუღი“ ეწოდებოდა. „სადუღი“ რკინას აცილებდა ყოველგვარ წილას და ხეჯჯს, ამასთან ერთად ხელს უწყობდა კვერის მთელ სისქეში ერთნაირი ტემპერატურის დიდხანს შენარჩუნებას.

კვერის ჭედვა ხდებოდა მანამდე, ვიდრე მას ფორმით გასაჭედ ნივთს არ დამსგავსებდნენ. შემდგომი სტადია ითვალისწინებდა თითოეული კატეგორიის ნივთისათვის ცალკეული ნაწილების მკვეთრად ჩამოყალიბებასა და გამოკვეთას. მაგალითად, სახნისისათვის ამ დროს ადგილი ჰქონდა წვერის წაწევას, ყურების ჩაჭრას, ბუდის მოხსნას, მუცლის მოქაბვას და ა.შ. შემდგომ და ბოლო სტადიაზე ხდებოდა ნაკეთობის გაქლიბვა, გალესვა, წრთობა, გაფერვა იმისდა მიხედვით, თუ რომელი ნაკეთობა რა დამუშავებას საჭიროებდა აღნიშნული ჩამონათვალიდან. გალესვა წარმოებდა მბრუნავი, დიდი და პირმოლესილი და აგრეთვე მოგრძო და ვიწრო პირის სალესი ქვებით.

განსაკუთრებულ დახელოვნებას და გამოცდილებას მოითხოვდა წრთობა, ვინაიდან ამ პროცესის სწორად წარმართვაზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული [36, გვ.83-96]. აღსანიშნავია, რომ თუ რაჭველი მეტალურგები გუნდის შეცხობის შემდგომ, რკინის მასას ღუმელიდან იღებდნენ, დაბევრით ამუშავებდნენ და დაწვრილმანებულ მდგომარეობაში ისევ აღნობდნენ, თბილისში ეს პროცედურა რკინის ერთჯერადი გამოღნობით შემოიფარგლებოდა. ინჟინერ ა.ვიატკინის ცნობით XIX ს. დასაწყისისათვის დაშქესანში, სადაც რკინას ბოლნისის სრული ანალოგით აღნობდნენ, შემცხვარ გუნდას ღუმელში, ნახშირის გარემოცვაში, 3-4 საათით აყოვნებდნენ [28]. შეიძლება ითქვას, რომ ფოლადის მისაღებად აქ იყენებდნენ გუნდისებრი რკინის ღუმელში დაფოლადების წესს. ბოლნისში დამზადებული

ლუგვი რკინის გუნდის მასა ფაქტობრივად დაბალნახშირბადიან ფოლადს წარმოადგენს [94, გვ.645]. წრთობას ჩვეულებრივ ნაკეთობის წყალში ჩაყურსვით ახორციელებდნენ. წრთობის შემდეგ ზოგიერთი ნივთი დაფერვას საჭიროებდა, რასაც ნახშირის ფხვნილით და ხის ჯოხით აწარმოებდნენ. მოსარიდებელ რკინეულს ხის ჯოხით ლესავდნენ, დანარჩენს კი ნახშირით. დაფერვის მიზანი იყო, რომ რკინას უანგი დიდხანს არ მოჰყიდებოდა და ამასთანავე ნაკეთობის ზედაპირს სასიამოვნო ბზინგარება ჰქონიდა [36, გვ.100-110].

რკინის ნაკეთობები საკმაოდ დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა, გამოიყენებოდა როგორც საოჯახო ნივთების, ისე სასოფლო-სამურნეო და საბრძოლო დანიშნულების იარაღის დასამზადებლად. საოჯახო ნივთებიდან მირთადად მზადდებოდა ქვაბები, ზედადგრები, აქანდაზები და სხვ. ასევე დიდი მოთხოვნილება იყო სასოფლო-სამურნეო დანიშნულების ნივთებზე. თბილისის სამჭედლო-სახელოსნოებში ამზადებდნენ თოხებს, ქარჩებს, ბარებს, ცულებს, სახნისებს, ჯაჭვებს, ფიწლებს, წალდებს, ხერხებს, სასხლაგებს, სავაზებს, ნამგლებს და ა.შ.

სამთო საქმის აღორძინებასთან ერთად რკინის სახელოსნოები ამ წარმოებისათვის განკუთვნილი იარაღების დამზადებაზე გადავიდნენ (მათ მიეკუთვნებოდა ქულუნგი, კაზმა და ჯაბა). 1790 წელს ამ დასახელების იარაღი „გაუტანებიათ ქიზიყში მაღნის მბებნელი მადანჩებისათვის“ [25, გვ.9-5]. ქულუნგს მთიულეთში წერაქვს ეძანიან, ხოლო რაც შეეხება კაზმას და ჯაბას, როგორც ჩანს მათში მაღნის მოსანგრევ უროებს თუ წერაქვებს გულისხმობენ. ამ იარაღებს „მაღნის იარაღები“ ეწოდებოდა და როგორც ერთ-ერთ საბუთში მოიხსენიება, ყაზანის გულდაღის საბადოსათვის ალექსანდრე მჭედელს სწორედ ასეთი „მაღნის იარაღები“ დაუმზადება [25, გვ.9-4]. ახალი დანიშნულების იარაღების გამოჭედვით თბილისელმა მჭედლებმა კიდევ უფრო აიმაღლეს კვალიფიკაცია.

ერეკლეს მეტალურგიულმა ქარხნებმა თბილისის საწარმო-სახელოსნოები არა მარტო სპილენძის და რკინის, არამედ ტყვიის დიდი რაოდენობითაც უზრუნველყო. ლითონურ ტყვიას სხვადასხვა

გამოყენება ჰქონდა და შესაბამისად ის სხვადასხვა მიზნებისათვის იხმარებოდა. მისი ძირითადი ნაწილი უდავოდ თოვფის ტყვიების დამზადებაზე მოდიოდა. XVIII საუკუნეში თოვფის ტყვიას სფეროსებრი მოყვანილობა ჰქონდა და მას ფორმებში ასხამდნენ. იმ დროს საყოველთაოდ გავრცელებული და მაშასადამე საქართველოშიც გამოყენებულ ფორმას წარმოადგენდა ჩქიფისმაგვარი ხელსაწყო, რომლის თავი ორი ნახევარსფეროსებრი თეფშისაგან შედგებოდა. მათი დაკეცვისას მიღებოდა სფეროსებრი სიღრუე, რომელსაც უკავშირდებოდა მცირე ხვრელი. ამ უკანასკნელიდან კოვზით ფორმაში ისხმებოდა გამდნარი ტყვია, რომელიც სფეროს ფორმას იღებდა და გაცივებისას ჩქიფის გაღებით ადგილად სცილდებოდა ფორმას [95, გვ.691]. ტყვიას იყენებდნენ „არტილერიის სახლშიც“, სადაც ის საჭირო იყო ყუმბარების დასამზადებლად.

ტყვიის დიდი რაოდენობით მოპოვება-გადამუშავებისას მას საყოფაცხოვრებო დანიშნულებითაც იყენებდნენ; თბილისში მისგან მიღებიც უნდა დაემზადებინათ. იმ დროს ეს მასალა შეუცვლელი იყო წყალმომარაგებაში, ვინაიდან მისგან მიღების დამზადება სირთულეს არ წარმოადგენდა (მიღი ადვილად მიღებოდა გამდნარი ტყვიის ცილინდრული ფორმის გარშემო ჩამოსხმით). XVIII საუკუნის მიწურულისათვის, ევროპული ქალაქების მიბაჭით, თბილისშიც უნდა წამოეწყოთ წყალგამყვანი მიღების დაგება, ვინაიდან ისინი იმ დროს ძალზე მოსახერხებელ და ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდა სახლებში წყლის მისაწოდებლად. არ არის გამორიცხული ზოგიერთ შემთხვევაში თბილისში სახლის სახურავად გამოყენებული უნდა ყოფილიყო ფურცლოვანი ტყვიაც. ტყვია გამოიყენებოდა აგრეთვე მშენებლობაში ქვების კვადრების ერთმანეთთან დამაკავშირებლად.

ტყვიის მასალის გარკვეული ნაწილი შენადნობების სახით გამოიყენებოდა. ერთ-ერთ ასეთ შენადნობს წარმოადგენდა ტყვიის ნარევი დარიშხანთან, რომლისგანაც საფანტს ამზადებდნენ. დარიშხანს უმატებდნენ ტყვიისათვის უფრო მეტი სიმაგრის და გამდნარი ლითონისათვის ჰაერზე სფეროსებრი წვეთის სახით გამყარების

უნარის მისანიჭებლად. საფანტის დამზადების წესი დაწვრილებით არის განხილული ვახტანგ VI-ის „ქიმიაში“ [15, გვ.208-209].

საფანტის დასამზადებლად ტყვიას აღნობდნენ და ნადნობის ზედაპირს დარიშხნის აორთქლების შესამცირებლად ნახშირის ფხვნილით ფარავდნენ. მხოლოდ ამის შემდგომ შეჰქონდათ ნადნობში ლითონური დარიშხანი, რეალგარი ან დარიშხნის ანჰიდრიდი. ნარევს ენერგიულად ურევდნენ ხის ჯოხით და მაშინვე სადნობ ქვაბს მჭიდროდ ადგამდნენ სახურავს. ნადნობის სამსაათანი გაზურების შემდგომ შენადნობი მზად იყო და საფანტისათვის მისი ოპტიმალური შედეგნილობა ტყვიის 700 წონით ნაწილზე დარიშხნის 3 წონით ნაწილს თვალისწინებდა. მიღებულ შენადნობს გამდნარ მდგომარეობაში ულუფებად ასხამდნენ ნასვრეტებიან კოვზში, საიდანაც მისი წვეთები გარკვეული სიმაღლიდან დაშვებისას ჰაერში მყარდებოდა სფეროსებრი წვეთების სახით და წყალში ჩავარდნისას საბოლოოდ ცივდებოდა. სასაფანტე შენადნობის ოპტიმალური შედეგნილობის დარღვევებისას დეფორმირებული საფანტი მიღებოდა. რეცეპტში საგანგებოდ არის მითითებული, რომ დარიშხნის ჭარბი შემცველობისას საფანტი შეძნექილ, ხოლო ნაკლებობისას – ღერძის გასწვრივ გაზიდულ ფორმას იძენდა [95, გვ.690].

თბილისში უდავოდ მზადდებოდა ტყვია-სტიბიუმის შენადნობიც, რომელიც ლიტერების დასამზადებლად ესაჭიროებოდა თბილისში მოქმედ ტიპოგრაფიას.

სპილენძის და რპინის ნაწარმის ექსპორტი საზღვარგარეთი

სპილენძის ქარხნებში მაღალხარისხოვანი სპილენძის დიდი რაოდენობით დამზადებამ სასიკეთო გავლენა მოახდინა ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალზე. ამ ფაქტის ერთ-ერთ თვალსაჩინო გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ საქართველო მოკლე დროში გადაიქცა ამ ლითონის მსხვილ ექსპორტიორად. კერ კიდევ

1772 წელს აკად. ა.გიულდენშტედტი, შეისწავლა რა საფუძვლი-ანად ქართული მოქმედი თუ გაუქმებული სამთო-მეტალურგიული საწარმოები, ასეთ საინტერესო ცნობას იძლევა: „ფოთიდან იმერ-ლებს თბილისში მოაქვთ: სპილენძის ჯაჭვები, სპილენძის ქვაბები და საერთო სახმარი სპილენძის ჯამ-ჭურჭლეული. მიუხედავად საქართველოში არსებული სპილენძის საბადოსი, შემოაქვთ აგრეთვე თურქეთიდან, განსაკუთრებით არზრუმიდან“ [8, გვ.251].

საქართველოში სპილენძის მაღნის არსებობის პირობებში თთქოს უცნაურად ჩანს იმპორტული სპილენძის შემოტანა, მით უმეტეს, რომ ამ დროისათვის ბერძნების მიერ ექსპლოტირებული საბადოების და სპილენძის სადნობი ქარხნების რაოდენობა მცირე არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ყველაფერი გასაგები ხდება, თუ ა.გიულდენშტედტის სხვა ცნობებს მივაქცევთ ყურადღებას. სხვადასხვა საბადოების დეტალური დათვალიერებისას ის იუწყება: „სხვადასხვა ადგილებში არის მიტოვებული ჭები (მაღაროები) და სპილენძის და რკინის სადნობი დანგრეული შენობები“ [9, გვ.13]. ამ ზოგად განცხადებასთან ერთად მეცნიერებული მოჰკავს კონკრეტული მაგალითებიც: „სოფელ მისხანასთან სპილენძის ბევრი მიტოვებული საბადო არის“, „დავათვალიერე . . . სპილენძის საბადო გაპარტახებულ სოფელ ვარდისუბანის ახლოს . . . ასევე განადგურებულ სოფელ შელოგინოსთან იყო აგრეთვე მიტოვებული რკინის მაღნები, რომლებიც ასევე დავათვალიერე“, „მხოლოდ 10 წელია, რაც ახტალა სავსებით მიტოვებულია, რადგან მოსახლეობის ნარჩენები, ლექთა ხშირი თავდასხმების გამო, ზოგი ბორჩალოში და ზოგი კახეთში გადავიდა“ და ა.შ. [8, გვ.19, 77; 9, გვ.13].

ციტირებული ჩანაწერებიდან აშკარად ჩანს, რომ 1772 წლისათვის მტრების განუწყვეტელი თავდასხმების პირობებში, ჯერ კიდევ არ იყო მომზადებული სათანადო ნიადაგი სამთო-მეტალურგიულ საწარმოებში სამუშაოთა გაშლისათვის. ბევრი საწარმო მწყობრიდან იყო გამოსული და მათი აღდგენა დიდ ძალისხმევას საჭიროებდა. ცხადია, რომ ასეთ პირობებში სამეფოში ჯერ კიდევ მოქმედ საწარმოებს არ შეეძლო სპილენძსა და მის ნაკეთობებზე ადგილობრივი

მოსახლეობის მოთხოვნილების სრულად დაკმაყოფილება. ამიტომაც, აღნიშნული დეფიციტის შევსება მხოლოდ იმპორტულ ლითონს შეეძლო. უნდა აღინიშნოს, რომ ერეკლე II-მ მოკლე დროში შეძლო 1785 წელს ომარ-ხანის დამარბეველი თავდასხმის დროს გაპარტახებული ახტალის ქარხნის აღდგენა და ამუშავება. ასე რომ, XVIII საუკუნის 80-იანი წლების მე-2 ნახევრიდან სავარაუდოდ უნდა გაზრდილიყო ქართული სამთო-მეტალურგიული წარმოებების მიერ გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა.

თუ რა წარმატებებისათვის უნდა მიეღწია შემდგომ წლებში სპილენძის ქართულ სამთო-მეტალურგიულ საწარმოებს, ეს კარგად ჩანს XIX საუკუნის დასაწყისის ერთ საარქივო საბუთში, რომელიც რუსული სამთო ექსპედიციის წევრების ცნობებს შეიცავს. ამ ცნობიდან ჩანს, რომ აღნიშნული პერიოდისათვის ქართლ-კახეთის სამეფო უკავე სპილენძის ერთ-ერთ ექსპორტიორ ქვეყანას წარმოადგენს. მისი პროდუქცია მიეწოდებოდა არა მარტო მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანს, არამედ უფრო შორეულ ქვეყნებსაც. კერძოდ, ერევანში ერთი ბათმანი ნაჭედი სპილენძი 2 აბაზი ღირდა, იგივე რაოდენობის ფასი ირანის ქალაქებში 3,2-4,5 აბაზს შეადგენდა. გაუჭედავი სპილენძი განჯაში ერთი აბაზი ღირდა, ხოლო შემახიასა და ბაქოში – 1,2-1,3 აბაზი. ბაქოდან ნაჭედი სპილენძი გემებით გილანსა და მაზანდარაში გაპქონდათ და იქ ის ერთ აბაზად იყიდებოდა [44]. დასახელებული ცნობებიდან ნათლად ჩანს, რომ ქართულ სპილენძზე ღიდი მოთხოვნილება იყო. ცხადია, ეს უპრეცენდენტო ფაქტი წარმოუდგენელი იქნებოდა გასაყიდი სპილენძის მაღალი ხარისხის გარეშე.

თბილისელი იარაღის დამაზადებელი ხელოსნების ძალზე მაღალ ოსტატობაზე პირდაპირ მიუთითებს ის ფაქტი, რომ XVIII ს. მეორე ნახევრიდან მათი პროდუქცია ღიდი მოწონებით სარგებლობდა მეზობელ ქვეყნებში. პოლკოვნიკ ს.ბურნაშოვის (1743-1824) თანახმად ირანში და კავკასიის მთიანეთში გატანილ სპილენძის ჭურჭელთან და ცხენის აღკაზმულობასთან ერთად, ექსპორტის ერთ-ერთ ძირითად ნაწილს ხმლები, ხანჯლები და რკინის წვრილი ნივთები შეად-

გენდა [56]. აღმოსავლური იარაღის კარგი მცოდნე, რუსი გენერალი პოტო, იარაღის გამავრცელებელ ცენტრებად ჩენწეთსა და საქართველოს ასახელებდა. მოგვიანებით ა.პუშკინი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ „თბილისური იარაღი ძვირად ფასობს მთელს აღმოსავლეთში“, რასაც მსატვარი გ.გაგარინიც ადასტურებს სურათით, რომელშიც თბილისის ბაზრის ფონზე ხმლებით ვაჭრობა არის ასახული [53].

თბილისური იარაღის მაღალი ავტორიტეტი უდავოდ იმით იყო განპირობებული, რომ საქართველოში შენადებული და სხმული „ბულატის“ წარმოების ხელოვნებას ფლობდნენ. კჩოლოყაშვილს თავის სტატიაში ქართული „ბულატის“ შესახებ მოჰყავს ცნობილი მეტალურგი მეტალურგი მეტალურგის სემიონოვის შემდეგი სიტყვები: „მხოლოდ საქართველოში და ზოგიერთ სხვა რაიონში იცოდნენ ბულატის იარაღის დამზადების ხელოვნება“. ამ მოსაზრებას მეორე რუსი მკვლევარი დ. ბოგაჩევიც ადასტურებს: „საქართველოში „ბულატი“ იყო არა მარტო გავრცელებული, არამედ ცნობილი იყო მისი დამზადების ხერხებიც“ [53].

„ბულატის“ დამზადების საიდუმლოებას საქართველოში ცნობილია, რომ უფრო ადრეულ საუკუნეებშიც ფლობდნენ, მაგრამ XVIII ს. მეორე ნახევარი განსაკუთრებულია, ამ დროს რკინის პროდუქციის საერთო ზრდის ფონზე „ბულატის“ იარაღის წარმოება მნიშვნელოვნად გაიზარდა და ექსპორტის საგანი გახდა.

გვიანშეასაუკუნეებში აღდგენილი ბულატის ფოლადის მიღება-დამუშავების ტექნოლოგია მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ერეკლე II-ის მიერ აღდგენილ შავი ლითონების მეტალურგია-დამუშავების ციკლში. თბილისის სამჭედლო სახელოსნოებში დამზადებული ბულატის ფოლადის ცივი იარაღი დიდად ფასობდა წინა აზიაში და ექსპორტის სახით გადიოდა თურქეთსა და ირანში, აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიაში. აღნიშნული მოვლენა ფაქტობრივად ახსნილია საქართველოს ეროვნული მუზეუმის იარაღის ფონდში დაცული ბულატის მასალის მიხედვით.

4. XVIII საუკუნის ლითონის ნაკეთობათა ეიმიურ-ტექნოლოგიური გამოკვლევა

მევე ერეკლე II-ის მიერ აღორძინებული მეტალურგიული საწარმოებისა და ლითონდამუშავების სახელოსნოთა მიერ დამზადებულ პროდუქციაზე განსაკუთრებულ მზარდ მოთხოვნილებას და წარმატებულ ექსპორტს მათი ფორმა-დანიშნულება და ხარისხი განაპირობებდა. საარქივო დოკუმენტებით დადასტურებული, საწარმოთა მუშაობის ორგანიზაციული და ტექნოლოგიური მონაცემები, გამოშვებული პროდუქციის მრავალსახეობა და მრავალფეროვანი დიზაინი დიდად იზიდავდა მომხმარებელს, როგორც საქართველოში, ისე მის გარეთ. ექსპორტის ძირითად საგანს ფერადი და შავი ლითონისაგან მიღებული ნაწარმი წარმოადგენდა.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის საცავებსა და კერძო კოლექციებში არსებულმა ექსპონატებმა და მათი კომპლექსური კვლევის შესაძლებლობებმა, მასალაზე ლაბორატორიული (ქიმიურ-ტექნოლოგიური) ექსპერიმენტის ჩატარების უფლება მოგვცა. შესაბამისად განვიხილავთ სპილენძისა და რკინის ნაკეთობათა შესწავლის შედეგებს.

სპილენძის მასალა


ჩატარებულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და კერძო კოლექციაში დაცული, ჩვენთვის საინტერესო პერიოდის სპილენძის საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაკეთობებიდან (სურ. 16.) და შერჩეული ფრაგმენტების კომპლექსური ქიმიურ-ტექნოლოგიური ანალიზი (სურათზე წარმოდგენილი სპილენძის ნაკეთობები ანალიზებში მოხსენებულია იმავე ნომრების ნიმუშებად მაგ. 1 – თუნგი ანუ ნიმუში 1). ნაკეთობათა უნიკალურობის და მცირე ზომების გამო ვერ მოხერხდა ყველა აღებული ნიმუშის შლიფის დამზადება,

რაც აუცილებელი იყო მიკრორენტგენოსპექტრალური და მეტალოგრაფიული ანალიზების ჩასტარებლად. აქედან გამომდინარე ეს ანალიზები ვერ ჩატარდა ყველა მათგანზე (მეტალოგრაფიულად გამოკვლეულია მე-2 და მე-5 ნიმუშებზე). მათი ქიმიური შედგენილობის განსაზღვრის მიზნით ყველა ნიმუში დაუქვემდებარა ფლუორესცენციურ რენტგენოსპექტრალურ ანალიზებს.



სურ. 16. სპილენბის ნაკეთობები: 1-თუნგი; 2-აზარფეშა; 3-სანათური; 4-თასი; 5-კანდელი

მეტალოგრაფიული გამოკვლევა. მეტალოგრაფიული გამოკვლევა ჩატარდა ოპტიკური მიკროსკოპის „Neophot-31“-ის მეშვეობით, რომელსაც გააჩნია დამატებითი ბლოკი ოპტიკური გამოსახულების ციფრული ფოტოგადაღებისათვის. ციფრული ფოტოსურათის შემდგომი დამუშავება და დისპლეიზე გამოყვანა წარმოებდა სტანდარტული კომპიუტერული პროგრამების საშუალებით (სურ. 17).



ა

ბ

სურ. 17. მე-2 და მე-5 ნიმუშების მიკროსტრუქტურა


მეტალოგრაფიული გამოკვლევებით დადგენილია, რომ ისტორიული სპილენბის ჭურჭლის მიკროსტრუქტურა ძირითადად შეესაბამება თანამედროვე სპილენბისათვის განსაზღვრულ მონაცემებს.

მიკრორენტგენოსპექტრალური ანალიზი. მიკრორენტგენოსპექტრალური კვლევის ჩატარების მიზნით გამოყენებულია მიკროანალიზატორი MS-46, ფირმა „CAMECA“ (საფრანგეთი).

შესწავლილი მე-5 ნიმუშის ზედაპირის ოპტიკური გამოსახულება გამოირჩევა ჩანართების დიდი რაოდენობით. მათი იდენტიფიკაციისათვის ჩატარებულმა თვისობრივი ანალიზმა გამოავლინა სამი ტიპის: სილიციუმის შემცველი და ალუმინის შემცველი ჩანართები, აგრეთვე სპილენბის ოქსიდი, რაც კარგად ფიქსირდება „1-1“, „2-2“, „3-3“ და „4-4“ სკანირების მიმართულებით SiK_a , AlK_a და CuK_a რენტგენის გამოსხივებით მიღებულ კონცენტრაციულ მრუდებზე (სურ.18).

„1-1“ მიმართულებით სკანირებისას ჩანართზე ფიქსირდება სილიციუმის დიდი კონცენტრაცია, ხოლო სპილენბის მრუდზე იმავე ადგილას შეინიშნება ჩავარდნა, რაც მიუთითებს სპილენბის არ არსებობას. ანალოგიური სურათი გვაქვს „2-2“ მიმართულებით სკანირებისას, ოღონდ ამ შემთხვევაში სპილენბის ადგილს იკავებს ალუმინი. „3-3“ და „4-4“ მიმართულებით სკანირებამ გამოავლი-

ნა ჩანართებში სპილენძის რაოდენობის შემცირება, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს სპილენძის ოქსიდის არსებობით.



სურ. 18. მე-5 ნიმუშში Cu (ფუძე), Al და Si ნაერთების ჩანართების (ა) განაწილების მრუდები 1-1; 2-2; 3-3 და 4-4 მიმართულებებით (ბ)

ფუძე ლითონში ელემენტების გამოვლენის მიზნით ჩატარდა სპექტრომეტრების სკანირება სხვადასხვა კუთხეებზე რენტგენის გამოსხივების მისაღებად. LiF და კვარცის 10T1 კრისტალებმა დააფიქსირეს ფუძე ლითონში მხოლოდ სპილენძის არსებობა. P.E.T. კრისტალის მრუდზე გამოიკვეთა ფოსფორის კვალი, ხოლო K.A.P. კრისტალის მრუდზე – სილიციუმის კვალი.

როგორც ნიმუშების მიკრორენტგენსპექტრალურმა ანალიზმა გვიჩვნა, მათში საქმაო რაოდენობით შეინიშნება არალითონური ჩანართები, ძირითადად Cu_2O -ს სახით. ამასთან მცირე რაოდენობით არსებობს Al_2O_3 და SiO_2 -ის არალითონური ჩანართებიც. ყოველივე ეს მოუთითებს იმ ფაქტზე, რომ ჩვენს მიერ განხილული სპილენძის მიღების პროცესისას, ღუმელში ჰაერისა და სათბობის მიწოდების ტექნოლოგიურ სტადიაზე (ჰაერში არსებული უანგბადი იწვევს სპილენძში არსებული მინარევების ამოწვას) დასაშვებია მასში არსებული ელემენტების გადასვლა წიდაში. ამგვარად ხდება მინარევების მოცილება სპილენძისაგან და მისი რაფინირება. ჩატარებული ექსპერიმენტის საფუძველზე დასტურდება შესწავლილი სპილენძის ნიმუშების მიღების ტექნოლოგიური პროცესი.

აღსანიშნავია, რომ სპილენძის ჭურჭლის ნიმუშების სპექტრალურმა ანალიზმა დაადგინა მე-5 ნიმუშის ქიმიური შედგენილობა, რომელიც უმნიშვნელოდ განსხვავდება სპილენძის ეტალონის (სისუფთავე 99,9%) ქიმიური შედგენილობისაგან (ცხ. 5).

ცხრილი 5. მე-2 და მე-5 ნიმუშების ქიმიური შედგენილობა


| დასახ-ელება | ელემენტების რაოდენობა % მასით | | | | | | | | | | |
|---------------|-------------------------------|-------|-------|----|-------|-------|-------|-------|-------|-------|-------|
| | Cu | Ag | Bi | Sb | As | Fe | Ni | Pb | Sn | Zn | Si |
| Cu-ის ეტალონი | 99,97 | 0,002 | 0,001 | | 0,002 | 0,002 | 0,005 | 0,002 | 0,005 | 0,002 | - |
| ნიმუში 2 | 99,97 | 0,02 | - | | - | 0,2 | 0,3 | 0,2 | 0,3 | 0,3 | 1,0 |
| ნიმუში 5 | 99,87 | 0,002 | 0,001 | - | 0,002 | 0,002 | 0,006 | 0,10 | 0,003 | 0,004 | 0,005 |

მე-5 ნიმუშისგან განსხვავებით, მე-2 ნიმუშში დასტურდება Sn-ის დიდი რაოდენობა, ამასთან ერთად სხვა მინარევი ელემენტების მნიშვნელოვანი ზრდა, რაც ფუძე ლითონის (სპილენი) სპეციალური საფენით დაფარვაზე მიუთითებს.


რენტგენოსპექტრალური ანალიზი. სპილენის ჭურჭლის ქიმიური შედგენილობა განსაზღვრული იქნა ფლუორესცენციური რენტგენოსპექტრალური ანალიზით.

1-5 ნიმუშების კვლევა ჩატარდა შემდეგ პირობებში:


რენტგენის გამოსხივების წყარო – რენტგენის მიღაკი BCB-29 მოლიდენის ანოდით; დაცემის კუთხე – 72° ; გამოსვლის კუთხე – 18° ; მაბგა – 40 კვ; დენი – 15 მა; სკანირების სიჩქარე – $4^{\circ}/\text{წთ}$; დროის მუდმივა – 2 წმ; მონოქრომატორი – გრაფიტის მონოკრისტალი ($d = 3,345 \text{ \AA}$); ინტენსივობის დიაპაზონი – 4000 იმპულსი/წმ. (სურ. 19, 20, 21).




δ




სურ.19. ნიმუში 1-ის (ა) და ნიმუში 2-ის (ბ) ფლუორესცენციური რენტგენოსპექტრალური ანალიზი.





სურ.20. ნიმუში 3-ის (ა) და ნიმუში 4-ის (ბ) ფლუორესცენციური რენტგენოსპექტრალური ანალიზი.



სურ.21. ნიმუში 5-ის ფლუორესცენციური რენტგენოსპექტრალური ანალიზი

ნიმუშების კვლევის შედეგები მოცემულია ცხრილში (ცხ. 6)

ცხრილი 6. ნიმუშების ქიმიური შედგენილობა

| შემადგენელი ელ-ემებზე, % | ნიმუშის № | | | | |
|--------------------------|-----------|----------|----|------|-----------|
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| | საფენი | დანაფარი | | | |
| Cu | ფუძე | ფუძე | - | ფუძე | ფუძე |
| Pb | - | - | 60 | - | 1,0 |
| Zn | 3-5 | - | - | - | - |
| As | <0,2 | - | - | <0,2 | - |
| Fe | 1-2 | <0,5 | - | <0,1 | 0,5 <0,03 |
| Sn | - | - | 40 | - | - |

ფლუორესცენციურმა რენტგენოსპექტრალურმა ანალიზმა დაადასტურა ნიმუშებზე ჩატარებული სპექტრალური ანალიზის შედეგები. ნათლად ჩანს, რომ მე-2 ნიმუშში დიდი რაოდენობით კალისა და ტყვის შემცველობა აიხსნება სპილენზე აღნიშნული ელემენტების შემცველი დანაფარის არსებობით. ჩატარებულმა ანალიზებმა თვალნათლივ დაგვანასა, რომ აღნიშნული ნიმუშები დამზადებული იყო მაღალი ხარისხის სპილენისაგან, რაც განაპირობებდა მასზე მოთხოვნილებას როგორც ქვეჭის შეგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთაც.

ლაბორატორიული ექსპერტიზის ფონზე დასტურდება ერეკლესეული სპილენის წარმოების მაღალი დონე, გამოშვებული პროდუქციის ხარისხი, რომლის ლეგირებითაც შესაძლებელი იქნებოდა სპეციალური დანიშნულებისა და შესაბამისი თვისებების მქონე ნაკეთობათა რეალიზაცია.


ბულატის ფოლადი. საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული ბულატის იარაღი XVII-XIX საუკუნეებით თარიღდება. როგორც ბულატის ნაკეთობათა ისტორიულ-ტექნოლოგიური შესწავლა ცხადყოფს, ერეკლესდროინდელი შავი ლითონდამუშავების სამჭედლო-სახელოსნოები დიდ ყურადღებას უთმობდნენ ამ ტიპის ცნობილი ფოლადის დამზადების ტექნოლოგიის შემუშავებას და განვითარებას.

შესწავლით ბულატის იარაღის შერჩეული ნიმუშები. გამოკვლეულია ბულატის ფოლადის ქიმიური შედგენილობა (ცხ.7), მასალის მორფოლოგია და დამზადების ტექნოლოგიური სქემის ზოგიერთი ნიშანი. ჩატარებულმა მეტალოგრაფიულმა კვლევამ დაადასტურა იარაღის ზედაპირზე არსებული მაკროსკოპული სახე: მეორად კარბიდების მკვეთრად გამოსახული ზოლოვანი განაწილება აუსტენიტის დაშლის პროდუქტების ფონზე (სურ. 22).


ცხრილი 7. ბულატის ფოლადის ქიმიური შედგენილობა

| ნივთი | საინვენტარო ნომერი | ქიმიური შედგენილობა, % | | | | | |
|---------|-----------------------|------------------------|-------|------|-------|-------|-------|
| | | C | Mn | Si | Ni | P | S |
| დანა | $\frac{40 - 26}{146}$ | 1,20 | 0,003 | 0,15 | 0,005 | 0,02 | 0,012 |
| ზანჯალი | $\frac{36 - 56}{190}$ | 1,35 | 0,011 | 0,10 | 0,003 | 0,03 | 0,010 |
| ზანჯალი | $\frac{36 - 35}{192}$ | 1,30 | 0,003 | 0,11 | 0,008 | 0,016 | 0,009 |
| ზანჯალი | $\frac{36 - 35}{203}$ | 1,44 | 0,005 | 0,20 | 0,005 | 0,02 | 0,007 |
| ზმალი | $\frac{40 - 26}{190}$ | 1,06 | 0,015 | 0,05 | 0,004 | 0,015 | 0,008 |
| ზმალი | $\frac{12 - 26}{62}$ | 1,08 | 0,18 | 0,05 | 0,003 | 0,003 | 0,010 |

მასალის ქიმიური შედგენილობიდან ირკვევა, რომ ის წარმოადგენს ზევტექტოლურ ფოლადს, მცირე რაოდენობით შეიცავს მანგანუმს, ნიკელს, სილიციუმსა და გოგირდს. ელექტრონულ მიკროსკოპზე Tesla BS 300, გამოვლენილია კოაგულირებული რკინის მეორად კარბიდების (Fe_3C) უპირატესი სფერული ფორმა (5-15 მკმ), რომლებიც წარმოქმნიან დეფორმაციის მიმართულებით ფიქსირებულ კოლონიებს (სურ. 23).



სურ. 22. ბულატის მიკროსტრუქტურა x100



სურ. 23. ბულატის ფოლადისათვის დამახასიათებელი რკინის მეორადი კარბიდების კოლონიები

5. ტყვიის, ვერცხლის და ოქროს ფარმაცევტიკური

როგორც მასალის კომპლექსურმა ანალიზმა გვიჩვენა, ქართული ბულატი წარმოადგენს მაღალნახშირადიან ფოლადს ($C=0,9-1,5\%$), სხმულის დაბალი სიჩქარით გაციებით მიღებულია მსხვილმარცვლოვანი სტრუქტურა, სპეციალური ჭედვით (დეფორმაციის ხარისხი $\epsilon = 80\%$) მიღწეულია ბულატისათვის დამახასიათებელი ზოლოვან-ფიგურული მაკროსტრუქტურული განლაგება (ბულატის სახე). აღნიშნული ქიმიური შედგენილობისა და სტრუქტურული აღნა-გობის ბულატის მასალა მიღებულია განსაკუთრებული თერმული დამუშავებისა და სპეციალური ჭედვის ტექნოლოგიური მეთოდების გამოყენებით, რაც მაღალი დონის სამჭედლო სახელოსნოთა პრე-როგატიგას წარმოადგენს.

ამგვარად, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში აღორძინებული შავი ლითონების დამუშავების სამჭედლო-სახელოსნოთა ტექნიკური შესაძლებლობები და საწარმოო დონე განაპირობებდა ბულატის ფოლადის ხელოვნების დაუფლებას და დამუშავებული პროდუქციის მაღალ ხარისხს საბაზრო და სამომხმარებლო თვალსაზრისით.

ერეკლეს ქარხნებიდან ოქროს, ვერცხლის და ტყვიის არსებითი მასა ახტალის საწარმოში მიღებოდა. ამდენად საინტერესოა აღნიშნულ საწარმოში ამ პროდუქტების გამოდნობა-გადამუშავებასთან დაკავშირებული მოქმედი ტექნოლოგიური სქემა. ახტალის შემოგარენში მაღნის მოპოვების შესახებ საკმაოდ დაწვრილებითი აღწერილობა ჩვენამდე ა.ბორზუნოვის მოხსენების სახით არის მოღწეული. მსგავსი ტექნოლოგიური სქემა ჩვენ განვიხილეთ აღავრდის საწარმოსთან დაკავშირებით, მას აქ სრული სახით აღარ შევხებით. ახტალის საწარმოს ნედლეული ბაზა ტიპიურ პოლიმეტალურ მადანს წარმოადგენს და 1910-ანი წლების ანალიზით, შემდეგ კომპონენტებს შეიცავდა: Pb-15,00%; Cu-3,80%; Ag-0,04%; Au-0,0025%; Zn-33,70%; Fe-8,40%; As-0,0054%; S-29,36%; Si-3,27%; Ca-0,93% [101, გვ.36]. მაღნის ასეთი ტიპი საკმაოდ რთულ ტექნოლოგიურ ოპერაციებს საჭიროებდა, როგორც ოქრო-ვერცხლის და ტყვიის გამოსაყოფად, ისე მრავალრიცხოვანი მაღნისეული მინარევების მოსაცილებლად.

ახტალის ქარხნის შესახებ ჩვენამდე მხოლოდ ცალკეულმა ცნობებმა მოაღწია და აქ არსებული მთლიანი ტექნოლოგიური სქემის რეკონსტრუირებისათვის გათვალისწინებულია ამ პერიოდის ევროპულ წარმოებათა მიღწევებიც. სრული ტექნოლოგიური სქემა მაღნიდან ჯერ ტყვიის გამოდნობას, შემდეგ ტყვიიდან ვერცხლის გამოცალკევებს და ბოლოს ვერცხლიდან ოქროს ამოღებას ითვალისწინებდა. შესაბამისად, ქვემოთ მოყვანილი განაკვეთები ჯერ ტყვიის, შემდეგ ვერცხლის და დასასრულს – ოქროს მიღების საკითხებს ეხება.

ტყვიის ჭარმოება

ძველი მსოფლიოს მეტალურგიის პრაქტიკაში ტყვიის მოპოვების ყველაზე გავრცელებულ წესს სულფიდური მადნების გამოწვისა და აღდგნის მეთოდი წარმოადგენდა. გამოწვის პროცესის შედეგად, მადნის შემადგენელი ყველა ლითონური კომპონენტი Pb, Cu, Zn, Fe - სულფიდები ოქსიდად გარდაიქმნებოდა. გამომწვარ მადანს შემდეგ აღნობდნენ ნახშირთან და მდნობებთან ერთად, რის შედეგადაც ტყვია ლითონურ მდგომარეობამდე აღდგებოდა, ხოლო მნელადაღდენადი ლითონები წიდაში გადადიოდა [95, გვ.659-660].

ახტალის ქარხანაში, ისევე როგორც ალავერდში, გათვალისწინებული იყო სულფიდური მადნების გამოწვა. გამოწვის პროცესს უდავოდ გროვებად აწარმოებდნენ, რისთვისაც, ქვით მოპირკეთებული მცირე გაბარიტების ორმოები გამოიყენებოდა. ტყვიის სულფიდური მადნის გროვებად გამოწვას ევროპის ქარხნებში ხშირად მიმართავდნენ მე-19 საუკუნეშიც. ზოგიერთ შემთხვევაში კი, შახტურ ღუმელებში მადნის გამოწვის შემდეგ, გოგირდის სრული გამოწვის მიზნით პროცესს გროვებში აგრძელებდნენ [95, გვ.672]. ახტალაში სრული გამოწვის მიზნით ეს პროცედურა იმავე ალავერდის ქარხნის ანალოგით 3-4-ჯერ უნდა გაემორჩინათ, რის შედეგად ყველა ლითონის სულფიდი (Fe, Pb, Cu, Zn) ოქსიდებში გადადიოდა.

მადნის სრული გამოწვა და შემდეგ აღდგნით დნობა ამ შემთხვევაშიც იმავე სქემით ხორციელდებოდა, რა სქემითაც სარგებლობდნენ აზიური წესით სპილენძის გამოდნობისას. ეს თანხვედრა ღუმელების კონსტრუქციებზეც ვრცელდებოდა: ტყვიის გამოსაღნობი ღუმელი ზუსტად ისეთივე კონსტრუქციისა იყო, როგორც ალავერდის სპილენძის საღნობი ღუმელი [21]. ამ პროცესისათვის აღებული კაზმი გამომწვარ მადანთან ერთად უდავოდ შეიცავდა ნახშირს და ფლუსებს (მდნობებს) მინარევების წიდაში გადასაყვანად.

აღდგენითი დნობის პროცესში წიდაში გადადიოდა რკინა და თუთია სილიკატების სახით, ვინაიდან ამ ორი კომპონენტის პროცენტული შემცველობა მადანში ძალზე მაღალი იყო (Zn-33,7%;

Fe-8,4%). მადანშივე არსებული კაჟმიწის რაოდენობა (SiO_2 -7,0%) არ იყო საკმარისი ამ კომპონენტების სრული აწიდვისათვის.

აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ სილიკატების დანაკლისს ბერძენი ოსტატები კაზმში კაჟმიწის დამატებით აგსებდნენ და ამ გზით უზრუნველყოფდნენ თუთიასა და რკინის სრული რაოდენობით წიდაში გადასვლას. არ არის გამორიცხული, რომ წიდაში ტყვიის გადასვლის აღკვეთის მიზნით, კაზმში დამატებით კირიც ყოფილიყო შეყვანილი, ვინაიდან მისი ის რაოდენობა, რომელიც მადანშია დასახელებული (CaO -1,3%), არ იყო საკმარისი გაცილებით დიდი რაოდენობის ტყვიის (Pb -15%) სრული სახით ნაღნობში დასატოვებლად. წიდების მოცილების შემდეგ რჩებოდა გამდნარი მასა, რომელსაც მირითადად ლითონამდე აღდგენილი ტყვია და სპილენძი შეადგენდა. ამ ორი ლითონის დაცილება კი იმ დროს მხოლოდ ზეიგერობის პროცესის საშუალებით შეიძლებოდა.

პროცესი ტყვიის და სპილენძის ერთ დამახასიათებელ თვისებაზე იყო დაფუძნებული. კერძოდ, ამ ლითონების თხევადი ნარევის ნელი გაცივებისას ადგილი აქვს მათი ერთმანეთისგან დაცილებას ორი შრის სახით. ქვედა შრეს იკავებდა ტყვია მთელი ვერცხლის მინარევით, ხოლო ზედა შრეში უფრო მსუბუქი სპილენძი ხვდებოდა ტყვიის მცირე მინარევით. გამდნარი მასის სწრაფად გაცივებისას კი მიიღება ორივე ლითონის ერთიანი ნარევი, რომელშიც არაგითარი განშრევება არ შეიმჩნევა [75, გვ.216]. ნელი გაცივებისას გამყარებული შრეების ერთმანეთისგან დაცილება პრობლემას არ წარმოადგენს და შესაძლებელი ხდება ტყვიის ცალკე გამოყოფა. ასე მიღებული ტყვია ვერცხლის გარდა სხვა მინარევებსაც შეიცავს, ამდენად პირველ რიგში საჭიროა მისი რაფინირება.

რაფინირებისათვის გამოიყენება ორი უმარტივესი ხერხი, რომელთაგან პირველ შემთხვევაში ტყვიის ხელახლა გადნობისას, მნელადინობადი მინარევები გამდნარი მასის ზედაპირზე გროვდება და მას ამოხაპვით აცილებენ ტყვიას. მეორე შემთხვევაში კი მექანიკურ გაწმენდას წინ უსწრებს გამდნარ ტყვიაში ჰაერის შებერვა, რის შედეგადაც ტყვიაზე უფრო აქტიურად ჟანგვადი ლითონები

ქმნიან ოქსიდებს და გამდნარი მასის ზედაპირზე გროვდებიან [95, გვ.681].

ბერძნები, უნდა ვივარაუდოთ, რომ ორივე ამ წესს იყენებდნენ და საბოლოოდ ვერცხლის შემცველ შედარებით სუფთა ტყვიას იღებდნენ. ერთ-ერთი ცნობით ისინი ქარხანაში დღე-ღამის განმავლობაში 10-12 ფუთ (160-192 კგ) ასეთ ტყვია-ვერცხლის შენადნობს იღებდნენ [21]. ტყვიისა და ვერცხლის დაცილება ტრეიბერდებზე წარმოქმდა. ტრეიბერდებზე მიმდინარე პროცესებს ვერცხლის მიღებისადმი მიძღვნილ ქვეთავში განვიხილავთ. აյ კი აღნიშნავთ, რომ დაცილების პროცესის შედეგად ტყვია მურდასანგის სახით მიღებოდა როგორც ტრეიბერდის კედლებში შეწოვილი მასის, ისე ტრეიბერდიდან გადადენილი ნადნობის სახით.

ტრეიბერდში შეწოვილი მურდასანგი, ნაცრისა და სილის მინარევით გადაღვრილ ტყვიის ოქსიდთან ერთად აღდგენით დნობას განიცდიდა ნახშირის მეშვეობით. ამის შედეგად მურდასანგი აღდგენილ ტყვიაში გადადიოდა, რომლის თავზე დაგროვილ ნაცარსა და სილას ამოზაპეით აცილებდნენ გამლოვალ ლითონს.

ერთ-ერთი ცნობის თანახმად, რომელიც ა.მუსინ-პუშკინის თანამშრომელს, ა.შლიგელმიხეს ეკუთვნის, ახტალაში დღეში 200 ფუთამდე (ე.ი. 3,2 ტონამდე) ტყვიას ადნობდნენ [85, გვ.174]. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ქარხანაში, ისევე როგორც ალავერდში, სამუშაო დღეთა რაოდენობა წელიწადში 250 დღეს შეადგენდა, მაშინ აյ გამოდნობილი ტყვიის ყოველწლიური რაოდენობა 50000 ფუთს ანუ 800 ტონას შეესაბამებოდა.

ვერცხლის გამოცალკევება ტყვიისაგან

ახტალის ქარხანაში ვერცხლის შემცველი ტყვიიდან ვერცხლის გამოცალკევების მეთოდი ზოგადი სახით ცნობილია. შემორჩენილია ამ ოპერაციისათვის საჭირო ქარხნისეული მოწყობილობის აღწერილობაც, რომლის თანახმად, საქმე გვაქვს ტიპურ ტრეიბერდთან, მხოლოდ ღუმელის კონსტრუქციის ზედა ნაწილის გარეშე. ქვედა

ნაწილი წარმოადგენს კერას ორმოს სახით (სიღრმე 26,4სმ და სიგრძე-სიგანე 52,5სმ), სადაც კედლები ამოტკეპნილია კაკლის ხის ნაცრისა და სილის ნარევით. ცეცხლის გამლიერებისათვის გამოყენებულია ხელის საბერველები [21].

ასეთ ნარევს განსაკუთრებული თვისება გააჩნდა, რომელიც უზრუნველყოფდა ვერცხლისა და ტყვიის ერთმანეთისაგან დაცილებას. კერძოდ, იწოვდა ტყვიის გამდნარ ოქსიდს – მურდასანგს, მაშინ როდესაც, ერთად ტყვიისა და ვერცხლისადმი, ასეთი ფორმანი მასა სრულიად ინერტულია. ასეთ ორმოში იყრებოდა ვერცხლის შემცველი მასა და მას გარშემო და თავზე ეწყობოდა შეშის გროვა. შეშის გროვის ანთების შემდეგ მასა იწყებდა დნობას. თხევადი მდგომარეობის შესანარჩუნებლად ორმოს გარშემო უმატებდნენ შეშას, ხოლო გამდნარი ტყვიის ზედაპირზე საბერველების საშუალებით მიმართავდნენ ჰაერის ჭავლს, შედეგად ტყვია იუანგებოდა მურდასანგად და შეიწოვებოდა სილის და ნაცრის ფორმანი ნარევით ამოგებულ კედლებში. მურდასანგის ნაწილი კი შესაძლოა გადაღვრილი ყოფილიყო კერაში არსებული და აღწერილობაში გამოტოვებული არხის საშუალებით. როგორც ეტყობა, ამისთვის მიმღებ მოცულობად გათვალისწინებული იყო არხის მეორე ბოლოს გვერდით მომზადებული ორმო.

საბერველების მუდმივი დატვირთვის პირობებში, მურდასანგის კლებათან ერთად, ორმოს ცენტრში ჩნდებოდა გამლლვალი ვერცხლის მასა, რომელიც მურდასანგს არ ერეოდა. მურდასანგის მინშვნელოვნად შემცირებისას შეშის წვა და ჰაერის შებერვა წყდებოდა, გაცივებისას კი შეა ნაწილიდან იღებდნენ ტყვიისაგან განცალკევებულ ვერცხლის ზოდს, რომლის ზედაპირზე მიკრული მურდასანგის მოცულება ხდებოდა მექანიკური ზემოქმედების გზით. ვინაიდან ასეთი ზოდი ყოველთვის შეიცავდა ოქროს, წარმოების ბოლო სტადია მიღებული ვერცხლიდან ოქროს გამოყოფას ითვალისწინებდა.

ვ.მელქონიანის მონაცემის თანახმად ახტალის ქარხანაში ვერცხლის სადნობი 17 ღუმელიდან 10 თვის განმავლობაში მუდმივად 7-10 ღუმელი მაინც მუშაობდა და წელიწადში დაახლოებით 60-92

ფუთ (ე.ი. 960-1472 კგ) ვერცხლს იძლეოდა [27]. ეს მონაცემი მეტ-ნაკლებად ს.ესაძის მიერ მოყვანილი ცნობის შესატყვისია, რომლის თანახმად აქ საშუალოდ 150-200 ლიტრა (552-736 კგ) ვერცხლს იღებდნენ, ზოგჯერ კი 300 ლიტრასაც (1104 კგ) [112, გვ.14].

ახტალის ქარხნის გარდა ვერცხლისა და ოქროს მოპოვებას დამბლუდის სპილენძის ქარხანაც აწარმოებდა. ეს განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ დამბლუდის მადანი სპილენძთან ერთად ვერცხლსაც შეიცავდა. ამიტომ კავკასიის წიაღისეულის 1917 წლის აღწერილობაში დამბლუდი მოხსენიებულია, როგორც ვერცხლის, ისე სპილენძის მადნებთან დაკავშირებით [101, გვ.36, 110]. აქვე მოყვანილია დამბლუდის მადნის შედგენილობაც: CuS-33%, PbS-21%, ZnS-34%. ამასთან ერთად, 1 ფუთი მადანი (ე.ი. 16 კგ) შეიცავდა 1,2 მისხალ (ე.ი. 5,12გ) ვერცხლს და 0,07 მისხალ (ე.ი. 0,30 გ) ოქროს [28, გვ.37]. მადანში სპილენძის კოლჩედანის დიდმა რაოდენობამ და ოქრო-ვერცხლის საკმაოდ მაღალმა შემცველობამ თავისთავად განაპირობა მადნის გადამამუშავებელი ქარხნის პროფილი. ის სპილენძთან ერთად ოქრო-ვერცხლსაც იღებდა და ფაქტობრივად წარმოადგენდა როგორც სპილენძის, ისე ვერცხლის ქარხანას.

სამწუხაროდ ქარხნის მუშაობის შესახებ ძველ წყაროებში რამდენიმე წელი მასალას ვერ მივაკვლიერ. ამიტომაც ქარხანაში გამოყენებული ტექნოლოგიური სქემის შესახებ ჩვენ შეიძლება ზოგადი სახით, და თანაც საკარაულოდ, გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება.

მადნის გადამუშავების პირველ სტადიას გამოწვის პროცესი წარმოადგენდა, რაც სპილენძის, ტყვიის და თუთიის სულფიდების ოქსიდებად გარდაქმნას ნიშნავდა. მეორე სტადია კი, აღდგენით დნობას ითვალისწინებდა.

ჩვენთვის უცნობია გამოყოფილი წიდების სახე, მაგრამ ეჭვს არ იწვევს, რომ გამლღვალ მასაში სპილენძი და ტყვია უმნიშვნელო დანაკარგებით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. გამლღვალ ტყვიაში ამ დროს გახსნილი უნდა ყოფილიყო ვერცხლი და ოქრო, რომლის ნაწილს თავდაპირველად თვით ტყვია, ხოლო ნაწილს – სპილენძი შეიცავდა. იმ შემთხვევაში, თუ მადნის შემადგენლობაში ტყვია არ

შედიოდა, რასაც დამბლუდის მადნის ზოგიერთ ნიმუშში აქვს აღგილი, მაშინ მადანში ძვირფასი ლითონები მხოლოდ სპილენძში უნდა ყოფილიყო დაგროვილი.

ვერცხლის და ოქროს შემცველი სპილენძის მადნიდან ამ ძვირფასი ლითონების ამოსაღებად, ძველ ეპროპულ სამთო-მეტალურგიულ პრაქტიკაში გამომუშავებული იყო წესი, რომელიც ამ პროცედურის ჩატარებას შავ სპილენძზე ითვალისწინებდა [95, გვ.791,800]. აქრძოდ, შავ სპილენძს გამდნარ მდგომარეობაში ემატებოდა ტყვია (იმ შემთხვევაში, თუ ის არ იყო ამოსავალ მადანში), რის შედეგადაც შავ სპილენძში არსებული ოქრო და ვერცხლი გამლღვალ ტყვიაში იყრიდა თავს. ვერცხლის შემცველი ტყვიისა და შავი სპილენძის ერთმანეთისგან დასაცალებლად გამოიყენებოდა ზეიგერობის მეორედ.

შეიძლება ითქვას, იგივე წერტილის იყენებდნენ დამბლუდის ქარხანაშიც, მხოლოდ მადანზე ტყვიის დამატების გარეშე, გამოცალკევებული კომპონენტები შემდგომ სტადიაზე უკვე დამოუკიდებლად მუშავდებოდა. შავი სპილენძიდან რაფინირების გზით მიიღებოდა წითელი სპილენძი, ხოლო ტრეიბგერდზე ტყვიის დამუშავებით ვერცხლის ამოწიდვას აწარმოებდნენ. მიღებული მურდასანგის აღდგენით მიიღებოდა ტყვია, ხოლო ვერცხლიდან თეზაფის საშუალებით დღებოდა ოქროს გამოცალკევება.

ოქროს დაცილება ვერცხლისაგან

ზემოაღნიშნული ტექნოლოგიური სქემით მიღებული სუფთა ვერცხლი მინარევებს აღარ შეიცავს. მასში საკმაოდ დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი ოქრო. ასეთ ვერცხლს ახტალაში „ოქროიან ვერცხლს“ უწოდებდნენ, ხოლო ვახტანგ VI-ის „ქიმიის“ თანახმად ის „ოქროს ვერცხლის“ სახელწოდებით იყო ცნობილი [15, გვ.85; 25, გვ.86, 90]. შენადნობიდან ოქროს დაცილებას ვერცხლისაგან „თეზაფქები“ ახორციელებდნენ.

ერეკლე II-ის მიერ წარმოებულ ოქრო-ვერცხლთან დაკავშირებით ხშირად გვხვდება ეს ტერმინი „თეზაფიჩები“. თანამედროვე ტერმინოლოგით „თეზაფი“ „სამეფო არაეს“ ნიშნავს (სამი წილი აზოტმჟავასა და ერთი წილი მარილმჟავას ნარევი). მაგრამ როგორც ირკვევა, ასეთი მნიშვნელობით ეს ტერმინი ქართულ ენაში მხოლოდ ბოლო პერიოდშია შემოსული. ყოველ შემთხვევაში, ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონით (1810 წელი) „თეზაფი“ უკვე „სამეფო არაყოთა“ არის გაიგივებული [57, გვ231]. მაგრამ თუ აღრულ წყაროებს გადავხედავთ, აქ „თეზაფი“ სულ სხვა, კერძოდ კი, აზოტმჟავას მნიშვნელობით არის გამოყენებული. ვახტანგ VI-ის „ქიმიაში“ „თეზაფი“ ზოგადი მნიშვნელობით იხმარება და ის საერთოდ აკრესიული სითხეების, პირველ რიგში კი მუავების აღმნიშვნელ ტერმინად გამოიყენება [15, გვ.55, 108]. ამავე თხზულებაში ის გვხვდება კერძო მნიშვნელობითაც მხოლოდ და მხოლოდ აზოტმჟავას აღსანიშნავად [15, გვ.91, 209]. ასე ესმოდათ ეს ტერმინი ერეკლეს ეპოქაშიც. ამიტომაც „თეზაფი“, რომლის გადმოქართულებული ვარიანტი „მეთეზაფეს“ ნიშნავს, ეწოდებოდა სპეციალისტს, რომლის ხელობაც თეზაფითან, ე.ი. აზოტმჟავასთან იყო დაკავშირებული. თეზაფის ევალებოდა აზოტმჟავას დამზადება და მისი საშუალებით ოქროს შემცველი ვერცხლიდან ოქროს გამოყოფა. არ არის გამორიცხული, რომ მუავას დამზადებას და მისი საშუალებით ვერცხლიდან ოქროს გამოყოფას სხვადასხვა პირები ახორციელებდნენ. მიუხედავად ამისა, ორივე ალბათ მაინც თეზაფიად ითვლებოდა. ახტალის ქარხანაში რომ მხოლოდ ერთი თეზაფი არ იყო, ეს კარგად ჩანს ამ ქარხნის საბუთებიდან. აქ რამდენჯერმე თეზაფიები მრავლობით რიცხვში მოიხსენიება, ხოლო 1782 წლის ჩანაწერით კი, „ოქროიანი ვერცხლის“ თითო ლიტრაზე თეზაფიებს ერთი დანგი ოქროც მიუღიათ ჯამაგირის სახით [25, გვ.86].

სამწუხაროდ არანაირი ცნობა არ მოგვეპოვება იმის შესახებ, თუ რა ტექნილოგიური სქემით ახორციელებდნენ თეზაფიები ახტალის ქარხანაში აზოტმჟავას მიღებას და მისი საშუალებით „ოქროიანი ვერცხლის“ გადამუშავებას. მაგრამ ამ შემთხვევაში

შეიძლება ვისარგებლოთ ვახტანგ VI-ის „ქიმიის“ მონაცემებით და ვთოვალისწინებთ, რომ თეზაფის მიღებისა და მისი საშუალებით ვერცხლისგან ოქროს დაცილების წესები სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ქვეყნაში ერთმანეთისაგან დიდად არ განსხვავდებოდა.



ოქროსა და ვერცხლის ერთმანეთისაგან დასაცილებლად საჭირო იყო ძალზე სუფთა აზოტმჟავა, რომელიც მარილმჟავას ან გოგირდმჟავას არ შეიცავდა. წინააღმდეგ შემთხვევაში აზოტმჟავაში გახსნილი ვერცხლი ამ მუავებით გამოილექტორით ვერცხლის სულფატის ან ქლორიდის სახით და აზოტმჟავაში გაუხსნელ ოქროს შეეროდა როგორც მყარი მინარევი. ასეთ აზოტმჟავას ხშირად „ზარაფხანის თეზაფის“, ე.ი. ზარაფხანის აზოტმჟავასაც ეძახდნენ, ვინაიდნ ის ძირითადად ზარაფხანაში გამოიყენებოდა ვერცხლიდან ოქროს გამოსაცალკეებლად. ზარაფხანაში მუდმივად იყო საჭირო სუფთა ვერცხლი და ოქრო და ამდენად მონეტების მოსაჭრელად აზოტმჟავა ზარაფხანის ერთ-ერთ მთავარ პრეპარატს წარმოადგენდა.

ვახტანგ VI-ის თანახმად, ასეთი „ზარაფხანის თეზაფი“ მიღება ერთი წონა გვარჯილის და სამი წონა აჯასპის (ვახტანგი ხშირად და ამ შემთხვევაშიც აჯასპს „შაბის“ სახელწოდებით მოიხსენიებს) ნარევის გამოხდის შედეგად. მიღებული თეზაფის თვისება ის არის, რომ მას შეუძლია ოქროს შემცველი ვერცხლი გახსნას, ანუ ვახტანგის სიტყვებით: „მას ეს სჭირს, ოქროს ვერცხლს დადნობს“ [15, გვ.85].


უფრო დაწვრილებით ვახტანგი „ზარაფხანის თეზაფის“ მიღების საკითხს §94-ში ეხება. აქ გამოხდისათვის აიღება გასუფთავებული („დახალასებული“) გვარჯილის და „არჯასპის“ ნარევი შეფარდებით 1:2. ჯერ ნელი, ხოლო შემდეგ გაძლიერებული ცეცხლის რეჟიმში მიმდინარეობს თეზაფის გამოხდის პროცესი. მიღებული დისტილატი („არაყი“) ოთხ წილად იყოფა, რომლის სამი წილი ცალკე და ერთი წილი ცალკე აიღება. ამ ერთ წილს ემატება ვერცხლი, რომლის სწრაფად გახსნისათვის აზოტმჟავა „ნელ ცეცხლზე“ თბება. ვერცხლის გადნობის შემდეგ ამ ერთ წილს ის სამი წილიც ემატება, რის შედეგადაც ხსნარი „რძესავით“ ხდება. ამ პროცედურის არსი

სავსებით გასაგები იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ერთ წილ აზოტმჟავაში ვერცხლის გახსნისას ხსნარში წარმოიქმნება ვერცხლის ნიტრატი. მიღებულ ხსნარზე სამი წილი მჟავას დამატებისას გოგირდმჟავას თუ მარილმჟავას შემცველი მინარევის ეს სამი წილი (ისევე როგორც ერთი წილი) ვერცხლის სულფატის ან ვერცხლის ქლორიდის თეთრ რძისმაგვარ ნალექს იძლევა, რომელსაც აზოტმჟავადან დეკანტაციით აცალებენ. ამისათვის ხსნარს ჯერ აყოვნებენ, რათა ნალექი „დაწმეს“, ხოლო შემდეგ ხსნარს ფრთხილად გადმოასხმენ, ისე რომ ნალექი არ აიმღვრეს და ხსნარს არ გადმოყვეს („რა დაწმეს, სულ ნელა გადმოსწურე“). მიღებული ხსნარი აზოტმჟავა („თეზაფი“) იქნება. რაც შეეხება ვერცხლის ნალექს, გამოშრობის შემდგომ მას ცეცხლზე ახურებენ და ადნობენ, რის შედეგადაც, როგორც ვახტანგი ამბობს, ვერცხლი ისევ ვერცხლი იქნება. ჩვენი აზრით აქ გადამწერის დაუდევრობის გამო დაშვებული უნდა იყოს ერთი უზუსტობა: AgSO_4 -ისა თუ AgCl -ის გადადნობის შედეგად ვერცხლი ვერ მიღება. ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვერცხლის ქლორიდს ან ვერცხლის სულფატს სოდა დაემატება. მაშინ გადნობისას თითოეული მათგანისათვის ადგილი უნდა ჰქონდეს შემდეგ რეაქციებს, რომლებიც ვერცხლის ლითონის სახით გამოყოფას უზრუნველყოფენ [110, გვ.54]:

ვერცხლის ქლორიდისათვის



ვერცხლის სულფატისათვის




ცხადია, რომ ახტალის ქარხანაში რაღაც მცირე საწარმო უნდა არსებულიყო, რომელშიც აზოტმჟავას იღებდნენ და წმენდნენ. ეს ალბათ ჩვენთვის ცნობილი ყველაზე ადრეული ქიმიური საწარმო იყო. ცხადია, რომ ნედლეულად ამ შემთხვევაში არჯასპს და გვარჯილას იყენებდნენ. მათი დეფიციტი იმ დროისათვის არ უნდა ყოფილიყო,

თუნდაც იმიტომ, რომ იმ დროს თბილისში მუშაობდა თოფისწამლის ქარხანა, რომლის ერთ-ერთ ყველაზე საჭირო ნედლეულს გვარჯილა წარმოადგენდა [8, გვ.157]. რაც შეეხება არჯასპს, ის ყოფით პრაქტიკაში კიდევ უფრო ფართო მოხმარების საგანი იყო, განსაკუთრებით ღებვის საქმეში და ამიტომაც ახტალის ქარხანაში მისი დეფიციტი არ იქნებოდა. 1772 წელს ი.გიულდენშტედტის ცნობით, თბილისის ღუქნებში ერთი სტილი (დაახლოებით 150 გრამამდე) გვარჯილის ფასს რუსული 15 კაპიკი შეადგენდა. იყოდებოდა არჯასპიც, ვინაიდან ისიც მოყვანილია სიაში, მაგრამ სამწუხაროდ მისი ფასის აღნიშვნა ი.გიულდენშტედტს გამორჩენა [9, გვ.376-377].

პირდაპირი ცნობები არ მოვეპოვება აზტალის აზოტმჟავას წარმოებაში გამოყენებული აპარატურის შესახებ, მაგრამ ზოგიერთი ქართული წყაროს მიხედვით შეგვიძლია ამ აპარატურის მიახლოებითი რეკონსტრუირება. პირველ რიგში გასათვალისწინებელია ვახტანგ VI-ის „ქიმიის“ მონაცემები. კერძოდ, გვ.110-ში, რომელიც ქიმიის ლაბორატორიულ ჭურჭელს ეძღვნება, მოყვანილია 3 სადისტილაციო დანადგარის ნახაზი (სურ. 24).

თითოეულ ნახაზზე 3 ტიპის აპარატია წარმოდგენილი. მათგან პირველი ნედლეულის შემცველი კოლბის ღუმელის ზედა ნაწილში განთავსებას ითვალისწინებს (აქედან ჩანს, რომ ეს აპარატი შედარებით დაბალტემპერატურული გამოხდისათვის იყო გათვალისწინებული). მეორე აპარატი უფრო მაღალტემპერატურული პროცესებისთვისაა განკუთვნილი, ვინაიდან, როგორც სურათიდან ჩანს, გამოსახდელი ნედლეულის შემცველი კოლბა ბოლომდეა ჩაშვებული. მისი ღუმელში ჩავარდნის თავიდან აცილების მიზნით ყელზე ამ კოლბას მრგვალი დისკო აქვს ჩამოცმული, რომლის საშუალებითაც ფიქსირებულია მისი მდგომარეობა. განსაკუთრებით საინტერესო მესამე სახის დანადგარი, რომლის ნედლეულის შემცველი ჭურჭელი უკვე არა მინის კოლბას, არამედ ქოთანს წარმოადგენს. აქვე ვახტანგს მოყვანილი აქვს წარწერა: „ქოთანით თეზაფის გამოხდა ასეა“. ე.ი. როგორც ვხედავთ გამოხდის პროცესის ჩატარება აქ გაცილებით მაღალ ტემპერატურაზე არის გათვალისწინებული. ასე-

თი ტემპერატურები, როგორც წარწერიდანაც ჩანს, აზოტმჟავის მისაღებად არის საჭირო და შესაბამისად მინის კოლბა ცეცხლგამძლე თიხის ქოთნით არის შეცვლილი. მეორე, §111-ში აღწერილია ის წესი, რომელიც აღემბიკის ანუ ქართული ტერმინოლოგით ამბუხის ქოთანთან მიერთებას ითვალისწინებს. ამისათვის აიღება ქაშანურის ფიალა, რომელიც თავისი ზომებით ქოთნის პირს თანხვდება. ფიალა მაგრდება ქოთანზე, ხოლო ფიალაზე კი – ამბუხის პირი. სპეციალური თიხით შეღესვის შემდგომ, ჰერმეტულობის დაცვის მიზნით, თიხა უნდა „კარგა გამაგრდეს, [რომ] ამ მოწყობილობიდან სულ არ გამოვიდეს“ [15, გვ.133]. ასეთი წესით ორი დეტალის მიერთება მართლაც უზრუნველყოფს ჭურჭლის სრულ ჰერმეტიზაციას.



სურ. 24. აზოტმჟავას გამოსახდელი დანადგარი
(ვახტანგ VI-ის მონაცემები)

სწავლული მეფის მონაცემების გათვალისწინებით, აზოტმჟავას საამქროში სწორედ ასეთი დანადგარი უნდა ყოფილიყო გამოყენებული. ზოგადად ასეთი კონსტრუქციის გამოყენებას ადასტურებს დავით ბატონიშვილიც, რომელიც კარგად იყო გათვითცნობიერებული სამთო-ქიმიური წარმოებების დეტალებში. მის მიერ შედგენილ „სამკურნალო რეცეპტებში“ ნიშადურის სპირტის მისაღებად ნიშადური, პოტაში და წყალი უნდა ჩაიყაროს ავტორის სიტყვებით რომ გადმოვცეთ: „ბროლის ქვაბში და ჩევენში რომ ბროლის ქვაბი არ არის, თიხის ქვაბ-ქოთანში“. ამის შემდგომ ჩასატარებელი ღონისძიებები ასე არის აღწერილი: „ზედ მინის ზარფუში დაახურე, როგორც თეზაფის ზარფუში და პირი კარგად გაგლისე. შემოდგინელ ცეცხლზე“ [62, ფ.105]. ამ ძალზე საინტერესო ცნობიდან ჩანს, რომ ცეცხლგამძლე მინისაგან დამზადებული კოლბა, რომელსაც დავითი „ბროლის ქვაბს“ ეძახის, საქართველოში არ მოიპოვებოდა. ამიტომაც, მის ნაცვლად თიხის ქვაბ-ქოთანი გამოიყენებოდა, ზუსტად ისევე, როგორც ეს ვახტანგს აქვს აღწერილი. „ამბუხს“ დავითი აქ „ზარფუშს“ უწოდებს და ეს ზარფუში-ამბუხი თიხის ქვაბს ისე უნდა დაეხუროს, როგორც „თეზაფის ზარფუში“. აქ „თეზაფის ზარფუშის“, ანუ აზოტმჟავას მისაღები დანადგარის „ამბუხის“ მაგალითად მოხსენიება იმას ნიშავს, რომ ეს დანადგარი საქართველოში კარგად და საყოველთაოდ იყო ცნობილი. ამ დანადგარის ასეთი საყოველთაო ცოდნა კი მხოლოდ იმით უნდა იყოს განპირობებული, რომ აქ ახტალისეული ქარხნის დანადგარი იგულისხმება, რომელიც, როგორც ეტყობა, პროდუქციის დიდმა რაოდენობამ და ხანგრძლივობა ექსპლუატაციამ ფართოდ ცნობილი გახადა.

სხვათა შორის, ამ შემთხვევაშიც ამბუხ-ზარფუშის ქვაბ-ქოთან მიერთების შემდეგ დავითი უმატებს შემდეგ სიტყვებს: „პირი კარგად გაგლისე“, ე.ი. ამჯერადაც ზუსტად ისევე, როგორც ვახტანგთან, ამბუხ-ზარფუშისა და ქვაბ-ქოთნის შეერთების ადგილი ჰერმეტიზაციის მიზნით თიხით იღესება. რაც შეეხება ახტალაში გამოყენებული ამბუხების ანუ ზარფუშების მასალას, ისევ დავითის ცნობის მიხედვით, ის მინისგან უნდა ყოფილიყო შესრულებული


(,,მინის ზარფუში დაახურე, როგორც თეზაფის ზარფუში“).

ზემოთ მოყვანილი ფაქტების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ახტალაში გამოყენებული დანადგარი ფაქტობრივად ისეთივე უნდა ყოფილიყო, როგორც ეს ვახტანგს აქვს აღწერილი. სწორედ ამ დანადგარზე იღებდნენ იმ თეზაფს, რომელიც შემდეგ საგანგებოდ უნდა გაწმენდილიყო. გაწმენდილი თეზაფი ანუ ზარაფხანის თეზაფი ოქროს ვერცხლისაგან დასაცილებლად ზუსტად იმავე სქემით უნდა ყოფილიყო გამოყენებული, რა სქემითაც მას იყენებდნენ ყველა ქვეყნის პრაქტიკაში. კერძოდ, აზოტმჟავით ოქროს და ვერცხლის დაცილება იმ დროისათვის შესაძლებლად ითვლებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვერცხლი შენადნობში ოქროსთან შედარებით სამ-მაგი ღიღებით იყო წარმოდგენილი. მაშასადამე, იმისდა მიხედვით, თუ რა რაოდენობა იყო სინჯში ვერცხლი, ის დაყავდათ ამ სამმაგ რაოდენობაზე და შემდეგ მას ჩსნიდნენ ზარაფხანის თეზაფის მეშ-ვეობით. ამ დროს ვერცხლი იხსნებოდა შემდეგი რეაქციის თანახმად:





რაც შეეხება ოქროს, ის უცვლელი ნალექის სახით რჩებოდა და საბოლოო სახით მისაღებად მის გადაღნობას აწარმოებდნენ ტიგელში, მაგ. ბორაქსთან და გვარჯილასთან ერთად. ასეთი პროცესის ერთ-ერთი ვარიანტი ვახტანგს აღწერილი აქვს, როგორც ღონისძიება „ოქროს ყალიბში ჩამოსხმისა“, მხოლოდ იქ ოქროს გასუფთავებისათვის გათვალისწინებულია პოტაშის („დამწვარი საპონი“) და სულემის დამატება გოგირდისა და გვარჯილის მცირე რაოდენობასთან ერთად [15, გვ.179].

აზოტმჟავაში გახსნილი ვერცხლის ამოღების მიზნით XVII-XVIII სს-ში გამოყენებული იყო ვერცხლის გამოყოფის წესი ცე-მენტაციის მეთოდით, რომელიც ამ ჩსნარში სპილენძის შეტანას ითვალისწინებდა. ამ დროს კი ვერცხლი გამოიყოფოდა შემდეგი რეაქციის მიხედვით:



ახტალაში ასეთი სქემის გამოყენებაზე მიუთითებს ის გარე-მოება, რომ სპილენძი იქ დეფიციტს კი არ წარმოადგენდა, არამედ ჭარბი რაოდენობით მოიპოვებოდა და მისი გამოყენება არა მარტო ტექნიკურად, არამედ ეკონომიურადაც ხელსაყრელი იყო.

აღსანიშნავია, რომ ვახტანგს თავის ქიმიაში მოყვანილი აქვს ერთი რეცეპტი, რომელშიც ცემენტაციის ეს პროცესი არის აღწერ-ილი. კერძოდ, ამ რეცეპტში ვახტანგი უხსნის მკითხველს: „ვერ-ცხლი თეზაბში გააღნევ, მერმე სპილენძი ჩააგდე, ვერცხლს მირს დაიღეს. თეზაბი გადასწურე ვერცხლი გააშრევ. ვერცხლის ნაცარი იქნება. შეინახე და ასაქმე“ [15, გვ.196]. ვახტანგის მიერ მოყვანილი რეცეპტიდან კარგად ჩანს, რომ აზოტმჟავაში გამდნარ ვერცხლის ჩსნარში სპილენძის დამატებისას ვერცხლი გამოიყოფა და „მირს დაიღეს“. ფილტრაციით ან დეკანტაციით („გარდასწურე“) ეს ნა-ლექი სითხეს შორდებოდა და ისევ ვერცხლი მიღებოდა. მხოლოდ წვრილდისპერსულობის გამო ამ გამოლექსილ ვერცხლს შეიძლება ცოტა მოშავო ფერიც ჰქონდა და ვინაიდან ასეთ ნალექს ლითო-ნისათვის დამახასიათებელი ბზინვარება არ გააჩნდა, მას „ნაცარს“ უწინდებდნენ. ახტალის ქარხნის პროდუქცია, როგორც ვხედავთ, საკ-მაოდ მრავალფეროვანი იყო და ისეთი ლითონების მიღებას ით-ვალისწინებდა, როგორიცაა ტყვია, სპილენძი, ვერცხლი და ოქრო. ქვემოთ მოგვყავს ტექნოლოგიური სქემა იმ ეტაპების ჩვენებით, რომლებიც ამ ლითონების მიღებას შეესაბამებოდა (სურ. 25).



სურ. 25. ახტალის ქარხნის რეკონსტრუირებული ტექნოლოგიური
სქემა

ახტალის სამართლები ვერცხლისა და ოქონე მოკოვების ისტორიისათვის

ერეკლეს ინიციატივით ამჟავებულ სხვადასხვა სამთო-მეტა-ლურჯიულ საწარმოებს შორის თავიდანვე გამოირჩეოდა ახტალის ქარხანა, რომელიც თბილისიდან სამხრეთით 70 კმ-ის დაშორებით მდებარეობდა. ქარხანაში აღგილობრივი მაღნების გადამუშავების საფუძველზე აწარმოებდნენ ტყვიის და ოქროს შემცველი ვერცხლის გამოღნობას. ამ უკანასკნელიდან კი შემდგომ თეზაფქები ქიმიური წესით ცალ-ცალკე იღებდნენ ოქროს და ვერცხლს. ქარხნის

მუშაობისა და მიღწევების განხილვისას ქართულ ისტორიოგრაფიაში ძირითადად სარგებლობენ ამ ქარხნის ერთ-ერთი მთავარი სპეციალისტის, თეზაფჩ ანასტას პაჯიფეტოვის მოგონებებით, რომელიც საკმაოდ მოგვიანებით გამოქვეყნდა [77]. ვინაიდან მეტალურგიულ ქარხნებში გამოდნობილ ოქროს შემცველი ვერცხლიდან ამ ლითონების ერთმანეთისგან გამოცალგვევებას აზოტმჟავას საშუალებით თეზაფჩი აწარმოებდა, ანასტას თეზაფჩი ღრმად უნდა ყოფილიყო ჩახედული ახტალის ქარხნის ტექნოლოგიურ სქემებში. ამ მოგონებებში საყოფაცხოვრებო მოვლენებთან დაკავშირებით თუ ზოგიერთი უზუსტობა შემჩნევა, ამას ვერ ვიტყვით მის მიერვე გადმოცემულ ტექნოლოგიური ხასიათის ცნობებზე და ამ მონაცემებით სარგებლობა საკებით გამართლებული ჩანს ერეკლეს ქარხნების ისტორიის შესწავლასთან დაკავშირებით. ა.პაჯიფეტოვის მონაცემებს უდავოდ ავსებს და ზოგჯერ კორექტირებასაც კი უწევს ჩვენამდე მოღწეული ერთი საბუთი, რომელშიც ახტალის ქარხნის ოქროსა და ვერცხლის ყოველწლიური შემოსავალი და გასავალი არის აღნუსხული დაახლოებით 1784-1790 წლებში [25, გვ.85-92].

საბუთის გამომცემული ნ.ბერძენიშვილი მას 1790 წლით ათარი-ლებს [25, გვ.85], რაც მთლად ზუსტი არ უნდა იყოს. პატივცემულ-მა მკვლევარმა ეტყობა ყურადღება არ მიაქცია ამ საბუთის ერთ-ერთ ცნობას, რომლის თანახმადაც 1790 წლის ბოლო მონაკვეთში, კერძოდ კი 25 ნოემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით გარკვეული რაოდენობის ძვირფასი ლითონები, კერძოდ კი 2 ლიტრა და 620 დრამამდე ვერცხლი და 50 მისხლამდე ოქრო იქნა გამომუშავებული [25, გვ.9.2]. სწორედ ამ გარემოების გათვალისწინებით ცხადია, რომ საბუთი 1790 წლის ნაცვლად 1791 წლის დასაწყისით უნდა და-თარიღდეს.

საბუთში წონის ძველი ერთეულებით (ლიტრებით, დრამებით და მისხლებით) წარმოდგენილია თვეების ან წლის განმავლობაში ქარხნის მიერ გამოდნობილი ოქროსა და ვერცხლის რაოდენობები. ვინაიდან წონის წილადი მნიშვნელობის გამოსახატვად აქ გამოყნებულია საინტერესო ტექნიკური ნიშნები, ქარხნის ყოველწლი-

ური შემოსავლის განხილვამდე ჯერ ამ ნიშნების მნიშვნელობებს უნდა შევეხოთ.

ტექსტში ძალზე ხშირად წონის წილადური ნაწილის აღსანიშნავად გამოყენებულია შემდეგი ნიშნები: მცირე როლი 0, ჯვრის მსგავსი გამოსახულება + და გამოსახულება 0, რომელიც ბერძნული ასო 0-ს მსგავსია. ამ ნიშნების შესწავლის საფუძველზე აღმოჩნდა, რომ მცირე როლი 0 აღნიშნავს $1/2$ -ს, + შესაბამება $1/4$ -ს, ხოლო 0 - $1/8$ -ის ჭოლია. ტექსტში ეს ნიშნები მოყვანილია როგორც ცალკეული სახით, ისე ერთმანეთთან კომბინაციაში. აღმოჩნდა, რომ თითოეული ეს კომბინაცია წილადების გარკვეულ ჯამს გამოსახავს. კერძოდ, 0-ის და +-ის ერთობლიობა 0+, ნიშნავს $1/2$ -ის და $1/4$ -ის ერთობლიობას, რომლის ჯამიც $3/4$ -ს ($1/2+1/4=3/4$) შეადგენს. იმ საბოლოო სახით აღნიშნავს $5/8$ -ს ($1/2+1/8=5/8$), + 0 კი $3/8$ -ის ($1/4+1/8=3/8$) ტოლია. რაც შეეხება ერთად წარმოდგენილ სამივე ნიშანს 0 + 0, ის 7/8-ს შეესაბამება ($1/2+1/4+1/8 = 7/8$).

საბუთში, როგორც აღვნიშნეთ, მოყვანილია წლების მიხედვით მიღებული ოქროსა და ვერცხლის რაოდენობები, დაწყებული 1784 წლის 10 დეკემბრიდან დამთავრებული 1790 წლის 31 დეკემბრით. წლების მიხედვით ეს რაოდენობები წარმოდგენილი გვაქვს ცხრილში (ცხრ. 8), სადაც პირველ გრაფაში სამუშაო პერიოდებია მოყვანილი, მეორეში – ამ პერიოდების შესაბამისი დღეების რაოდენობა. ამ დროს მოპოვებული ოქრო ცხრილში წარმოდგენილია როგორც ტექსტში მოყვანილ მისხლებში, ისე ჩვენს მიერ გადაანგარიშებულ გრამებში (გამოთვლისას 1 მისხალი = 4,6 გრამს). აქვე მოყვანილია მოპოვებული ოქროს დღიური წარმადობა.

ანალოგიური მონაცემები მოყვანილი გვაქვს ვერცხლისათვის, რომლის წონაც ნუსხის მიხედვით ლიტრებსა და დრამებში არის მოყვანილი (ნუსხის მონაცემების მიხედვით 1 ლიტრა თანამედროვე $3,68$ კგ-ის, ხოლო 1 დრამი $3,15$ გ-ის შესაბამისი აღმოჩნდა). ბოლო გრაფაში წარმოდგენილი გვაქვს მიღებული ოქროსა და ვერცხლის თანაფარდობა 1 კგ. ვერცხლზე მოსული ოქროს რაოდენობის სახით.

ცხრილი 8. ახტალის ქარხნის მწარმოებლობა წლების მიხედვით

| მუშაობის პერიოდი | დღეს რაოდენობა | Au რაოდენობა | | | Ag რაოდენობა | | | 1 კბ აგ-ის ფუსალმანი Au გრამებზე | |
|------------------|------------------------------|--------------|--------|--------------------------|-----------------|----------------|--------------------------|----------------------------------|-------|
| | | მსახური | გრამი | ლილური წარმადისას, გრამი | ლილური და დროში | კოლოფრამი | ლილური წარმადისას, გრამი | | |
| 1 | 10/XII 1784 – 10/V 1785 წ | 152 | 421,33 | 1938,12 | 12,75 | 27 ლ 989 ლრ | 102,48 | 0,67 | 18,91 |
| 2 | 10/V 1785 – 25/VIII 1785 წ | 107 | 429,38 | 1975,15 | 18,46 | 28 ლ 249 ლრ | 103,82 | 0,97 | 19,03 |
| 3 | 25/VIII 1785 – 1/VIII 1786 წ | 341 | - | - | - | - | - | - | - |
| 4 | 1/VIII 1786 – 31/XII 1787 წ | 518 | 662,75 | 3048,65 | 5,89 | 38 ლ 328 ლრ | 140,9 | 0,27 | 21,64 |
| 5 | 1/I 1788 – 31/XII 1788 წ | 365 | 848,79 | 3904,43 | 10,7 | 45 ლ 838 ლრ | 168,2 | 0,46 | 23,21 |
| 6 | 1/I 1789 – 31/XII 1789 წ | 365 | 790,88 | 3638,05 | 9,97 | 45 ლ 123 ლრ | 166,0 | 0,45 | 21,92 |
| 7 | 1/I 1790 – 31/XII 1790 წ | 365 | 1122,6 | 5163,96 | 14,15 | 57 ლ 57 ლრ | 209,9 | 0,58 | 24,6 |

ცხრილი 8-ის მონაცემების გაცნობისას აშკარად თვალშისაცემია პროდუქციის ის განსხვავებული რაოდენობები, რომელსაც ჩვენი დოკუმენტი და სხვა წყაროები თუ პირველწყაროები იძლევა. კერძოდ, ზუსტად ერთი წლის განმავლობაში გამომუშავებული ოქროს და ვერცხლის რაოდენობა ცხრილის თანახმად შეადგენდა: 1788 წელს – 45 ლიტრაზე მეტ ვერცხლს და დახლოებით 848

მისხალ ოქროს, იგივე მონაცემებით 1789 წლისათვის – დაახლოებით 45 ლიტრასა და 791 მისხალს, ხოლ 1790 წლისათვის – 57 ლიტრასა და 1122 მისხალს.

ა.ესაძის თანახმად კი ახტალის ქარხანაში ერეკლეს დროს ყველაზე ხშირად ყოველწლიურად ადნობდნენ 200 ლიტრა (736 კგ.) ვერცხლს, ერთხელ კი გამოდნობილი იქნა სარეკორდო რაოდენობა, 408 ლიტრა (1501 კგ.) ოქროს შემცველი ვერცხლის სახით. თითო ლიტრა ვერცხლიდან კი მიიღებოდა 46 მისხალი (211,6 გ.) ოქრო [112, გვ.14]. თუ ამ მონაცემებს ახტალის ნუსხის მონაცემებს შევადარებთ, გამოდის, რომ აქ გაცილებით მცირე რიცხვებია მოყვანილი. ვინაიდან დოკუმენტში მცდარი მონაცემების მოყვანა (თანაც სისტემატურად) გამორიცხულია და არც ა.ესაძის ცნობებში შეიძლება ეჭვის შეტანა. წამოჭრილი წინააღმდეგობის დასაძლევად ერთადერთი გზაა აღნიშნული მონაცემები ვცნოთ ქარხნის არა სრულ, არამედ ნაწილობრივ შემოსავლად. რადგან ცნობილია, რომ ვერცხლის შემოსავლიდან მეფეს 25%, ხოლო ბერძნებს 75% ეკუთვნოდა, დოკუმენტში სწორედ მეფის შესაბამისი 25%-იანი შემოსავალი უნდა იყოს ნაგულისხმევი, აქედან გამომდინარე ქარხნის სრული შემოსავალი მოცემული რიცხვების 4-ზე გამრავლებით მიიღება (იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ბერძნების ვერცხლის 75%-იანი შემოსავლიდან ოქრო მთლიანად მეფეს ეკუთვნოდა).

ამ მოსაზრების დამადასტურებელ ცნობას ჩვენ ახტალის დოკუმენტშივე მივაკვლიეთ. კერძოდ, 1790 წლის ოქროს ხარჯთან დაკავშირებით აქ აღნიშნულია, რომ „მის უმაღლესობას მირთმევია ნოემბერში და დეკემბერში მისული ვერცხლიდან გამოსული ოქრო მისხალი სი“ [25, გვ.92]. ამავე დროს, ცოტა ქვემოთ, ისევ ამ წლისათვის ოქროს შემოსავალთან დაკავშირებით საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ 35 დღის განმავლობაში, 25 ნოემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით მიღებული ვერცხლიდან გამოყოფილი იქნა 50,75 მისხალი ოქრო. აქედან ჩანს, რომ ორი თვის ანუ 61 დღის განმავლობაში, ე.ი. 1 ნოემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით საგარაუდოდ მიღებული უნდა ყოფილიყო 88,45 მისხალი ოქრო

$(\frac{X}{50,75} = \frac{61}{35}; X = 88,45)$. ზუსტად ორ თვეში მეფისათვის მირთმეული ოქრო როგორც ვხედავთ 200,5 მისალს შეადგენს. სამწუხაროდ ნუსხაში არ არის აღნიშნული, ეს წარმოადგენს ამ ორ თვეში გამომუშავებულ სრულ თუ არასრულ რაოდენობას. მაგრამ ის ფაქტი, რომ 575-ის ნაცვლად სახეზე ჩანს 288,95 მისალი (200,5+88,45=288,95), თავისთვის ძალზე ნიშანდობლივია. 288,95 რიცხვი დაახლოებით 3,3-ჯერ მეტია 88,45-ზე, ხოლო 3,3 საკმაოდ ახლოს დგას რიცხვი 4-თან, რაც ჩვენი მოსაზრების სისწორეს ადასტურებს.


აქედან გამომდინარე ცხრილი 8-ის საფუძველზე ჩვენ შევადგინეთ ახტალის ქარხანაში აღნიშნული წლების მანძილზე გამოდნობილი ოქრო-ვერცხლის სრული რაოდენობის ცხრილი, რომელიც როგორც აღვნიშნეთ, ცხრილი 8-ის შესაბამისი მონაცემების 4-ზე გამრავლებით მიღება. ვინაიდან ოქროს რაოდენობა აქ უკვე მნიშვნელოვან სიღიდეს წარმოადგენს, ის ამჯერად ლიტრებით და კილოგრამებით წარმოვადგინეთ (ცხრ. 9). აქეევა წარმოდგენილი ვერცხლისა და ოქროს დღიური წარმადობაც (სურ. 26). ცხრილში მოყვანილი ოქროს მთელი რაოდენობა მეფის საკუთრება იყო, ხოლო ვერცხლი, როგორც ზემოთ აღინიშნა, მეფესა და ბერძნებს შორის ნაწილდებოდა.

როგორც ცხრილი 9-დან ჩანს, ომარ-ხანის თავდასხმამდე ქარხანა შედარებით მაღალი წარმადობით გამოირჩეოდა. დღე-დამეში მეფის წილად მიღებოდა დაახლოებით 0,7-1,0 კგ ვერცხლი, რომლისგანაც გამოიყოფოდა 12-18 გრამამდე ოქრო (სრული პროდუქციისათვის კი ვერცხლი 2,8-4,0 კგ-ს, ხოლო ოქრო 48-72 გრამს შეადგენდა).

როგორც ირკვევა, 1785 წლის 25 აგვისტოდან 1786 წლის 1 აგვისტომდე საწარმოში მუშაობა შემწყდარა, რასაც გვაუწყებს ნუსხის შემდეგი ჩანაწერი: „ქვს უოგ, მარიამობის კე-დამ ქვს უოდ მარიამობის დამდექამდენ, მაღანი აღარ უმუშავნია, მომცდარი ყოფილა” [25, გვ.86].

ცხრილი 9. ვერცხლისა და ოქროს ყოველწლიური სრული შემოსავალი ახტალის ქარხანაში

| | მუშაობის პერიოდი | დღეთი რაოდენობა | Au რაოდენობა | | Ag რაოდენობა | | 1 კგ Au-ის შემდებარების აღწევი |
|---|------------------------------|-----------------|--------------|------------|--------------|------------|--------------------------------|
| | | | ლიტრა | კილო-გრამი | ლიტრა | კილო-გრამი | |
| 1 | 10/XII 1784 - 10/V 1785 წ | 152 | 2,10 | 7,75 | 112,0 | 409,92 | 18,95 |
| 2 | 10/V 1785 - 25/VIII 1785წ | 107 | 2,15 | 7,90 | 112,79 | 415,08 | 19,07 |
| 3 | 25/VIII 1785 - 1/VIII 1786 წ | | - | - | - | - | - |
| 4 | 1/VIII 1786 - 31/XII 1787 წ | 518 | 3,31 | 12,19 | 153,15 | 563,60 | 22,02 |
| 5 | 1/I 1788 - 31/XII 1788 წ | 365 | 4,12 | 15,18 | 182,83 | 672,00 | 22,70 |
| 6 | 1/I 1789 - 31/XII 1789 წ | 365 | 3,95 | 14,55 | 180,43 | 664,02 | 18,68 |
| 7 | 1/I 1790 - 31/XII 1790 წ | 365 | 5,61 | 20,66 | 228,15 | 839,60 | 24,78 |



სურ. 26 ვერცხლისა და ოქროს დღიური წარმადობა

ასეთ მოცდენას თავისი მიზეზი ჰვენდარწმუნებით შეიძლება 20 სექტემბრიდან ათვლილ პერიოდს და-გუკავშიროთ, როდესაც საწარმოს ომარ-ხანის ლაშქარი შემოესია და ყველაფერი გაანადგურა, რისი განადგურებაც შეიძლებოდა. ამ ფაქტზევე მიუთითებს ა.პაჯიფეტოვიც, როდესაც აღწერს 20 სე-ქტემბერს დატრიალებულ მოვლენებს [77]. მაგრამ ნუსხაში დასახ-ელებული „მოცდენის“ პერიოდის თარიღები მნიშვნელოვნად განსხ-ვადება ა.პაჯიფეტოვის თარიღებისგან. ა. პაჯიფეტოვის მიზევით საწარმოს საქმიანობა 1785 წლის 20 სექტემბრიდან შეწყდა და ის ორი წლის განმავლობაში, ე.ი. იგულისხმევა, რომ 1787 წლის სექტემბრამდე არ განახლებულა. ნუსხის მონაცემებით კი მუშაობა არა 20 სექტემბერს, არამედ 25 აგვისტოს შეწყვეტილა. ცხადია, რომ ეს 25-დღიანი „მოცდენა“ რაღაც სხვა მიზეზით იყო გამოწვეუ-ლი, რომელიც შემდგომ, ე.ი. 20 სექტემბრიდან უკვე ომარ-ხანის შემოსევის შედეგად გაგრძელდა. სამწუხაროდ ამ 25 აგვისტო – 19 სექტემბრის პერიოდის „მოცდენის“ მიზეზი ჩვენთვის ცნობილი არ არის. მაგრამ ამ „მოცდენას“ მართლაც რომ პერიოდი ადგილი, ეს ეჭვს არ იწვევს ნუსხის სანდობის გათვალისწინებით (გამორ-იცხულია, რომ პროდუქციის შემოსავალთან დაკავშირებით ზუს-ტად არ ყოფილიყო ფიქსირებული სამუშაო დღეების რიცხვი). ნუსხის მონაცემები ა.პაჯიფეტოვის მონაცემებს არც მოცდენის ხან-გრძლივობასთან დაკავშირებით თანხდება. ნუსხიდან აშკარად ჩანს, რომ საწარმოს აღდგენას ადგილი პერიოდი 1786 წლის 1 აგვისტოდან, ე.ი. „მოცდენა“ არა 2 წელიწადს, არამედ მხოლოდ 11 თვის და 6-7 დღის განმავლობაში გაგრძელებულა. ცხადია ამ შემთხვევაშიც ნუსხის ცნობა უფრო სწორი უნდა იყოს, ვინაიდან ის მოვლენების თანადროულია. როგორც აღვნიშნეთ, მის მონაცემებში რაიმე უზუს-ტობის გაპარვა გამოირიცხულია, ვინაიდან ოქროსა და ვერცხლის გასავალ-შემოსავალზე მეფის მოხელეების მხრივ უმკაცრესი კონ-ტროლი იყო დაწესებული. დარბეული საწარმოს ასეთი სწრაფი ტემპებით აღდგენა თავისთვად მიუთითებს იმ გარემოებაზე, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ საწარმოს მეფე ერეკლე.

ცხრილებიდან აშკარად ჩანს აგრეთვე, რომ აღდგენილ საწარ-მოში გამოშვებული პროდუქცია შედარებით ნაკლები იყო ოქრო-ვერცხლის იმ რაოდენობაზე, რასაც ახტალა გამოიმუშავებდა ომარ-ხანის თავდასხმამდე. მაგრამ ამასთან ერთად ისიც აშკარად ჩანს, რომ საწარმო ამ თავდასხმის შემდგომ თანდათან წელში იმართებოდა და ადგილი პერიოდი ყოველწლიურად პროდუქციის რა-ოდენობრივ მატებას. ეს მატება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო 1790 წლის შემდგომ წლებში, მაგრამ სამწუხაროდ ამის შესახებ სათანადო მონაცემები არ მოგვეპოვება. თუმცა ჩვენ ხელთ არ სებული მონაცემების მიხედვითაც არ უნდა იყოს სწორი ის მოსაზრება, რომ ომარ-ხანის შემოსევამ წელში გატეხა ახტალის ქარხანა [77].

აქე უნდა შევეხოთ იმ განსხვავებულ რაოდენობრივ მონა-ცემს, რომელსაც ა.პაჯიფეტოვი იძლევა ოქროს შეტველ ვერცხლში ოქროსა და ვერცხლის თანაფარდობასთან დაკავშირებით. როგორც ცხრილების ბოლო გრაფიდან ჩანს, ქარხანაში მიღებულ 1 კგ ვერ-ცხლზე მოსული ოქროს რაოდენობა 18,9-24,8 გრამს შეადგენდა. ა.პაჯიფეტოვის განცხადებით კი ყოველი ლიტრა ვერცხლიდან 46 მისხალი ოქრო მიიღებოდა [112, გვ.14]. თანამედროვე წონით ერ-თეულებში, ლიტრას კიღლოგრამებში, ხოლო მისხლების გრამებში გადაყვანისას, 1კგ. ვერცხლს 57,5 გრამი ოქრო შეესაბამებოდა. ე.ი. ჩვენს მიერ განხილული ნუსხისგან განსხვავებით მისი მონაცემებით ახტალაში ერთი ლიტრა ვერცხლიდან ორჯერ და სამჯერ მეტი ოქრო მიიღებოდა.

ცხადია, რომ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საწარმოში მიღებული პროდუქცია მეფის მოხელეების მიერ მკაცრად კონტროლდებოდა და ამიტომაც ნუსხის მონაცემები ა.პაჯიფეტოვის მონაცემებთან შედარებით მეტი ნდობას იმსახურებს. ამასვე ადასტურებს ერთი საინტერესო მონაცემი, რომელსაც ჩვენ ს.გულიშამბაროვის წიგნში მივაკვლიეთ. ამ ცნობის თანახმად, 1802 წლიდან 1816 წლამდე რუსეთის სახაზინო სამსართველოს დაქვემდებარებაში გადასულ ახ-ტალის ქარხანაში ერთ ფუნტ ვერცხლზე $2\frac{3}{4}$ მისხალი ოქრო

იღებოდა [85, გვ.172]. ვინაიდან 1 ფუნტი 0,41 კილოგრამს, ხოლო რუსული მისაღლი 4,266 გრამს შეესაბამება, თანამედროვე წონითი ერთეულებით გამოდის, რომ 1 კილოგრამ ვერცხლზე 28,6 გრამი ოქრო მოდიოდა. ეს 28,6 გრამი კი ზუსტად ქართული მონაცემის (18,9-24,8 გ) რიგისაა. ასე რომ ქართული ნუსხის მონაცემების უტყუარობა ამ შემთხვევაშიც ერთმნიშვნელოვნად დასტურდება. ახტალის ქარხნის ნუსხა ქართული ტექნიკის და მეცნიერების ისტორიისათვის ძალზე საყურადღებო დოკუმენტია, ვინაიდან მისი მსგავსი სხვა სააღრიცხვო ნუსხა ჩვენ არ მოგვეპოვება.

6. სპეციალური და მარტივი სამართლებულოების დამამართვის საჭარმოები თაღილისში

ერეკლესული ქარხნების მიერ გამოშუშავებულმა დიდი რაოდენობის პროდუქციამ, თბილისში ლითონების გადამამუშავებელი მრავალრიცხოვანი საწარმოს გაჩენა გამოიწვია. მზა პროდუქციის მოთხოვნილების მიხედვით აქ მუშავდებოდა სპილენძი, რკინა, ტყვია და ოქრო-ვერცხლი. ამდენად საწარმოებს გამოშვებული პროდუქტის მიხედვით განვიხილავთ.

სპეციალური სამართლების დამამართვის საჭარმოები

ახტალის და სპილენძის სხვა ქარხნებში რომ ძალზე მაღალი ხარისხის სპილენძს ადნობდნენ, ეს ნათლად ჩანს მთელი რიგი იმდროინდელი საარქივო დოკუმენტებიდან. ა.მუსინ-პუშკინი 1800 წლის ნოემბრის თვეში საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ თბილისში გასაყიდად გამოტანილი სპილენძი იშვიათი სიმტკიცითა და ზარისხით გამოირჩეოდა [40]. ასეთ შეფასებას ადასტურებს მეორე საარქივო დოკუმენტიც, რომელშიც მოყვანილია აღმოსავლეთის ქალაქები, ერევანი, ხოე, თავრიზი, შემახია, ბაქო, სადაც ეს პროდუქცია საქართველოდან გასაყიდად გაჰქონდათ. ბაქოდან სპილენძი გემებით მაზანდარანსა და გილანში გადაკენდათ. იგზავნებოდა როგორც სპილენძის ლუგვები, ისე ფურცლოვანი ლითონი [44]. ქარხნებში გამოდნობილი სპილენძი თბილისში ძირითადად ორი ტიპის საწარმოში მუშავდებოდა. ერთში ყოფითი და საოჯახო ჭურჭელი მზადდებოდა ფურცლოვანი სპილენძისაგან, ხოლო მეორე ფაქტობრივად ქარხანას წარმოადგენდა, სადაც ძელაკი სპილენძის ხარჯზე ზარბაზნების ჩამოსხმას აწარმოებდნენ.

ყოფითი და საოჯახო დანიშნულების სპილენძის ნაკეთობები

საერთოდ, რკინის შემდეგ, სპილენძი ყველაზე ფართოდ გავრცელებულ ლითონად ითვლება, მაგრამ XVIII ს. მეორე ნახევრის საქართველოში, საქართველოში, წარმოების სპილენძის დიდი რაოდენობით გამოშვებამ ფერადი ლითონის ნაწარმი რკინის პროდუქციის გვერდით დაყენა. წითელი სპილენძისგან, რომელიც სხვა ლითონური მინარევებიდან თავისუფალ სუფთა ლითონს წარმოადგენს, ძველთაგანვე სხვადასხვა ნაკეთობებს უპირატესად გამოჭედვით და იშვიათად ჩამოსხმით ამზადებდნენ. ჩამოსხმისათვის წითელი სპილენძი მოუხერხებელია, ვინაიდან აირების გამოყოფის გამოფორვანი სახით მყარდება, დამაკმაყოფილებელი მყარი სხმულები კი მხოლოდ დიდი მცდელობის პირობებში მიიღება. სამაგიეროდ სპილენძი ძალიან ადვილად მუშავდება ჭედვით, რასაც განაპირობებს მისი სიბლანტე და პლასტიკურობა. ჭედვით მიღებული ნაკეთობების დასამზადებლად უპირატესად ფურცლოვანი სპილენძი გამოიყენება, რომელსაც დიდი რაოდენობით ამზადებდა ალავერდის სპილენძის ქარხანასთან მოქმედი დამხმარე საწარმო. ნაკეთობების ფურცლოვანი დეტალების ერთმანეთთან შეერთება დამოქლონებით ხორციელდებოდა. სპილენძის ფურცლების ნაკრები ნაწილების ერთმანეთთან შეერთება რჩილვით სრულდებოდა (სარჩილი თუთიასთან ერთად სხვადასხვა შედგენილობის სპილენძის შენაღნობს შეიცავდა).

ფურცლოვანი სპილენძისგან იღებდნენ აგრეთვე მიღებს, რომლებიც ყოფით პრაქტიკაში დიდი მოთხოვნილებით სარგებლობდა. მათ დასამზადებლად რკინის ცილინდრებს გარშემო ჭედვით ერტყმებოდა სპილენძის ფურცლის ზოლი, რომლის ნაწილურებსაც ერთმანეთთან ისევ რჩილვით აკავშირებდნენ [95, გვ.454-457].

დროთა განმავლობაში სპილენძის ამა თუ იმ ნივთის თუ გარკვეული მიზეზების გამო დანიშნულებისამებრ ვეღარ იყენებდნენ, ლითონის უტილიზაციის მიზნით ხშირად მიმართავდნენ ნივთის ხელმეორედ გადაღნობას. ეს ღონისძიება საკმაოდ სუფთა სპილენძის

მიღებას უზრუნველყოფდა, ვინაიდან გადაღნობის პროცესში ყოველგვარი მინარევი ნადნობის ზედაპირზე გროვდებოდა და მექანიკური გზით ადვილად შორდებოდა სპილენძის. ზოგიერთი მდნობის დამატება მინარევების გაცილებით დიდი რაოდენობით აწიდვას ახდენდა და სპილენძიც კიდევ უფრო სუფთა სახით მიიღებოდა [95, გვ.457].

ალავერდში მოპოვებული სპილენძის ძირითადი ნაწილი ძელაკების ან ფურცლების სახით თბილისში ჩამოჰქონდათ და აქ მას სხვადასხვა პროფილის სახელოსნოებში ანაწილებდნენ. სახელოსნოები რომ უდავოდ მსხვილ საწარმოებს წარმოადგენდა, ეს ნათლად ჩანს ერთი მაგალითიდან: 1799 წელს ქალაქის მელიქს მექებების საწარმოსგან უსესხებია 100 ბათმანი ანუ 800 კგ სპილენძი [25, გვ.131]. 800 კგ კი საკმაოდ შთამბეჭდავ ციფრს წარმოადგენს და გვიჩვენებს, თუ რამდენად დიდი უნდა ყოფილიყო ამ საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა. გასათვალისწინებელია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ სპილენძის ყველა ჭურჭლის შიდა ზედაპირი, რომელიც საჭმლის დასამზადებლად გამოიყენებოდა, აუცილებლად მოკალული უნდა ყოფილიყო. 1778-1787 წწ. ერთ-ერთ დოკუმენტში მაგალითად, ქვაბების და ტაფების მოკალვისათვის გადახდილი თანხაც არის მოყვანილი („ქვაბები და ტაფები დაკალეს – ორი აბაზი“) [25, გვ.221]. სამწუხაროდ თვით კალასთან დაკავშირებით ძველ ქართულ წერილობით წყაროებში რაიმე მნიშვნელოვანი ცნობის მოკვლევა ვერ მოხერხდა. მაგრამ ერთი რამ უდავოა: საოჯახო ჭურჭლის დამზადებელი საწარმოები ამ ლითონს ყოველდღიურად ძალზედ დიდი რაოდენობით ხარჯავდნენ, ვინაიდან ამას მოითხოვდა მოსაკალავი სპილენძის ჭურჭლის განუსაზღვრელი რაოდენობა.

სპილენძის ჭურჭელთან დაკავშირებით არ შეიძლება არ შევეხოთ ძველი ქართული დოკუმენტური მასალისთვის დამსასიათებელ ერთ თავისებურებას – საუკუნეების განმავლობაში ერთი-ორი სიგელის გარდა, ლითონის ნაკეთობები ცნობილ სიგელ-გუჯრებში საერთოდ არ არის მოხსენიებული. ამ მხრივ აშეარად გამოირჩევა XVIII ს. მეორე ნახევარში, განსაკუთრებით 70-80-იან წლებში და შემდგომში

შედგენილი საბუთები, სადაც აშკარად ჩანს ლითონისგან დამზადებული ნაკეთობების განსაკუთრებული ადგილი ყოფით და საოჯახო გარემოში.

თბილისის სპილენძის ჭურჭლის დამამზადებელი საწარმოების პროდუქცია მრავალრიცხოვნებასთან ერთად მრავალფეროვნებითაც გამოირჩეოდა. დოკუმენტური მონაცემებიდან ირკვევა, რომ თბილისში ამზადებდნენ შემდეგი დასახელების სპილენძის ჭურჭლის: ავგარდანებს (დიდ ჩამჩებს), არყის და წამლების გამოსახდელ ქვაბებს, ალთაფებს (სპილენძის ლულიანი ხელსაბანი), ზარფუშებს (სახურავებს), თუნგებს, თუშფალანგებს, კოკებს, ლამპაქებს, ლანგრებს, სინებს (ლანგრებს), ტაშტებს, ტაფებს, ქაფქირებს, ქვაბებს, ყაბებს (ფლავის სინებს), ყავაღნებს, ჩაიღნებს და ჯამებს [25, გვ.260, 290, 386, 401, 504]. ამ ნუსხაში ზოგიერთ სახელწოდებას, რომელიც დღეს გაუგებარია, ჩვენ ფრჩხილებში დავურთეთ განმარტებები ნიკო და დავით ჩუბინაშვილების ლექსიკონებიდან. წარმოდგენილ სიასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ჭურჭლეული სინამდვილეში უფრო მრავალფეროვანი იყო, ვიდრე ეს ამ სიიდან ჩანს. საქმე იმაშია, რომ აქ ჩვენ ზოგიერთი მათგანი ზოგადი სახით, მისი სახეობების დასახელების გარეშე არ წარმოვადგინეთ, რადგან ისინი მხოლოდ ზომებით განსხვავდება ერთმანეთისაგან. ეს კარგად ჩანს ტაშტის მაგალითზე. აღნიშნულ სიებში გახვდება სპილენძის „ხელსაბანი ტაშტი“, „მოდიდო ტაშტი“, „მომცრო ტაშტი“ და სხვა. ერთ შემთხვევაში კი ტაშტების მთელი კომპლექტი არის წარმოდგენილი დასახელებით: „სამი დიდი ტაშტი საბანოვე, სამი ერთმანეთის მიმდევნო სპილენძისა“ [25, გვ.504].

ერეკლეს მმართველობის პერიოდისათვის დამახასიათებელი სპილენძის ჭურჭლის ეს ნამდვილად თვალშისაცემი მრავალფეროვნება და მრავალრიცხოვნება, სამწუხაროდ, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, დიდხანს არ გაგრძელებულა. ის ფაქტი, რომ XIX ს. დასაწყისში სპილენძის წარმოებამ და სპილენძის ჭურჭლის დამამზადებელი საწარმოების საქმიანობამ ფაქტობრივად სრული სტაგნაცია განიცადა, კიდევ უფრო წარმოაჩენს ერეკლეს ნამოღვაწარს

— გაცილებით მძიმე პირობების მიუხედავად ერეკლემ შემღობარტო ყველა სახის საწარმოს ამუშავება, არამედ მათი წარმადობის საგრძნობი ამაღლებაც.

ზარბაზნების ჩამოსხმა

თბილისის ზარბაზნების ჩამოსხმელი ქარხნის ტექნოლოგიური სქემა ჩვენამდე სამწუხაროდ მოღწეული არ არის, მაგრამ დაბეჭითებით შეიძლება იმის მტკიცება, რომ ის რუსულ-ევროპულ ტექნოლოგიაზე იყო დაფუძნებული. ამის საფუძვლს გაძლიერ მთელი რიგი განსხვავებული შინაარსის ცნობები, რომლებიც განსხვავების მიუხედავად ერთმიშნეულოვნად უსვამენ ხაზს ქართველი მეზარბაზნების მიერ რუსულ-ევროპული გამოცდილების გამოყენებას.

რუსულ-ევროპული ტიპის ზარბაზნების ჩამოსხმას საქართველოში სათავე დაუდო პაატა ბატონიშვილმა, ვახტანგ VI-ის ძემ, რომელიც 1752 წელს ჩამოვიდა რუსეთიდან. მისი თანამედროვე ისტორიკოსების, პაპუნა ორბელიანის და ომან ხერხეულიძის დახასიათებით იგი „რუსეთს სასწავლოში ყოფილიყო, უსწავლია არტილერია, საქმე თოფხანისა“ და „იყო კაცი ესე ფრიად მეცნიერ“ [30, გვ.191, 65, გვ.284]. რუსეთში განსწავლული ბატონიშვილი მრავალი ტექნიკური სიახლის შემომტანი იყო საქართველოში, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი ზარბაზნების ჩამოსხმასთან იყო დაკავშირებული. საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცულია ქვემეხი, რომელზედაც ამოტვიფრულია ერეკლეს მამის, მეფე თეიმურაზ II-ის სახელი. იქვე ამოტვიფრულია თარიღი, რომელსაც კჩოლოფაშვილი 1750 წლად მიიჩნევს [54]. სინამდვილეში 17 და 0 ევროპული ციფრებითაა გადმოცემული, ხოლო კ.ჩილოფაშვილის მიერ დაეჭვებით 5-ად ამოკითხული ციფრი აღმოსავლურ, არაბულ ციფრს (၇) წარმოადგენს და ის 6-ს აღნიშნავს (ასეთ აღრევებს საქართველოში ევროპული ციფრების დამკვიდრებამდე ხშირად ჰქონდა ადგილი XVIII ს-ში) [69]. ასე რომ, წარმოდგენილი თარი-

ღი რეალურად 1760 წელს აღნიშნავს. ამ წელს კი აღნიშნული ზარბაზნების ჩამომსხმელი პაატა ბატონიშვილი უნდა ყოფილიყო, რომელიც, როგორც აღნიშნეთ, 1752 წლიდან საქართველოში იმყოფებოდა. სამწუხაროდ პაატა ერეკლეს წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობის გამო 1765 წელს სიკვდილით იქნა დასჯილი. როგორც ეტყობა, მისი დამსახურებით იყო განპირობებული ის ფაქტი, რომ ერთი წლის შემდეგ საქართველოში ჩამოსულ იდელაპორტს პირადად უნახავს, რომ „თბილისში ასხამენ ზარბაზნებს, მორტირებს და ყუმბარებს“ [105, გვ. 84].

პაატას შემდეგ ქართულ არტილერიას და მისი აღმშენებლობის საქმეს სათავეში ჩაუდგა თოფჩიბაში გიორგი თარხანი (თოფჩიბაში ქართული საარტილერიო უწყების უფროსის თანამდებობას წარმოადგენდა). ის ამ თანამდებობაზე მოიხსენიება 1776 წელს [20, გვ. 267]. შემდგომ წლებში მასთან ერთად ამ თანამდებობას იყოფდა ძალზე კვალიფიცირებული სპეციალისტი პაატა ანდრონიკაშვილი, რომელმაც რუსი ისტორიკოსის ნ.ბუტკოვის ცნობით „ცოდნა საარტილერიო მეცნიერებაში მიიღო რუსეთში“ [74, გვ.287]. 1780 წლიდან კი პაატა ანდრონიკაშვილი ქართული არტილერიის ერთპიროვნული მმართველი გახდა [20, გვ.269]. თოფჩიბაშების გარდა ქართული არტილერიის განვითარებასა და სრულყოფაზე სხვა სათანადოდ განსწავლული პირებიც ზრუნავდნენ. ცნობილია, რომ 1784 წელს დავით ბატონიშვილის აღსაზრდელად ერეკლეს მიერ მოწვეულ ავსტრიელ იოსებ გეტინგს, მეფისავე დავალებით, ზარბაზნები გაუკეთება [20, გვ.267]. თეიმურაზ ბაგრატიონი არტილერიის საკითხებში ძალზე განსწავლულ პიროვნებად ასახელებს გიორგი თუმანიშვილს, რომელიც მისი ისტყვებით „იყო ერთი უპირველესთა მოხელეთაგანი არტილერიისა და მეცნიერიცა არტილერიის ხელოვნებისა“ [5, გვ.32]. გიორგი თუმანიშვილმა თოფხანაში სამსახური დაბალი თანამდებობით – თოფჩიბით დაიწყო (ის როგორც ყველა მაღალი კლასის წარმომადგენელი, ვალდებული იყო თოფხანაში მუშაობა და სწავლა უმდაბლესი თანამდებობიდან დაეწყო). დადი გულმოდგინების წყალობით, როგორც ეტყობა, გ.თუმანიშვილმა

საკმაოდ მოკლე დროში საფუძვლიანი ცოდნა შეიძინა არტილერიის დარგში, რაც შესაბამისად აისახა მის თანამდებობრივ მდგომარეობაზეც: მას ჯერ უნტერ-ოფიცირობა, შემდეგ სერეანტობა და ბოლოს, 1784 წელს, კაპიტნობა მიენიჭა [20, გვ.269-270].

ქართული არტილერიის მესვეურთა ეს ჩამონათვალი ურთმნიშვნელოვნად მიუთითებს თბილისის ქარხანაში, ანუ თეიმურაზ ბატონიშვილის ტერმინოლოგით „არტილერიის სახლში“, ზარბაზნების რუსულ-ევროპული წესით ჩამოსხმაზე. არსებობს კიდევ სხვა და შეიძლება ითქვას უფრო პირდაპირი ცნობები ამ საკითხთან დაკავშირებით. ამ ცნობებს განეკუთვნება გიორგი თარხანის ჩანაწერი, რომელიც ჩვენ ზემოთ სრულად მოვიყვანეთ [51]. აქ კი შემოვთარგლებით წინადადებით: „ირაკლიმ მიბრძანა რუსულს დასტურზე არტილერიის გაკეთება“. ასევე საყურადღებოა ნ.ბუტკოვის ცნობა, რომ პაატა ანდრონიკაშვილმა „მოაწყო თბილისში ჩამოსახმელი სამქრო, სადაც გადაადნო ზარბაზნები და ჩამოსხმა ისინი ევროპული კალიბრების მიხედვით“ [74, გვ.287]. არანაკლები მნიშვნელობა აქეს თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობასაც, რომლის თანახმადაც „არტილერიის სახლის“ პროდუქციას შეადგენდნენ ზარბაზნები „სწავლულთაგან არტილერიისა ხელოვნებისათა შთამოსხმულინი“ [5, გვ.39].

ამრიგად, ზარბაზნების ჩამოსხმა „რუსულ დასტურზე“, „ევროპული კალიბრების მიხედვით“ და „სწავლულთაგან არტილერიისა ხელოვნებისათა“, „ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს ქართული ზარბაზნების რუსულ-ევროპული წესით დამზადებაზე. აქედან გამომდინარე, „არტილერიის სახლში“ გამოყენებული ჩამოსხმის წესების რეკონსტრუირება დიდი სიზუსტით შეიძლება იმდორინდელი რუსულ-ევროპული ზარბაზანთმშენებლობის წესების გათვალისწინებით.

XV საუკუნის დასაწყისის ევროპაში მიგნებულ იქნა ბრინჯაოს შედგენილობა, რომელიც XX საუკუნეშიც კი გამოიყენებოდა „ზარბაზნის ბრინჯაოს“ სახელწოდებით. სხვათა შორის, ამ ბრინჯაოს მოხელეებს ვახტანგ VI თავის ქიმიის სახელმძღვანში „ზარბაზნის სინის“ სახელწოდებით [15, გვ.215]. „ზარბაზნის ბრინჯაო“

შეიცავდა 8-12% კალას და 88-92% სპილენძს და ეს შედგენილობა XV საუკუნიდან არ შეცვლილა, იცვლებოდა მხოლოდ ზარბაზნის ჩამოსხმის წესი. ჯერ ზარბაზნის ლულას მზა ღარით ასხამდნენ, რისთვისაც ფორმაში ჩასმული იყო ცილინდრული ღერო. მაგრამ ასეთი ლულის ჩამოსხმისას მიიღებოდა არათანაბარი შედგენილობის მასალა (კალით ყველაზე უფრო ღარიბი და მაშასადამე ყველაზე უფრო რბილი ნაწილი მიიღებოდა ლულის ღართან ახლოს მდებარე წრიულ ზოლში). ასეთი ლულა ძალზე მაღლე გამოდიოდა წყობიდან და ამიტომ საჭირო იყო სხვა მეთოდის შემუშავება, რომელიც ჩამოსხმული ლულის ყველა ნაწილში ბრინჯაოს შედგენილობის მუდმივობას უზრუნველყოფდა [86, გვ.294]. 1765 წელს საფრანგეთში შემოიღეს იარაღის მთლიანი ლუგის ჩამოსხმა, რომელსაც ღარი ჩამოსხმის შემდეგ გაბურღვით უკეთდებოდა. ამ ტექნიკურმა სიახლემ უზრუნველყო ლულის ყველა ნაწილში ბრინჯაოს შედგენილობის ერთგაროვნება. ამის შემდგომ ევროპაში ზარბაზნებს მხოლოდ ბურღვით ამზადებდნენ და მხოლოდ მორტირებისათვის იყენებდნენ ძველ წესს, რომელიც ლულის მზა ღარით ჩამოსხმას ითვალისწინებდა [95, გვ.527].

„ზარბაზნის ბრინჯაოს“ დასამზადებლად ევროპაში ჯერ ლუმელის ქვედზე ანდობდნენ სპილენძს და შემდეგ მასში მცირე ულუფებით შეჰქონდათ გაცხელებული კალა. ამასთან ერთად, უშუალოდ კალის დამატების წინ ლუმელში აძლიერებდნენ ცეცხლს [95, გვ.517]. მიღებული ბრინჯაოდან ზარბაზანი ჩამოსხმებოდა ვერტიკალურ მდგომარეობაში და საკმოდ მნიშვნელოვანი ნამეტით, რომელსაც ნამზადის გაცივების შემდეგ ქლიბით აცილებდნენ და როგორც მასალას, იყენებდნენ შემდგომი ჩამოსხმებისათვის. ამ ნამეტში გადადიოდა არათანაბარი შედგენილობის შენაღნობების დიდი ნაწილი, ლითონთა ოქსიდები და აირების ბუშტულები [95, გვ.528]. XVIII ს. მეორე ნახევრის ზარბაზნების ევროპული წარმოების მონაცემების გათვალისწინებით, ჩვენი ყურადღება მიიქცა აკლიმატიზების მიერ წარმოდგენილმა 1787 წლის დოკუმენტმა, რომელშიც განიხილება „თოფხანის ხურო-დურგლებისა და მბურღავ-მქლიბავების“ ხელფასი [20].

თოფხანაში „მბურღავების“ და „მქლიბავების“ არსებობა ერთმნიშვნელოვნად მეტყველებს იმ გარემოებაზე, რომ 1787 წელს ზარბაზნების დამზადება თბილისის ჩამოსასხმელ ქარხანაში იმ უახლესი წესით წარმოებდა, რომელიც 1765 წელს შემოიღეს საფრანგეთში და რომელიც ბოლო სტადიებზე ჩამოსხმული ლუგვის გაბურღვას და მისი ზედაპირის ნამეტისაგან გაქლიბვით მოცილებას ითვალისწინებდა.

ამის შემდეგ გასაგები ხდება ნ.ბუტკოვის ცნობა, თუ რატომ გადაადნო პაატა ანდონიკაშვილმა უკვე არსებული ზარბაზნები და ხელახლა რატომ ჩამოასხა „ისინ ევროპული კალიბრების მიხედვით“. ასე რომ, 1780 წლიდან (როდესაც პაატა ერთპიროვნულად ჩაუდგა სათავეში თოფხანას) 1787 წლამდე რომელიდაც წელს პაატა ანდონიკაშვილმა განახორციელა დიდი რეფორმა ქართული ზარბაზნების წარმოებაში და შემოიღო იარაღის ლუგვის მთლიანი სახით ჩამოსხმა და შემდეგ გაბურღვით მისი ლულის დამზადება. ამ მხრივ იგი პაატა ბატონიშვილსა და გიორგი თარხანზე გაცილებით წინ წავიდა. თუმცა ამ უკანასკნელებმა ქართული ზარბაზნის წარმოება რუსულ-ევროპულ დონემდე აიყვანეს, მაგრამ მათვის, როგორც ეტყობა უცნობი დარჩა ევროპაში 1765 წელს შემოღებული ინოვაციური სიახლეები ზარბაზნების წარმოებაში. რაც შეეხება მორტირებს, რომლებსაც თბილისში ი.დელაპორტის ცნობით ასევე ასხამდნენ, მისი დამზადების წესი ევროპული ქარხნების ანალოგიური (უცვლელი) უნდა ყოფილიყო.

ზარბაზნებისათვის საჭირო „ზარბაზნის ბრინჯაოს“ უდავოდ ქარხანაში ანუ „არტილერიის სახლში“ ამზადებდნენ. ამ დაწინებულების მოკლე, მაგრამ ძალზე საინტერესო აღწერილობას იძლევა თემიურაზ ბატონიშვილი თავისი ისტორიული თხზულების იმ ფრაგმენტში, სადაც აღა-მაჟად-ხანის შემოჭრის შესახებ არის მოყვანილი ცნობა: „შევიდა აღა-მაჟად-ხან საჭურველთა სახლსა შინა მეფისასა და ეგრეთვე არტილერიისა სახლსა შინა, სადაცა იყო ზარბაზანთა ჩამოსასხმელი მანქანანი და ყოველნი სახმარნი არტილერიისანი საჭურველი. ყოველნი წარიხვნა და ეგრეთვე

ზარბაზნის ფრიად რჩეული და სწავლულთაგან არტილერიისა ხელოვნებისათა შთამოსხმეული და ყოველი იარაღი ზარბაზნის ჩამოსასხმელთან შემუსრნა და სახლიცა იგი სრულად დააქცივნა“ [5, გვ.39].

ციტირებული ფრაგმენტიც ადასტურებს, თუ რა საფუძვლიანად იყო აღჭურვილი „არტილერიის სახლი“. ზარბაზნის ჩამოსასხმელ დანადგარებთან ერთად („ზარბაზნის ჩამოსასხმელი მანქანანი“) აქ გამოყენებული ყოფილა საბურღი და ლითონების მექანიკურად დამამუშავებელი სხვა მოწყობილობებიც, რომლებსაც ერთმნიშვნელოვნად გულისხმობს ფრაზა „ყოველი სახმარნი არტილერიისანი საჭურველნი“. ზოლო უკვე ზემოთ მოხსენებული წინადადებიდან: „სწავლულთაგან არტილერიისა ხელოვნებისათა ჩამოსხმეული“ პირდაპირ ჩანს, რომ ევროპულად განსწავლული ქართველი ინჟინერ-არტილერისტები ზარბაზნების ჩამოსხმას მეცნიერულ საფუძველზე დამყარებული ევროპული მეთოდებით ახორციელებდნენ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აღა-მაპმად-ზანმა „არტილერიის სახლის“ განადგურებით თავის საწადელს ბოლომდე ვერ მიაღწია. თბილისში მის შემოჭრამდე დავით ბატონიშვილმა მოახერხა ზარბაზნების უდიდესი ნაწილის თითქმის გაუვალი და ოღროჩოლრო გზებით ქალაქიდან გატანა. ამით შესაძლებელი გახდა ქართველების მთავარი საბრძოლო ტექნიკის შენარჩუნება და შემდგომ წლებში მისი წარმატებით გამოყენება.

მეტალურგიული ქარხნებისაგან განსხვავებით, თბილისის ზარბაზნების ჩამოსასხმელ ქარხანაში ერეკლემ, როგორც ვზედავთ, ბოლომდე შეძლო თავისი ჩანაფიქრის გატარება და მისი ევროპულ ყაიდაზე ამუშავება.

ველცლის და ოქონის ნაშარმი

ერეკლესეული ქარხნების მიღწევები ვერცხლისა და ოქროს მიღების საქმეში, სპილენძის ანალოგიით, კარგად ჩანს XVIII ს. მეორე ნახევრის დოკუმენტებიდან. სხვა დროის საბუთებისაგან გან-

სხვავებით, ისინი გამოირჩევიან იმ განსაკუთრებულობით, რომ მათში ძალზე ხშირად მოიხსენიება ვერცხლისა და ოქროს ნაკეთობები (ადრეულ საბუთებში ასეთი მონაცემები მხოლოდ ვიწრო სფერო-სათვის, ძირითადად საეკლესიო ნივთებთან დაკავშირებით ვკვდება).

ლითონური ვერცხლის გამოყენება უპირატესად უფრო მის ნაკლებ ცვალებადობას ჰქონდა თუ სხვადასხვა სითხეებთან შეხებისას. უფრო უფრო დროიდან ეს ლითონი გამოიყენებოდა მრავალსახოვანი სამკაულის და ფუფუნების საგნებისათვის. მოგვიანებით ის მონეტების დასამზადებლადაც გამოიყენეს. ასე რომ ამ ლითონმა ეკონომიკური მნიშვნელობით ერთმანეთისაგან ძალზე განსხვავებული გამოყენების ორი ძირითადი სფერო ჰქონდა, როგორც ყველა ფასეულობის საზომმა და როგორც მასალამ სხვადასხვა ნაკეთობების დასამზადებლად (მონეტების გარდა). ეს ვითარება ზუსტად აისახა XVIII ს. მეორე ნახევრის საქართველოს სინამდვილეშიც.

თბილისში დამზადებული ვერცხლის ნაკეთობათა ფართო ასორტიმენტი იშვიათად მზადდებოდა ჩამოსხმით და პროდუქციის დიდი უმრავლესობა ცივი ჭედვით მიიღებოდა (მათ რიცხვში ისეთი მასიური ვერცხლის ნაკეთობებიც კი, როგორიც არის მაგალითად სინები, თეფშები, ჯამები). გარდა ამისა, უმეტეს შემთხვევაში უდავოდ იყენებდნენ არა სუფთა ვერცხლს, არამედ მის შენადნობს სპილენძთან [95, გვ.836, 838].

თბილისში დამზადებული ვერცხლის ნაკეთობათა უმეტესი ნაწილი, როგორც სათანადო დოკუმენტების განხილვამ ვაკიჩვნა, ძირითადად საყოფაცხოვრებო სფეროს განეკუთვნება. საბუთებში წარმოდგენილია დიდი რაოდენობით საოჯახო ჭურჭელი, რომელთაგან ზოგიერთის დაზუსტებისათვის გამოვიყენეთ მ.ბერძენიშვილის მიერ შედგენილი ლექსიკონი [26]. კერძოდ, წვნიანი საჭმლის ჭურჭლად დასახელებულია ჯამები და ლამბაქები („ნალბაქები“, ჩანს და ყავის მოსაღულებელი ჩაიღნები და ყავადნები, სხვადასხვა პროდუქტის შესანახი ჭურჭელი – სარძევე, სამაქრე, სამარილე, საყინულე და სანაურუ მორჩილი სითხის შესანახი ჭურჭელი), სუფრის იარაღი – კოვზები, საშარბათე კოვზები, ჩამჩები, დანები,

ჩანგლები, შაქრის ასაღები მაშები, ლამბაქები, თეფშები, ხონჩები [25, გვ.226, 247, 279, 321, 385, 291, 292, 298, 321, 385]. ლვინის ჭურჭლად წარმოდგენილია: თუნგი, მისი მეოთხედი მოცულობის მქონე ჩარექა, კულა, „მოგრეხილი კულა“, ე.ი. ყელმოგრეხილი კულა, სურა. სასმისებში შედის: აზარფეშა (ტარიანი სასმისი), თასები, მარნები (საერთო ძირის მქონე რამოდენიმე სხვადასხვა სასმისის გაერთიანება), იალთუღები (ტოლჩები). ვერცხლიდან ამზადებდნენ აგრეთვე ძაბრებს, თუშუალანგებს (ბრინჯის საწურ ნახვრეტებიან ჭურჭელს) და ჩაის საწურავებს [25, გვ.194, 246, 255, 269, 283, 385, 494].

საკმაოდ დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი ვერცხლის პარფუმერულ-კოსმეტიკური და ჰიგიენური დანიშნულების იარაღები და ჭურჭლეული. მათ რიცხვში შედის: ალთაფები (ხელსაბანები) და ტაშტები, სხვადასხვა კოლოფები და ყუთები, მათ შორის უმარილის და ფერის შესანახად, ჩხირის შესანახი ბუდე, საწებო და სასურმე. თმის მოსავლელ იარაღს შეადგენს: კავი (კაუჭი), თმის საყოფი, ჩქიფი (პინცეტი), ჩოფი (წარბ-წამწამზე საღებავის დასადები ჩხირი) და ა.შ. ბევრჯერ გვხვდება სარკე, რომელიც ვერცხლის ჩარჩოშია ჩასმული [25, გვ.225, 226, 255, 256, 321, 347, 351]. ვერცხლის იარაღიდან და ცხენის აღკაზმულობიდან სხვადასხვა სიებში მოყვანილია უნაგირები, რახტები (ცხენის მორთულობა) დაუფერავი ან ოქროთი დაფერილი და ავუანდები (უზანგები). ხანჯლის ან დანის ქარქაში და საპირისწამლე (თოფის ფალიაზე მისაყრელი წამლის ჭურჭელი) ხშირად ვერცხლით არის შესრულებული [25, გვ.225, 269, 281]. სიებში გვხვდება აგრეთვე სხვადასხვა დანიშნულების ნაკეთობები: კილიტები, ლულები, მილები, ვერცხლის ძაფები, რომელთა დამზადება ადიდვის, გაწევის და ჭედვის მეთოდით წარმოებდა [25, გვ.232, 299, 471]. ტანსაცმლისათვის მოხსენიებულია ღილები და ქამარი. წვრილ ნაკეთობებს განეკუთვნება: საწერელის (ე.ი. სამელნის) თავი, სანემსე, სათითე და ვერცხლით მოჭედილი სადაფი [25, გვ.255, 268, 270, 321, 343].

საკმაოდ ჭარბად არის წარმოდგენილი ვერცხლის საეკლესიო

ჭურჭელი და იარაღები. ღოვეუმენტებში დასახელებულია ვერცხლით მოჭედილი ხატები, ოქროთი დაფერილი ვერცხლის ხატები, მოჭედილი საეკლესიო წიგნების ყდები, ბარძიმ-ფეშუმი, საზედაშე, ტავუპები, სასეფისკვერო თეფშები და ა.შ. [25, გვ.243, 387].

ჩამოთვლილი ნაკეთობებიდან ყველა არ წარმოადგენდა თბილის სახელოსნო-საწარმოების პროდუქციას, მაგრამ მათი დიდი ნაწილი რომ ადგილობრივი ნაკეთობა იყო, ეჭვს არ იწვევს. ასეთი დასკვნის საფუძველს გაძლევს ერთ დოკუმენტში მოყვანილი ცნობები. ის წარმოადგენს მზითვის წიგნის პირს, რომელიც 1808 წლის სიახლოვეს თარიღდება. თავშივე წიგნის შემდგენელი აცხადებს: „წმინდა სახარება უკან მიმაქვს, ვერცხლით მოვაჭედვინებ, ოქროთი დავაფერვინებ“. შემდგომ სხვადასხვა ნაკეთობის ჩამონათვალს თან ახლავს მასზე დახარჯული ვერცხლის რაოდენობაც: „ხონჩა ვერცხლისა, სამას სამოცდაორი მისხალი . . . ჯამი ვერცხლისა მისხალი სამოცდაოთხი, ნალბაქი ვერცხლისა, მისხალი ცხრამეტი და ნახევარი . . . სინსილები მისხალი სამოცდაერთი და ნახევარი, უნაგირი ვერცხლისა, სამას ოცდათხუთმეტი მისხალი . . . ჩარექა ვერცხლისა, მისხალი ასოცდათხუთმეტი, აზარფეშა, მისხალი სამოცდაათი, თასი სამი, მისხალი ასი და ნახევარი . . . თასი ვერცხლისა, ოცდაცამეტი მისხალ ნახევარი“ [25, გვ.405-410].

პიროვნება, რომელიც სახარების ყდის ვერცხლით მოჭედვას და ოქროთი დაფერვას აპირებდა, ცხადია, რომ სხვა ნივთების დამშვენებაზე და დამზადებაზე იზრუნებდა. სწორედ ასე აკეთებს ის ჩანაწერს სხვა ნაკეთობებთან დაკავშირებითაც და თანაც, როგორც ვხედავთ, სიაში თითოეული მათგანის დასახელებას დახარჯული ვერცხლის რაოდენობასაც ურთავს. ეს რაოდენობა რომ ოსტატი-სათვის ნაკეთობის დამზადების წინ არის გადაცემული, აშკარად ჩანს უნაგირის მაგალითიდან (მზა უნაგირის შემთხვევაში უკვე შეუძლებელი იქნებოდა მათზე დახარჯული ვერცხლის დადგენა). ასე რომ, მოყვანილი სიიდან ერთმნიშვნელოვნად ჩანს, რომ ვერცხლის ხონჩა, ჯამი, ლამბაქი, სინსილები, უნაგირი, ჩარექა, აზარფეშა და თასები თბილისელი ხელოსნების მიერ არის დამზადებული.

დიდი რაოდენობით იყენებდნენ ვერცხლს ზარაფხანაში, სადაც ვერცხლის მონეტები იჭრებოდა. ვერცხლის წარმოებაში მიღწეულ-მა წარმატებებმა შესაბამისი გამოხატულება სამონეტო საქმეშიც ჰპოვა. XVII ს. 60-იან წლებში საერთო ირანული ტიპის ვერცხლის მონეტის მოჭრა შეწყდა და თბილისის ზარაფხანამ სრულიად განსხვავებული ვერცხლის ფულის მოჭრა დაიწყო. მონეტის ტიპი იმდენად თავისებური და ორიგინალური აღმოჩნდა, რომ სპარსული ზედწერილების მიუხედავად მას „ბაგრატიონთა ვერცხლს“ უწოდებდნენ. გამოდიოდა სამონეტო ტიპის ოთხი ნომინალი: $1\frac{1}{2}$, 1, $\frac{1}{2}$ და $\frac{1}{4}$ აბაზიანი ანუ შესაბამისად ექვსშაურიანი, აბაზი, ორშაურიანი ანუ $\frac{4}{4}$ უზალთუნი და შაურიანი. ლითონის ძალზე მაღალი ზარისხის გამო ეს მონეტები „სირმა“ ანუ წმინდა ვერცხლად იწოდებოდნენ. ამ სირმა ვერცხლმა მაღალი ზარისხის გამო საქართველოში ძალზე დიდხანს შეინარჩუნა ბრუნვის უნარი. რუსეთთან შეერთებიდან კარგა ხნის შემდეგაც კი სირმა აბაზების თავისუფალი ხმარება დიდხანს არ შემწყდარა [17].

ზარისხიანი ვერცხლის მონეტის გამოშვებაში უდავოდ დიდი დამსახურება მიუძღვის ერეკლეს ზარაფხანის უფროსს იასე ნაზრიშვილს, რომელიც ძალზე დახელოვნებული იყო სამონეტო ლითონების გასუფთავება-გადადნობის საქმეში [112, გვ.17]. კიდევ უფრო ნათლად ეს გამოჩნდა მოგვიანებით (1802წ. მეორე ნახევარი), როდესაც ა.მუსინ-პუშკინის თაოსნობით თბილისში რუსული ზარაფხანა გაიხსნა. ზარაფხანის საერთო ხელმძღვანელობა ა.მუსინ-პუშკინმა ითავა. ორად გაყოფილი მექანიკური განყოფილებიდან მექანიკურ ნაწილს მარქშეიდერი პ.ზაიცევი ჩაუდგა სათავეში, ხოლო ქიმიურ ნაწილს – ბერგ-პრობირერი ა.კარპინსკი. მათთან ერთად ზარაფხანაში ინაზრიშვილიც იქნა მიწვეული რომელსაც საწარმოს ვერცხლით მომარაგება დაევალა [55, გვ.32-33]. რუსების მხრიდან ასეთ ძალზე საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ქართველი სპეციალისტის აყვანა ბევრ რამეს ნიშნავდა, ვინაიდან მას ლითონის არა მარტო შესყიდვა, არამედ მისი გადაღნობა და სისუფთავით სამონეტო კონდიციამდე დაყვანაც ევალებოდა. ე.ი. ბერგ-პრობირერი

ლითონის ვარგისიანობას თუ ლაბორატორიულ პირობებში იკვლევდა, ინაზრიშვილს ფაქტობრივად საწარმოო მასშტაბით უნდა განეხორციელებინა ვერცხლის გასუფთავებასთან დაკავშირებული მთელი რიგი ტექნოლოგიური პროცესები. ცხადია, ინაზრიშვილი ამ საქმეში დახელოვნებული სპეციალისტი რომ არ ყოფილიყო, რუსები მას არ მიიწვევდნენ.

თბილისის სახელოსნოებსა და საწარმოებში დამზადებული ოქროს ნაკეთობათა რიცხვი ვერცხლთან შედარებით უფრო ნაკლებია. მათგან უნდა აღინიშნოს ოქროს ღილები, საშუბლეები, საყბეურები, საყურები, ქინძისთავები, ოქროს ძაფები და ჯაჭვები [25, გვ.47, 87, 157, 265]. იარაღისა და ცხენის აღკაზმულობისათვის: ოქროთი მოჭედილი ხანჯლები, ხმლის ქარქაშები, ოქროთი ინკრუსტირებული თოფი, თოფის საღლტები, ოქროთი ინკრუსტირებული ავუნდები და ლაგამები, რახტები და ა.შ. [25, გვ.87, 88, 90, 92, 96]. ყურადღებას იქცევს პარფიუმერულ-კოსმეტიკური ნაკრები ანუ „საპირფარეშოს იარაღი“. აქ ვერცხლის ორი საგნის გარდა (სირჩა და ჯამი) დანარჩენი იარაღები ან ოქროსგან არის დამზადებული ან ოქროთა დაფერილი. ესენია: „თმისაყოფი იქროსი, ორი ჩხირი ოქროსი, ჩოფი ოქროსი, მოსალესი (ფერუმარილის დასამზადებელი სპეციალური ჭურჭელი) მოჭედილი ოქროთი, საწებოე ვერცხლისა დაფენილი, ნალბაქი (ლამბაქი) ვეცხლისა დაფერილი, ჩქიფი ოქროსი“ [25, გვ.226]. „ოქრომრავლობით“ გამოირჩევა მეორე სიაც, რომელიც იმით არის საინტერესო, რომ პარფიუმერულ-კოსმეტიკური ჭურჭლისა თუ იარაღის დასახელების შემდგომ მოყვანილია მათ დამზადებაზე დახარჯული ოქროს რაოდენობა ნაკეთობათა ჩვენებით: „სადაფი და სადაფის თავი, ოქროთ მოჭედილი, მისხალი ოცდაოთხი, მოსალესი ოქროთი მოჭედილი, თავზედ იაგუნდი უზის, მისხალი ერთი, საჩხირე ოქროს და სამი ოქროს ჩხირი, თმისაყოფი ოქროსი, ჩოფი ოქროსი. ესეთ არის მისხალი ოცდაექვსი და ნახევარი“ [25, გვ.406]. ეს სია, ისევე როგორც ვერცხლის ანალოგიური სია მასალის წონის ჩვენებით, ერთმნიშვნელოვნად მეტყველებს ოქროს ნაკეთობათა ადგილობრივ წარმომავლობაზე.

ოქროს საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორც საბუთებიდან ჩანს, დასაფერავად იხარჯებოდა. ახტალის ოქროს შემოსავლისა და ხარჯის საბუთში სისტემატურად მოიხსენება დასაფერად გაცემული ოქრო. ზოგჯერ ამ ოქროს ამაღლვამის დასამზადებლად გაცემულ ვერცხლს, ოქროს და ვერცხლისწყალს („ჯივა“) უმატებდნენ ან მის შესასყიდად თანხას აძლევდნენ ოქრომჭედელს [25, გვ.93-99].

ჩატარებული კვლევების შედეგად ჩვენ შევძელით დაგვედგინა ერთი ძალზე საფურადლებო ფაქტი, რომელიც სამუცნიერო ლიტერატურაში აქამდე ცნობილი არ იყო. ჩვენი ყურადღება მიიქცია მთელმა რიგმა საბუთებმა, რომელთა თანახმადაც ერეკლე, როგორც ირკვევა, დრო და დრო ოქროს მონეტებსაც ჭრიდა [17]. ოქრომჭედელ სურგუნაშვილს 1783 წლის ერთ-ერთ წერილში ის ავალებს ოქროს მონეტის შაურიანების მოჭრას, რომ „ექვსივე [შაური] ერთი მისხალი გამოვიდეს“. თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობითაც ოქროს 6 შაური ერთ მისხალს იწონიდა [66, გვ.47]. 6 შაურიანის წონის მისხალთან შესაბამისობას ადასტურებს ახტალის ოქროს შემოსავლისა და ხარჯის 1791 წლის სია. აქ აღნიშნულია, რომ სწორედ 1783 წელს მირიან ბატონიშვილს დაუხარჯავს 6 ოქროს შაური, რომლის წონაც 1 მისხალს შეესაბამება. ოქროს შაურები სიის სხვა ადგილებშიც მოიხსენება და ჩვენ აქ შესაბამისი წინადადებები მოგვყავს: 1784 წელს „მეფეს მირთმევია ოქროს შაური, მისხალი ზ“, „მეფეს მირთმევია ოქროს შაური À“, „მეფეს . . . ოქროს შაური მირთმევია მისხალი იგ“, ხოლო 1789 წელს ოქრო „შაურებათაც მოჭრილა სანოვრუზოდ მისხალი ი“ [25, გვ.88, 89, 91].

მოყვანილი ცნობების მიხედვით გამოდის, რომ ერეკლეს ოქროს 39 მისხალიდან მოუჭრია 234 შაური, რაც არც თუ ისე მცირე რაოდენობას წარმოადგენს. თუ გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნულ ნუსხაში შაურების მხოლოდ მცირე ნაწილია მოხსენებული, შეიძლება დავასკვნათ, რომ ერეკლეს დროს დაახლოებით 1783 წლიდან აღა-მახმად ხანის შემოსევამდე, ანუ 1795 წლამდე თბილისის ზარაფხანაში ოქროს მონეტებიც იჭრებოდა.

1798 წლის 8 თებერვალს, კათალიკოსმა ანტონ II-მ და ბა-

ტონიშვილმა ვახტანგმა აღწერეს გარდაცვლილი მეფის ბოლჩაში დაფიქსირებული პირადი ნივთები. აქ მცირფასი თვლებით შემცულ ბეჭდებთან და ორდენებთან ერთად შედარებით სადა ნაკეთობებიც აღმოჩნდა. აქედან ერთი „ოთხი ოქროს შაურს“, ხოლო მეორე „ერთს ქალალდში წვრილი ოქროს ღვენთებს“ წარმოადგენდა [25, გვ.282]. ჩვენი აზრით, სხვა ნივთებთან შედარებით აშკარა სისადავის მიუხედავად, ამ ორ ოქროს ნივთს ერეკლესათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ოქროს ნაღვნით, როგორც ეტყობა, იმ ოქროს ფხენილის გადნობით იყო მიღებული, რომელიც პირველად იქნა გამოყოფილი ვერცხლიდან ახტალის ქარხანაში. რაც შეეხება ოქროს 4 შაურს, ისინიც ჩვენი აზრით ზარაფხანაში მოჭრილი ოქროს პირველ პარტიას წარმოადგენდა. ორივე ნივთი ერეკლესათვის ძალზე ძვირფასი იყო, როგორც მისი დიდებული ჩანაფიქრის რეალურად განხორციელების დამადასტურებელი რელიქვიები და სწორედ ამიტომ მოხვდნენ ისინი ერთმანეთის გვერდი-გვერდ.

MINING-METALLURGY INDUSTRY IN
THE XVIII CENTURY
EASTERN GEORGIA

ABSTRACT

Historical, political and social-economic events taking place in XVIII century Georgia became subject of scientific interest in terms of historical-technological analyses of the main economic trends of the late medieval period - mining and metallurgy industry and structure of the objects functioning in the given period of time.

Due to the fact that existing information on aforementioned issue gives possibility just of the local analyses, the presented work is aimed at revealing the activities executed by the state power in Kartli-Kakheti kingdom for the development of economy on the bases of the following materials: the data preserved in the written sources on the mining metallurgy processes, the results of the technological analyses of the mining-metallurgy monuments obtained through the archeological excavations, ethnographical-informational materials on the plants functioning in the territory of Eastern Georgia in XVIII century giving the possibility for complete historical-economical analyses of the leading trends of economy of this period.

The renaissance of the mining and metal processing plants existing in the territory of Kartli-Kakheti kingdom falls on the second part of XVIII century. The significant economical reforms of the state importance conducted by the king Erekle II strengthened the self-de-

fense ability of the country and saved Georgian nation from destruction.

The presented work reviews the archeological and mining-metallurgical materials related to mining-metallurgical industry, construction of the metallurgical furnaces, dynamics of the metallurgical process and volume of produce (F. Tavadze, I. Gdzelishvili, N. Rekhviashvili, K. Cholokashvili). At the same time the Russian and foreign sources on the arrangement and production of the mining metallurgical sources in Georgia (A. Voskoboinikov, I. Eikhfeld, A. Pettsold and others), notes on the reforms performed by Erekle II, mining and metallurgical objects rehabilitation (I. Giuldenshtedt) and mining-metallurgical production ethnographical data (Iv. Medzmariashvili, D. Gogoladze, G. Margiani, A. Rogava, Al. Kochlavashvili, A. Shostak, S. Esadze and others) are criticized.

The process of historical development of the leading trends of economy are confirmed by the fact of consumption of ores located in the territory of Georgia and existence of the relevant level of metal processing metallurgical technologies. Mountainous objects located within the mineral resources and deposits' geographical system on the one hand, and, on the other hand, ore processing and metallurgical plant, with the principal work schemes and engineering-technical characteristics, defined the basic trends of the development of the XVIII century economy.

The work underlines contribution of King Erekle II in the establishment and development of the Georgian economy in XVIII century, his effort and direct participation in the improvement of the local mining-metallurgical industry. The role of the settlement of Greek masters in the growth and development of local metallurgical industry and preparation of the valuable local human resources is assessed. The involvement of the relevant qualified specialists from Russia for broadening the scale and refinement of technological processes of the mining-metallurgical industry is considered to have a positive ef-

fect conditioning transfer and mastering of the European state of art achievements.

Detailed analyses on organization and technological exploitation of the copper-bronze, iron-steel, bullet, silver and gold production plants is presented in due sequence. The relevant focus is made on the possibilities of preparation and application of metallurgical fuel (charcoal), reconstruction of working scheme of the coal industry within the metallurgical plants. Considering the chemical composition of technical copper and technical data of various plants the production line of delivery of the copper of old processing is restored.

Information obtained from archeological data with respect to the old processing and the results of the complex examinations of the industry remaining (waste) are reflecting actual historical-technological picture of the copper metallurgy (chemical composition of slag, stove, plaster, gutter; sections of production objects, stove construction, date). The issue of the export of Georgian copper abroad is reviewed. Complex chemical, metallurgical and radiography-structural analyses of the domestic goods are conducted and several types and different categories of copper and bronze things kept at the State Museum of Georgia and private collections are studied for the complete characteristic of the copper production of XVIII century. The description of iron cooperative workshops (Bolnisi, Dashqesani), technological production scheme with cold-blow melting parameters, the existing drafts of production furnaces are presented, the production flow is calculated, the issue of exporting of black metal (iron-steel), goods, arms and other economic goods is reviewed as well as results of the research of some samples of Damascus steel arms preserved at the State Museum of Georgia.

The given work confirms the facts of production of the essential quantity of precious metals by the plants established by King Erekle II reflected in existence of the relevant silver and gold producing technologies and quantitative characteristic of produced goods. The broad

variety and quantity of copper goods is described. The data on the Tbilisi gun plant is worthy of attention. The issues of production of the steel bullets and their application are reviewed as well.

The silver and gold goods manufactured in XVIII century Tbilisi mostly are of domestic consumption. The goods for church are produced as well. The big quantity of silver and gold is processed in mint (Zarapkhana). The big quantity of silver and gold is reflected in the fact of manufacturing of the new nominal monetary unit. The materials of multi-profile use reviewed in the given work and the results of the conducted historical-technological research entitle us to present in the new light the essence of the historical-political and social economic events that took place in XVIII century Georgia and consider the establishment and renaissance of the mining-metallurgical complex as its leading and driving force:

- Mining-metallurgical industry established in Georgia by King Erekle II conditioned exploitation of copper, iron, steel, silver, gold smelting production line in Akhtala, Alaverdi, Dambludi and other plants.
- Work of copper smelting plants, in particular of Alaverdi plant was based on so-called “Asian” rule. Its three step production, in difference to European rules, was considering complete withdrawal of sulphate from sulphate ore, conduction of restoring smelting of baked ore (without formation of matte) and refining in the black copper oxidation regime.
- Radiography-structural and metallurgical analyses of the copper domestic manufactures preserved in national museum of Georgia and private collections proved the high quality of the copper produced in copper melting plants, which conditioned increased demand on the production manufactured from it and export.
- According to archive, archeological and ethnographical materials related to Bolnisi iron ore, iron was produced in the stove constituted from blast-furnace functioning based on cold blowing

principle, backing camera and chimney channel uniting them.

- According to Akhtala lead, silver and gold production reconstructed technological scheme to get lead including silver and afterwards for separation of silver and gold from lead the following activities are foreseen:

1. Complete separation of sulphate from polymetallic sulphide ore; 2. Restorative melting of burned ore; 3. Separation of lead and copper alloy by liquation operation; 4. Isolation of silver from the lead in the form of litharge into the treibherds by means of the air blow-in; 5. Receipt of the lead in its final form by means of reduction smelting from the litharge remained in the treibherd and absorbed in its walls and further reprocessing of the gold-containing silver mass obtained in the treibherd.

Preparation of nitric acid required for separation of gold from the gold containing silver by joint distillation of saltpeter and vitriol (by producing silver nitrate and gold).

- On the bases of the data of Tbilisi plant manufacturing copper and iron goods, together with raw copper, Tbilisi was supplying with the wide range of copper plates and dishes (manufactured by forge of sheet copper) not only Georgia but bordering countries as well (North Caucasus, Iran, Armenia and Azerbaijan);
- Machine-gun plant was established earlier than in 1760 in Tbilisi. According to our data, pour out of machine-guns was always performed by European rule; In the beginning of 80-ies with the effort of Topchibashi Paata Andronikashvili the most significant European novelty – manufacturing of machine-gun tube by drilling method – was transferred to Georgia;
- The technical possibilities of furriery and workshops for processing black metals and production level conditioned the high quality of the study of the Damascus steel art and market and consumption value of processed production. Big quantity of smithy iron was increasing the number workshops and production plants

of household consumption cutlery, agricultural tools and arms. As a result, Tbilisi became the center of the region, particularly, in manufacturing of side-arms – saber and poniard.

- Variety of silver and gold goods resulting from the successful operation of mining-metallurgy plants were reflected in deeds of the second part of XVIII century, in which the golden and silver utensils of secular consumption and arms are mentioned quite frequently compare to the earlier centuries' data;

The quantitative growth of silver and golden materials conditioned successful work of mint (Zarapkhana) where in the 70th of XVIII century was initiated the issuance of a new type and quite high quality silver coin. According to the act of 1783 of extraordinary importance the tradition of cutting of the new nominal of the golden coins - five-kopeck coin was established in the given mint.

On the bases of above-mentioned materials, the second part of XVIII century should be considered as one of the most important period during the multi-century history of Georgian metallurgy Establishment and regeneration of the mining –metallurgy complex of the leading economic trend by Erekle II served as a basis to this. Obtained outcomes put a different light on the historical, political and social-economic events taking place in XVIII century Georgia – time of struggle for the state and national independence.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ახესაძე ც. ლითონის წარმოება ამიერკავკასიაში ძვ.წ. III ათას-წლეულში. თბ.: მეცნიერება. 1969, 138 გვ.
2. ახალგაცი ნ. ეთნოლოგიური ძიებანი I. ლითონის გამოდნობა-შედუღებისა და წრთობის ხალხური წესები სვანეთში. თბ.: ინტელექტი. 2000, გვ.178-199.
3. ახალგაცი ნ. ეთნოლოგიური ძიებანი I. სამჭედლოები და მათი მოწყობილობა სვანეთში. თბ.: ინტელექტი. 2000, გვ.200-222.
4. ახალგაცი ნ. ეთნოლოგიური ძიებანი I. ზის ნახშირის დამზადების წესები სვანეთში „შიხიშლიჩში“. თბ.: ინტელექტი. 2000, გვ.223-231.
5. ბაგრატიონი თეიმურაზ. დავით ბაგრატიონის ისტორია. თბ.: მეცნიერება. 1972, გვ.94
6. ბაგრატიონი ი. საბუნებისმეტყველო განმარტებითი ლექსიკონი. ტექს-ტი გამოსცეს თენუქიძემ და ნ.კიკნაძემ. თბ.: მეცნიერება. 1986, 279 გვ.
7. ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. თბ.: საბჭოთა საქართველო. 1973, 4, 1102 გვ.
8. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. გამოსაცემად მოამზადა გგელაშვილმა. თბ.: საქ. მეცნ. აკადემიის გამომცემლობა. 1962, 1, 354 გვ.
9. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. გამოსაცემად მოამზადა გგელაშვილმა. თბ.: საქ. მეცნ. აკადემიის გამომცემლობა. 1964, 2, 418 გვ.
10. გობეჯიშვილი გ. სპილენძის მაღნის მოპოვება-დამუშავების ძველი ნაშთები ს. ღებთან. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიის მასალები. 1960, გვ.19-22.
11. გძელიშვილი ი. რეკის სადნობი სახელოსნო ფოლადაურში. სმაბ. 1964, XXXV:3, გვ.745-752.
12. გძელიშვილი ი. სპილენძის გამოდნობა საშუალო საუკუნეების ბოგვის სახელოსნოში. მეცნიერება და ტექნიკა. 1964, გვ.9, 35-37.

13. დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული ნაშრომები. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ლილი ქუთათელაძემ. თბ.: მეცნიერება. 1967, 238 გვ.
14. დე გრაი დე ფუას ცნობები საქართველოს შესახებ. ფრანგული-დან თარგმანა ჯ.ოდიშელმა. თბ.: მეცნიერება. 1985, 109 გვ.
15. ვახტანგ VI. წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს თენუქიძემ და ვ.კოკოჩაშვილმა. თბ.: თსუ. 1981, 267 გვ.
16. ინანიშვილი გ., ბაძოშვილი თ. საქართველოში სამთო-მეტალურგული წარმოების აღორძინების ისტორიისათვის (XVIII ს). საერთაშორისო სიმპოზიუმის შრომები. 2000, გვ.87-91.
17. კაპანაძე დ. ქართული ნუმიზმატიკა. თბ.: თსუ. 1950, გვ.110-115.
18. კახიძე ნ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა: სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის ისტორიიდან ჭოროხის აუზში და მოსახლეობის საწარმოო და საზოგადოებრივი ყოფის ზოგიერთი საკითხი. თბ.: მეცნიერება. 1987, 14, გვ.36-49.
19. კახიძე ნ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა: ხელოსნობა აჭარაში. თბ.: მეცნიერება. 1990, 17, გვ.3-127.
20. კლიმიაშვილი ა. საარტილერიო მშენებლობა აღმოსავლეთ საქართველოში XVIII ს-ის II ნახევარში. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე. 1962, 5, გვ.263-275.
21. კოჭლავაშვილი ალ. ძველი მეტალურგიული დანადგარები. მეცნიერება და ტექნიკა. 1957, 4, გვ.35-38.
22. კოჭლავაშვილი ალ. სამთამადნო-მეტალურგიული მრეწველობის განვითარება XIX საუკუნეში. თბ.: საბჭოთა საქართველო. 1962, 172 გვ.
23. მარგარით გ. საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროდეტარიატი 1864-1917. თბ.: საბჭოთა საქართველო. 1976, 572 გვ.
24. მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. წიგნი II. მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა. თბ.: თსუ. 1953, 329 გვ.

25. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. წიგნი III. მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა. თბ.: თსუ. 1955, 573 გვ.
26. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. დანართი. ლექსიკონი და საბუთები შეადგინა ნ. ბერძენიშვილმა. თბ.: თსუ. 1957, 161 გვ.
27. მელქონიანი ვ. საქართველოში სპილენძის მეტალურგიის წარსულიდან. მეცნიერება და ტექნიკა. 1962, 8, გვ.35-37.
28. მემმარიაშვილი ივ. დაშქესანი და ჩათახი წინათ და ახლა. მეცნიერება და ტექნიკა. 1955, 10, გვ.38-42.
29. მემმარიაშვილი ივ. ნარკვევები ქართული მეტალურგიის ისტორიიდან. ხელნაწერი, სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილების არქივი. 1960, გვ.48-57.
30. ორბელიანი პაპუნა. პამპავნი ქართლისანი. ტექსტი გამოსცა ელ. ცაგარეიშვილმა. თბ.: მეცნიერება. 1981, 281 გვ.
31. ორბელიანი სულხან-საბა. ლექსიკონი ქართული. თბ.: მერანი. 1991, 1, 636 გვ.
32. ორბელიანი სულხან-საბა. ლექსიკონი ქართული. თბ.: მერანი. 1993, 2, 654 გვ.
33. პარგაძე ვ. დავით ბაგრატიონი და მისი „შემოკლებული ფისიკა“. თბ.: ტექნიკა და შრომა. 1954, გვ.8.
34. რეზვიაშვილი ნ. ზემო რაჭაში მივლინების ანგარიში. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის (ენიმკის) მოამბე. 1939, 4, გვ.321-337.
35. რეზვიაშვილი ნ. წედური ფოლადი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე (სმამ). 1943, 4, 8, გვ.829-834.
36. რეზვიაშვილი ნ. მჭედლობა რაჭაში. თბ.: მეცნიერება. 1953, 199 გვ.
37. რეზვიაშვილი ნ. ვერცხლის ქართული ჭურჭელი. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე (სმმ). 1956, XIX-B, გვ.195-215.
38. რეზვიაშვილი ნ. ქართული ხალხური მეტალურგია. რკინამჭედ-

- ლობა. თბ.: მეცნიერება. 1964, 275 გვ.
39. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი (Q) კოლექცია. თბ.: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. 1957, 509 გვ.
40. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა). ფ.263, აღწ.1, საბ.582, ფ.37.
41. სოსელია ლ. ოქრომჭედლობის შესწავლისათვის მესხეთში. მასალები მესხეთ-ჯავახეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის. თბ.: მეცნიერება. 1972, გვ.99-116.
42. სცსა, ფ.263, აღწ.1, საბ.582, ფ.ფ. 86-87.
43. სცსა, ფ.263, აღწ.2, საბ.28, ფ.8.
44. სცსა, ფ.2, აღწ.2, საბ.48, ფ.627.
45. სცსა, ფ.263, აღწ.1, საბ. 582, ფ.ფ. 45-46.
46. ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1650-1652 წწ. ტექსტი გამოსცა იასე ცინცაძემ. თბ.: მეცნიერება. 1970, 274 გვ.
47. ტურნეფორი ჟ.კ. მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში. თბ.: მეცნიერება. 1988, 167 გვ.
48. ქართული სამართლის ძეგლები. ტექსტი გამოსცა ი.დოლიძემ. თბ.: მეცნიერება. 1965, 2, 759 გვ.
49. ქართული სამართლის ძეგლები. ტექსტი გამოსცა ი.დოლიძემ. თბ.: მეცნიერება. 1970, 3, 1320 გვ.
50. ქართული სამართლის ძეგლები. ტექსტი გამოსცა ი.დოლიძემ. თბ.: მეცნიერება. 1972, 4, 787 გვ.
51. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა S-კოლექცია. თბ.: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. 1979, 1, გვ.184.
52. შენგელია ვ. ვერცხლი (მჭედლობა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში). ძიებანი საქართველოს ეთნოგრაფიაში. თბ.: მეცნიერება. 1991, გვ.54-63.
53. ჩოლოფაშვილი კ. „ბულატის“ თბილისელი ოსტატები. მეცნიერება და ტექნიკა. 1956, 5, გვ.15-17.
54. ჩოლოფაშვილი კ. ქვემეხები ქართული ასომთავრული წარწერები.

- ბით. სსმ. 1987, XXXIX-B, გვ.58-63.
55. ჩორგოლაშვილი გ. თბილისის ზარაფხანის ისტორიისათვის. მეცნიერება და ტექნიკა. 1971, 1, გვ.32-34.
56. ჩორგოლაშვილი გ. ერეკლე მეორე და საქართველოს სამთო მრეწველობა. მეცნიერება და ტექნიკა. 1971, 3, გვ.36-46.
57. ჩუბინაშვილი ნ. ქართული ლექსიკონი. თბ.: საბჭოთა საქართველო. 1961, 490 გვ.
58. ჩუბინაშვილი დ. ქართულ-რუსული ლექსიკონი. თბ.: საბჭოთა საქართველო. 1984, 1785 გვ.
59. ჭანიშვილი ვ. ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფო სამთო საწარმოები XVIII საუკუნის ბოლოს. მეცნიერება და ტექნიკა. 1978, 9, გვ.58-60.
60. ჭანიშვილი ვ. ერეკლე II და საქართველოს წიაღისეული. მეცნიერება და ტექნიკა. 1977, 8, გვ.37-39.
61. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის S ფონდი. ხელნაწერი №249.
62. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის S' ფონდი. ხელნაწერი №298.
63. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის H ფონდი. ხელნაწერი №1069, 2165, 2333.
64. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის H' ფონდი. ხელნაწერი №2161.
65. ხერხეულიძე ო. მეფობა ირაკლი მეორისა. თბ.: მეცნიერება. 1989, გვ.66-99.
66. ჯაფარიძე გ. ნარკვევი ქართული მეტროლოგის ისტორიიდან. თბ.: მეცნიერება. 1973, 175 გვ.
67. Акты собранные Кавказской археографической комиссиюю (АКАК). Под. ред. А.Берже. Тифлис: Тип. гл. упр. наместника Кавказского. 1886, 1.
68. АКАК. Под. ред. А.Берже. Тифлис: Тип. гл. упр. наместника Кавказского. 1797, 6.
69. Бадзошвили Т.В., Чагунава Р.В. К истории литья грузинских пушек. CERAMICS. 2006, 2(16), с.32-33.
70. Бадзошвили Т.В., Инанишвили Г.В., Чагунава Р.В. К истории

- добычи серебра и золота в Грузии во второй половине XVIII века. Georgian Engineering News. 2006, 4, с.94-96.
71. Байков А.А. Собрание трудов. М.-Л.: Изд. АН СССР. 1948, 2, 592 с.
72. Байков А.А. Собрание трудов. М.-Л.: Изд-во АН СССР. 1949, 4, 306 с.
73. Бакрадзе Г.К. Возникновение и развитие капиталистической промышленности в Грузии в XIX в. Тб.: Сабчота Сакартвело. 1958, 301 с.
74. Бутков Н. Материалы для истории Кавказа. СПб.: Тип. императ. АН. 1869, 1, 230 с.
75. Вагнер Р. Химическая технология. СПб: Изд-во В.Голдстейна. 1892, 1106 с.
76. Воскобойников Н. Описание горных промыслов и полезных минералов в округах Имеретинском Раче, Мингрельском Лечхуме и Суанетах. Горный журнал. 1826, 5, с.11.
77. Воспоминания А.Хаджипетова. Газ. Тифлисские ведомости. 1832, 1, с.13-15.
78. Вюст Ф. Общие основания металлургии, в книге «Промышленность и техника». СПб.: Тип. товарищества «Просвещение». 1904, 5, с.3-62.
79. Гедике Г. Технология железа, в книге «Промышленность и техника». СПб.: Тип. товарищества «Просвещение». 1903, 6, с. 3-83.
80. Гедике Г. Технология меди, бронзы, алюминия и цинка, в книге «Промышленность и техника». СПб.: Тип. товарищества «Просвещение». 1903, 6, с. 142-147.
81. Гзелишвили И.А. Железоплавильное дело в древней Грузии. Тб.: Мецниереба. 1964, 163 с.
82. Гзелишвили И. Железоплавильные печи древней Грузии. Сообщения АН ГССР. 1967, XLVIII №1, с.265-269.
83. Гоголадзе Д. Горнорудная горнозаводская промышленность

- в Грузии и некоторые вопросы генезиса капитализма XVIII-XIX вв. Тб.: Мецниереба. 1966, с. 162-220.
84. Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии. Под. ред. А.Цагарели. С.-Петербург: Тип. В. Киршбаума. 1891, 1, 518 с.
85. Гулишамбаров С. Описание фабрик и заводов Тифлисской губернии. Тифlis: Тип. упр. канц. главн. Гражд. частью на Кавказе. 1888, 233 с.
86. Данилевский В. Очерки развития техники XVIII-XIX вв. М.-Л.: ГСЭИ. 1934, 355 с.
87. Жизнь Артемия Ааратского. Издание подготовил К.Н. Григорьян при участии Р.Р. Орбели. Л.: Наука. 1980, 222 с.
88. Инанишвили Г.В. Производство железа в древней колхиде. Н.-Т. конференция по истории естествознания и техники (тезисы докладов). 1987, с.23-34.
89. Инанишвили Г.В. Химико-технологические вопросы изучения металлургии бронзы в древней Грузии. Башканкарский археологический семинар (тезисы докладов). Сухуми. 1988, с.11-12.
90. Исторический очерк развития горного дела на Кавказе. Под. ред. А.М.Шостака. Тифлис: Тип. штаба Кавказского военного округа. 1901, с. 9.
91. Кокиев Г. Очерки по истории Осетии. Орджоникидзе: Осетинский НИИ краеведения. 1926, 1, 155 с.
92. Лукас А. Материалы и ремесленные производства древнего Египта. М.-Л.: Изд. ИЛ. 1958, 497 с.
93. Любавин Н.Н. Техническая химия, М.1897, 890 с.
94. Любавин Н.Н. Техническая химия. М.: Университетская типография. 1903, 3, 1, 972 с.
95. Любавин Н.Н. Техническая химия. М.: Университетская типография.1906, 4, 2, 1049 с.
96. Минеральные ресурсы ССР Грузии. Тифлис: Техника да шрома. 1933, 1142 с.
97. Очерки истории техники докапиталистических формаций. М.-Л.: Изд-во АН СССР. 1936, 462 с.
98. Очерки истории техники в России. М.: Наука. 1978, 375 с.
99. Перси Д. Руководство к металлургии. СПб.: Промышленность и техника. 1869, 2, 451 с.
100. Покровский М.Ю. Очерки по истории металлургии. М.-Л. 1936, 1, с. 16.
101. Полезные ископаемые и минеральные воды Кавказского края. Состав. В.Меллер и Д. Денисов. Тифлис: Изд. Кавк. горн. упр.-ния. 1917, вып. I, 446 с.
102. Природные ресурсы Грузинской ССР. М.: АН СССР. 1958, 1, 232 с.
103. Природные ресурсы Грузинской ССР. М.: АН СССР. 1959, 2, 380 с.
104. Расскин Н.М. Аполлос Аполлосович Мусин-Пушкин. Л.: Наука. 1981, 156 с.
105. Рогава А.А. Зачатки капитализма в Грузии и политика Ираклия II. Тбилиси: Сабчота Сакартвело. 1974, 255 с.
106. Тавадзе Ф.Н., Инанишвили Г.В., Сакварелидзе Т.Н., Загю Т.Н. Исследование древних шлаков железного производства на территории Грузии. Вып. История науки. 1984, с.20-25.
107. Фестер Г. История химической техники. Харьков: Укр. тех. изд. 1938, 250 с.
108. Хахутаишвили Д.А. Некоторые вопросы истории древнеколхидской металлургии железа. Проблемы греческой колонизации Северного и Восточного Причерноморья (Материалы I Всесоюзного симпозиума). 1979, с.334-339.
109. Чхетия Ш., Акритас П. Материалы к истории горной промышленности Грузии. Тб.: Институт языка, истории и материальной культуры им. Н.Марри. 1936, 1, 659 с.
110. Шабарин С.К. Возникновение аффинажа золота и серебра в

- России. Труды института истории естествознания и техники.
М.: Изд. АН СССР. 1957, 9, с.37-61.
111. Эйхфельд И. Геогностическое описание гор грузинского края, или областей, принадлежащих России между Черным и Каспийским морями, с показанием заключающихся в ней полезных минералов и состояния горного производства в сем крае существующего. Горный журнал. 1827, 7, с.23-61.
 112. Эсадзе С. Очерк истории горного завоевания на Кавказе. Тифлис. 1903, 164 с.
 113. D-r Jacob Reinegs. Allgemeine historisch-topographische Beschreibung des Kaukasus mit 3 Kupfern. SPb.: Gerschtben und Ditter. 1796-1797, 187 S.
 114. Forbets R.G. Metallurgi in antiquity. A. notebook for archaeologists and technologists. Leiden: E.J. Brill. 1950, 489 p.
 115. Koch K. Reise durch Russland und nach dem Kaukasischen Isthmus in den Jahren 1836, 1837 und 1838; SPb.: Stuttgart und Tübingen. Verlag der I.G. 1843. 555 S.
 116. Petzold A. Der Kaukasus. Lpz. 1866, 1, S. 19-21.

0827422 1103 – ვარდინანდ თავაძის

მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის

0616010 უფის სამუზეუმო საბჭოს გადამყვაწილები

კომპ. უზრუნველყოფა თამარ სტევაძე
პრეზ ალანია

გამომცემლობა „მერიდიანი“,
ალ. ფაზბეგის გამზ. №45

E – mail: info@meridianpub.com ტ. 239-15-22